

**იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

**თორნიკე ხოშტარია**

---

**„ბიზნესის სტრატეგიის გავლენა საწარმოების  
საქმიანობის შედეგებზე საქართველოში”**

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**მეცნიერ-ხელმძღვანელი:**

**ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი**

თბილისი

2018 წელი

## შინაარსი

შესავალი .....	5
თავი I სტრატეგიული მართვის პროცესი და სტრატეგიის ფორმულირების მიმდინარეობები .....	16
1.1 სტრატეგიული მართვის თეორიული ეკოლუცია .....	16
1.2 სტრატეგიის ფორმულირების პროცესი და მისი კვლევის ძირითადი მიმდინარეობები	31
1.3 სტრატეგიის ფორმულირების მოდელები .....	49
თავი II ბიზნესის სტრატეგია სამრეწველო საწარმოებში .....	84
2.1 ბიზნესის სტრატეგიის არსი .....	84
2.2 სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა და მისი გავლენა საწარმოების შედეგებზე ..	97
2.3 ბიზნესის სტრატეგია და საწარმოების შედეგები .....	108
თავი III კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი .....	131
3.1 კვლევის მეთოდოლოგია .....	131
3.2 კვლევის მახასიათებლები (ვალიდობა და სანდოობა) და ფაქტორული ანალიზი ..	138
3.3 ჰიპოთეზების შემოწმება .....	155
დასკვნა .....	174
გამოყენებული ლიტერატურა .....	180
დანართი .....	205

## ცხრილების ნუსხა

<b>ცხრილი 1.</b> ძირითადი სხვაობა „სინოპტიკურ“ და „ინკრემენტალურ“ მოდელებს შორის ...	52
<b>ცხრილი 2.</b> სტრატეგიის ფორმულირების მოდელები .....53	
<b>ცხრილი 3.</b> სტრატეგიის ფორმულირების სამი მეთოდის მახასიათებლები.....59	
<b>ცხრილი 4.</b> სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ინტეგრირებული ჩარჩო .....	70
<b>ცხრილი 5.</b> სტრატეგიის პროცესის განზომილებათა მახასიათებლები .....	71
<b>ცხრილი 6.</b> სტრატეგიის ფორმულირების მოდელების კატეგორიზაცია.....72	
<b>ცხრილი 7.</b> სტრატეგიის ფორმულირების მოდელების მეფინგი ოთხი თეორიისა და სამი სტრატეგიული ხედვის მიხედვით .....	78
<b>ცხრილი 8.</b> სტრატეგიის ფორმულირების მოდელების განმარტება .....	80
<b>ცხრილი 9.</b> პორტერის გვაროვნული სტრატეგიები .....	89
<b>ცხრილი 10.</b> გგაროვნულ სტრატეგიებთან დაკავშირებული რისკები .....	92
<b>ცხრილი 11.</b> ნაშრომთა ჩამონათვალი, რომელიც სწავლობს კავშირს სტრატეგიულ დაგეგმვასა და ორგანიზაციის შედეგებს შორის .....	99
<b>ცხრილი 12.</b> ახდენს თუ არა სტრატეგიული დაგეგმვა დადებით გავლენას ორგანიზაციის შედეგებზე? - ნაშრომთა შედეგები.....104	
<b>ცხრილი 13.</b> ბიზნესის სტრატეგიის ტიპოლოგიები და ტაქსონომიები.....109	
<b>ცხრილი 14.</b> ნაშრომები მაილსისა და სნოუს და პორტერის ტიპოლოგიებს მიხედვით.....114	
<b>ცხრილი 15.</b> კვლევის შედეგები.....117	
<b>ცხრილი 16.</b> სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო პროცესები .....	125
<b>ცხრილი 17.</b> სტრატეგიის განხორციელებაზე არსებული კვლევების შედეგები .....	128
<b>ცხრილი 18.</b> მეცნიერული პარადიგმების ონთოლოგია, ეპისტემოლოგია, მეთოდოლოგია და მათთან დაკავშირებული კვლევის მეთოდები .....	132
<b>ცხრილი 19.</b> კონსტრუქციები და საზომი სკალები .....	136
<b>ცხრილი 20.</b> სკალების სანდოობა.....142	
<b>ცხრილი 21.</b> დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის კმო და ბარტლეტის ტესტი.....144	
<b>ცხრილი 22.</b> დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის კომპონენტის მატრიცა	145

<b>ცხრილი 23.</b> დიფერენცირების სტრატგიის ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი	146
<b>ცხრილი 24.</b> დიფერენცირების სტრატეგიის ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა	146
<b>ცხრილი 25.</b> ფოკუსირების სტრატეგიის ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი	147
<b>ცხრილი 26.</b> ფოკუსირების სტრატეგიის ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა	148
<b>ცხრილი 27.</b> სტრატეგიული დაგეგმვის ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი	149
<b>ცხრილი 28.</b> სტრატეგიული დაგეგმვის ცვლადების დატრიალებული მატრიცა	150
<b>ცხრილი 29.</b> სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი	151
<b>ცხრილი 30.</b> სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა	151
<b>ცხრილი 31.</b> კომპანიის შედეგების ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი	152
<b>ცხრილი 32.</b> მიზნების მიღწევის ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა	153
<b>ცხრილი 33.</b> კონკურენტული შედეგების ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა	153
<b>ცხრილი 34.</b> კორელაციის კოეფიციენტები სტრატეგიულ დაგეგმვას, მიზნების მიღწევასა და კომპურენტულ შედეგებს შორის	155
<b>ცხრილი 35.</b> სტრატეგიული დაგეგმვისა და მიზნების მიღწევის რეგრესიის მოდელის შეჯამება	156
<b>ცხრილი 36.</b> სტრატეგიული დაგეგმვისა და კონკურენტული შედეგების რეგრესიის მოდელის შეჯამება	156
<b>ცხრილი 37.</b> ტუკის კრიტერიუმი - მიზნების მიღწევა	159
<b>ცხრილი 38.</b> ტუკის კრიტერიუმი - კონკურენტული შედეგები	160
<b>ცხრილი 39.</b> ჰომოგენური ჯგუფები ტუკის კრიტერიუმის მიხედვით	161
<b>ცხრილი 40.</b> ჰომოგენური ჯგუფები ტუკის კრიტერიუმის მიხედვით	161
<b>ცხრილი 41.</b> ტუკის კრიტერიუმი - მიზნების მიღწევა და კონკურენტული შედეგები	163
<b>ცხრილი 42.</b> ჰომოგენური ჯგუფები ტუკის კრიტერიუმის მიხედვით	164

<b>ცხრილი 43.</b> პომოგენური ჯგუფები ტუკის კრიტერიუმის მიხედვით .....	164
<b>ცხრილი 44.</b> სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული არცხევანის სიცხადის რეგრესიის მოდელის შეჯამება .....	166
<b>ცხრილი 45.</b> სტრატეგიული არჩევანის წინასწარმეტყველება რეგრესიული მოდელის მიხედვით.....	166
<b>ცხრილი 46.</b> კორელაცია სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხის და კომპანიის შედეგებს (მიზნების მიღწევა და კონკურენტული შედეგები) შორის .....	168
<b>ცხრილი 47.</b> სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხისა და მიზნების მიღწევის რეგრესიის მოდელის შეჯამება .....	168
<b>ცხრილი 48.</b> სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხისა და კონკურენტული შედეგების რეგრესიის მოდელის შეჯამება.....	169
<b>ცხრილი 49.</b> კორელაცია სტრატეგიულ დაგეგმვასა და სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხს შორის .....	169
<b>ცხრილი 50.</b> სტრატეგიულ დაგეგმვასა და სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხის რეგრესიის მოდელის შეჯამება.....	170
<b>ცხრილი 51.</b> ტუკის კრიტერიუმი - კონკურენტული შედეგები.....	171
<b>ცხრილი 52.</b> პომოგენური ჯგუფები ტუკის კრიტერიუმის მიხედვით .....	172
<b>სქემების ნუსხა</b>	
<b>სქემა 1. BCG მატრიცა.....</b>	19
<b>სქემა 2. სტრატეგიის ფორმულირება, როგორც ერთიანი პროცესი .....</b>	41
<b>სქემა 3. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის სამი კონცეფცია.....</b>	42
<b>სქემა 4. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევის განზომილებები .....</b>	46
<b>სქემა 5. პროცესის კლასიკური მოდელი .....</b>	54
<b>სქემა 6. სტრატეგიული გადაწყვეტილებების პროცესები - ინტეგრაციული მოდელი.....</b>	68
<b>სქემა 7. კვლევის მოდელი.....</b>	137

## შესავალი

თემის აქტუალურობა. ნებისმიერი კომპანიის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორს სტრატეგიული მართვის ხარისხი წარმოადგენს. ის, თუ რა ყურადღებას უთმობენ მენეჯერები სტრატეგიის ფორმულირებასა და განხორციელებას, სარკისებურად აისახება კომპანიის შედეგებზე. უცხოური გამოცდილება ცხადყოფს, რომ წარმატებულ კომპანიებს ნათლად და ცხადად აქვთ ჩამოყალიბებული სტრატგიული არჩევანი და მიზნების მიღწევას ეტაპობრივად ახორციელებენ, რითაც ისინი აღწევენ სასურველ შედეგებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე.

სტრატეგიულ მენეჯმენტზე არსებული ლიტერატურის ანალიზმა ნათლად დაგვანახა სიმწირე თეორიული თუ ემპირიული ნაშრომებისა, რომლებიც სწავლობს სტრატეგიულ დაგეგმვას, სტრატეგიის ფორმულირებისა და განხორციელების პროცესებს და მათ კავშირს საწარმოების შედეგებთან საქართველოში, რაც ზრდის ამ მიმართულებით კვლევის საჭიროებას. კერძოდ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები არის გადასადგმელი სტრატეგიული დაგეგმვის ტიპებისა და სტრატეგიის კვლევის პროცესის სწორად წარმართვის თეორიული დამუშავებისთვის. ემპირიული თვალსაზრისით, ბიზნესის სტრატეგიის ოპერაციონალიზაციის კრიტერიუმების განსაზღვრა მნიშვნელოვან ყურადღებას და პროგრესს საჭიროებს, რათა ამ სფეროში ჩატარებული კვლევები იყოს გალიდური და სანდო. კომპანიის შედეგების განმსაზღვრელი კრიტერიუმების დადგენა გაადვილებს კავშირის დადგენას სტრატეგიულ დაგეგმვას, ბიზნესის სტრატეგიასა და კომპანიის შედეგებს შორის.

ნაშრომის მეცნიერული დამუშავების დონე. საქართველოში აღნიშნულმა საკითხმა აქტუალურობა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეიძინა. მაგრამ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მაინც არ არსებობს სისტემური მონოგრაფიული გამოკვლევა, თუმცა სტრატეგიული მართვის ცალკეული ასპექტები განხილულია პროფესორების: ი. მესხიას, ჟ. შაბურიშვილის, ლ. ყორდანაშვილის, ნ. თოდუას, თ. შენგალიას, ე. ჩოხელის, დ. სიხარულიძის, გ. ღალანიძის ბ. მღებრიშვილის, ნ. პაპაჩაშვილის, ლ. სენიაიძის, ლ. ჩაგელიშვილისა და სხვათა ნაშრომებში.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირების, განხორციელებისა და შედეგებს შორის კავშირების დადგენით უზრუნველყოს სტრატეგიული მართვის პროცესის ეფექტიანობის ამაღლება საქართველოში არსებულ სამრეწველო საწარმოებში.

მიზნიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი კონცენტრირებულია შემდეგ ამოცანებზე:

1. სტრატეგიული მართვის ორგანიზაციის ეფოლუციის ანალიზი;
2. სტრატეგიის ფორმულირების კვლევის პროცესის შესწავლა;
3. სტრატეგიის ფორმულირების მოდელების ანალიზი;
4. ბიზნესის სტრატეგიის ტიპოლოგიების და ტაქსონომიების გაანალიზება;
5. ბიზნესის სტრატეგიის ოპერაციონალიზაციის კრიტერიუმების დადგენა;
6. საწარმოებში სტრატეგიის ფორმულირების, განხორციელებისა და კომპანიის შედეგებს შორის კავშირების გამოკვეთა;
7. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის პიპოთება.** შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გვაჩვენა, რომ სადისერტაციო ნაშრომის მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია შემდეგი პიპოთების შემოწმება:

**პ1:** რაციონალური, ამომწურავი სტრატეგიული დაგეგმვა საწარმოებს უკეთეს შედეგებს მოუტანს;

**პ2ა:** საწარმოები, რომლებსაც ნათლად აქვთ განსაზღვრული დანახარჯების მიხედვით ლიდერობის, დიფერენციაციის, ფოკუსირების ან ინტეგრირებული სტრატეგიები, აჩვენებენ უკეთეს შედეგებს, ვიდრე ე.წ. „შუაში გახიდული“ საწარმოები;

**პ2ბ:** საწარმოები, რომლებიც მიჰყვებიან ინტეგრირებულ სტრატეგიებს, აჩვენებენ უკეთეს შედეგებს, ვიდრე დანახარჯების მიხედვით ლიდერობის, დიფერენცირების ან ფოკუსირების სტრატეგიების ერთგულნი;

**პ3:** საწარმოები, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ სტრატეგიულ დაგეგმვას, ადგილად აყალიბებენ ბიზნესის ოთხი სტრატეგიიდან (დანახარჯების მიხედვით ლიდერობა, დიფერენცირება, ფოკუსირება ან ინტეგრირებული) ერთ-ერთს;

**პ4:** სტრატეგიის განხორციელების ეფექტიან დაგეგმვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოს შედეგების გაუმჯობესებაში;


**პ5:** საწარმო, რომლისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაგეგმვა, ასევე დიდ ყურადღებას უთმობს სტრატეგიის განხორციელებას;

**პ5ბ:** საწარმოები, რომლებიც ბიზნესის ოთხი სტრატეგიიდან (დანახარჯების მიხედვით ლიდერობა, დიფერენცირება, ფოკუსირება ან ინტეგრირებული) ირჩევენ ერთ-ერთს, შედარებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სტრატეგიის განხორციელებას, ვიდრე „შეაში გახიდულები“.

**კვლევის საგანი, ობიექტი და მოდელი.** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია ბიზნესის სტრატეგიული მართვის პროცესის ეფექტიანობა. ნაშრომის კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი სამრეწველო საწარმოები, მათი საქმიანობის დივერსიფიკაცია და მასშტაბები, ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებები, ეკონომიკური და ფინანსური შედეგების მაჩვენებლები.

**კვლევის მეთოდი.** წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. არსებული თეორიებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის სფეროში წამყვანი მეცნიერების ნაშრომების ანალიზისა და სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა პიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა კითხვარების დაგზავნის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავებით. ამრიგად, მიღგომა, რომელსაც ეფუძნება ნაშრომი, გულისხმობს არსებული თეორიის (პიპოთეზის) ემპირიული კვლევის საშუალებით შემოწმებას.

## კვლევის მოდელი



გამომდინარე ზემოხსენებულიდან, ეს კვლევა ატარებს პოზიტიურ ხასიათს, რომელიც გულისხმობს რეალობის არსებობას მკვლევარისგან დამოუკიდებლად. კვლევაში გამოყენებული ანალიტიკური ხერხებია: დისპერსიული ანალიზი, რეგრესული ანალიზი, კორელაციის ანალიზი.

**ნაშრომის თეორიული საუძველი.** ლიტერატურის ანალიზმა ნათელყო, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის ინტერესის უმთავრეს სფეროს შემდეგი საკითხის კვლევა წარმოადგენს - რა იწვევს შედეგების არაერთგვაროვნებას კონკურენტ კომპანიებს შორის? (რუმელტი, შენდელი და ტისი, 1994). არსებული შეხედულების თანახმად, კონკურენტი კომპანიების შედეგების არაერთგვაროვნების საკითხში, სხვა ფაქტორებთან შედარებით, დიდ როლს თამაშობს სტრატეგიის ფორმულირების პროცესების ხარისხი, ბიზნესის სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელება (მინცბერგი, 1990; პარნელი, 1997).

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს აღნიშნული სამი ფაქტორის გავლენას საწარმოს შედეგებზე. პკლევაში კომპანიის შედეგები გაზომილია ორი საზომი მექანიზმის, „მიზნების მიღწევის“ და „კონკურენტული შედეგების“ გამოყენებით. „მიზნების მიღწევაში“ შემავალი საზომები მიმართულია იმის გასარკვევად, თუ რამდენად მიაღწია ორგანიზაციამ დასახულ მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს, ხოლო „კონკურენტული შედეგების“ საზომები კი გვიჩვენებს, თუ რამდენად გაუმჯობესდა ან გაუარესდა საწარმოს შედეგები გაყიდვების, მოგების, ბაზრის წილის და აშ. მიხედვით. (იხ. დანართი 1).

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია სტრატეგიის ფორმულირების რაციონალური და ამომწურავი არჩევანის მეთოდი. სენიორულ მეთოდს მიმართავს მკვლევარების დიდი ნაწილი კონკურენტ კომპანიებს შორის განსხვავებული შედეგების ფენომენის ასახესნელად (ნაშრომების დეტალური განხილვა და მათი შედეგები წარმოდგენილია მეორე თავში). დაგენერაციული დაგეგმვის დადგენით იმას, რომ ნაშრომთა გარკვეულმა ნაწილმა დაადასტურა სტრატეგიული დაგეგმვის დადგებითი ზეგავლენა საწარმოს შედეგებზე. თუმცა, ზოგიერთმა კვლევამ საერთოდ ვერ აღმოაჩინა ვერანაირი კავშირი ამ ორ ფენომენს შორის. აგროვე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მკვლევართა უმრავლესობას არ აქვს მითითებული დარგი თუ სექტორი, რომელიც მათ შეისწავლეს. უფრო მეტიც, საქართველოში ჯერჯერობით მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა.

ბიზნესის სტრატეგია. რა თქმა უნდა, სტრატეგიულ მენეჯმენტზე არსებულ ლიტერატურაში ბიზნესის სტრატეგიის შესახებ უამრავი ავტორის მიერ შემოთავაზებული განმარტება არსებობს (იხ. თავი 1). თუმცა, მათ შორის აკადემიურ წრეებში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს პორტერის (1980) ბიზნესის სტრატეგიის ტიპოლოგია. პორტერის (1980) ბიზნესის სტრატეგიის ტიპოლოგიაზე დაყრდნობით, ნაშრომში ვიხელმძღვანელეთ ბიზნესის სტრატეგიის შემდეგი ინტერპრეტაციით: „ამომწურავ და რაციონალურ სტრატეგიულ დაგეგმვაზე დაფუძნებული მეთოდების ერთობლიობა, რომელიც სამრეწველო საწარმოებს აძლევს კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და შენარჩუნების საშუალებას (ხარჯების შემცირება, საკუთარი პროდუქციის

განსხვავება კონკურენტების პროდუქციისგან ან/და ხარჯების შემცირება და საკუთარი პროდუქციის განსხვავება კონკურენტების პროდუქციისგან). ივი აგრეთვე გულისხმობს განხორციელებისათვის სავალდებულო მიღვომების და ამოცანების პრიორიტეტულობის მიხედვით დალაგებასა და პროცესის მონაწილეობის დაწვრილებით განმარტებას.“

სტრატეგიის განხორციელება. სტრატეგიის განხორციელება თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს სტრატეგიის ფორმულირებასა და საწარმოს შედეგებს შორის (ნოუბლი და მოკვა, 1999). ნათმა (1999) გამოიკვლია აშშ-სა და კანადაში მოქმედი საწარმოების სტრატეგიული გადაწყვეტილებები და დაასკვნა, რომ მათი ნახევარიც კი ვერ აღწევდა დაგეგმილ მიზნებს, სტრატეგიის განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომების გამო. იმის მიუხედავად, რომ სტრატეგიის ფორმულირების კვლევის მიმდინარეობა კარგადაა განვითარებული, სტრატეგიის განხორციელებაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვამ ცხადყო, რომ ამ დრომდე ჩატარებული კვლევებიდან სტრატეგიის განხორციელებისა და ორგანიზაციის შედეგების ურთიერთკავშირს სწავლობს მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი (პიქსონი, მილერი და უილსონი, 2003). სადისერტაციო ნაშრომში შევეცდებით, ავხსნათ არაერთგვაროვანი შედეგები სამრეწველო საწარმოებში, სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხის, მკაფიოდ განსაზღვრული ბიზნესის სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვაზე გაკეთებული აქცენტის მიხედვით.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** კვლევის მეცნიერული სიახლეა, ფაქტობრივად, კვლევის მთლიანი შედეგები, რამდენადაც მსგავსი მასშტაბის კვლევა საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. სტრატეგიულ დაგეგმვას, სტრატეგიის ფორმულირებასა და მის განხორციელებას ქართულ აკადემიურ წრებში აქამდე ჯერ არ დათმობია სათანადო ყურადღება, ხოლო კომპანიის შედეგებზე მისი გავლენის ანალიზი არცერთ ემპირიულ კვლევაში არ არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ემპირიული ნაშრომების შესწავლამ გამოააშკარავა სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული კვლევების სიმწოდე, განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც ფირმულირებისა და განხორციელების პროცესებს ერთდროულად სწავლობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს როგორც სიახლის

მატარებელს, ასევე კონტრიბუტორს სტრატეგიული მართვის სფეროში არსებული ცოდნის შესავსებად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს შემდეგი:

- გამოვლენილია და ერთმანეთისგან თვისებრივად გამიჯნულია სტრატეგიული მქნევმენტის თეორიული ევოლუციის ხუთი ეტაპი: ფინანსური დაგეგმვა, გრძელვადიანი დაგეგმვა, სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიული მართვა, სტრატეგიული აზროვნება;
- ჩამოყალიბებულია სტრატეგიის ფორმულირების მოდელების ფუნდამენტური კლასიფიკაცია: გამოკვეთილია სტრატეგიის ფორმულირების თეორიული, გმპირიული და ინტეგრირებული მოდელები;
- დადგენილია, რომ საქართველოში არსებულ საწარმოებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან რაციონალურ და ამომწურავ სტრატეგიულ დაგეგმვაზე, უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე იმ კომპანიებს, რომლებიც ნაკლებად არიან ორიენტირებულნი სტრატეგიულ დაგეგმვაზე;
- გამოვლენილია, რომ საწარმოები, რომელთაც ნათლად აქვთ განსაზღვრული სტრატეგიული კურსი, უკეთეს შედეგებს აღწევენ, ვიდრე ის საწარმოები, რომლებიც სტრატეგიის სიცხადით არ გამოირჩევიან („შუაში გახიდულები“);
- დასაბუთებულია, რომ საწარმოებს, რომლებიც მიჰყვებიან ინტეგრირებულ სტრატეგიებს, აქვთ თანაბარი შედეგები დანახარჯების მიხედვით ლიდერობისა და დიფერენცირების სტრატეგიების მიმდევარ საწარმოებთან მიმართებით;
- დადგენილია, რომ საწარმოები, რომლებიც სტრატეგიულ დაგეგმვაზე ამახვილებენ უერადღებას, ნაკლებად აწყდებიან პრობლემებს სტრატეგიის ფორმულირების პროცესში და, შესაბამისად, ადვილად აყალიბებენ სტრატეგიულ არჩევანს;

- გამოვლენილია, რომ საქართველოში არსებულ საწარმოებში სტრატეგიის განხორციელების ეფექტიან დაგეგმვასა და კომპანიის შედეგებს შორის არ არსებობს ძლიერი ურთიერთდამოკიდებულება;
- დასაბუთებულია, რომ საქართველოში საწარმოები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სტრატეგიულ დაგეგმვაზე, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სტრატეგიის განხორციელების ეფექტიან დაგეგმვას;
- გამოვლენილია, რომ საწარმოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სტრატეგიის განხორციელების ეფექტიან დაგეგმვას.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული თეორიების, ხედვებისა და მიგნებების გამოყენება გაამდიდრებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ცოდნას სტრატეგიული მართვის სფეროში. უფრო მეტიც, ნაშრომი სტრატეგიის ფორმულირების და მისი განხორციელების პროცესები კომპანიის შედეგებთან მიმართებაშია გაანალიზებული, რაც არსებითი სიახლეა ამ მიმართულებით.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემების შესწავლით დაკავებული მეცნიერთათვის, ასევე საქართველოში მოქმედი საწარმოების მენეჯერთათვის, რომლებიც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მეშვეობით ცდილობენ მიაღწიონ წარმატებას კონკურენტულ ბაზარზე. მოცემული კვლევა დაეხმარება მათ გამოავლინონ ის ხელშემშლელი ფაქტორები, რომლებიც არსებობს სტრატეგიული არჩევანის გაკეთებისას და ასევე იმ სირთულეების დაძლევაში, რომელიც წარმოიქმნება ამ პროცესში. ნაშრომში განვრცობილი სტრატეგიულ არჩევანსა და კომპანიის შედეგებს შორის კავშირი მენეჯერებს გაუმარტივებს სტრატეგიული არჩევანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და შეამცირებს მათი განხორციელების პროცესში წარმოქმნილი რისკების დონეს.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები და მიღებული სამეცნიერო შედეგები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სტრატეგიული მენეჯმენტის, ბიზნესის საფუძვლების, მარკეტინგისა და სხვა მომიჯნავე სასწავლო კურსებში.

ნაშრომის პუბლიკაცია და აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ შრომებში:

- 1 „**ბიზნესის სტრატეგიის იმპლემენტაციის გავლენა კომპანიის საქმიანობის შედეგებზე საქართველოში**”, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2016წ.
- 2 „**ბიზნესის სტრატეგიული მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები**”, ნაშრომთა კრებული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2016.;
- 3 „**სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის ძირითადი მიმღინარეობები**“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი IX, N2, 2016;
- 4 „**Strategic Processes in Georgian Manufacturing Companies – Business-Level Strategy**“, Scientific journal of University of Natural Sciences and Humanities in Siedlce, Series: Administration and Management, N 109, (36) 2016.

სადოქტორო პროგრამის მეორე კოლოქვიუმი „ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირება და განხორციელება ქართულ სამრეწველო კომპანიებში“ შესრულებულ და წარდგენილ იქნა ვილნიუსის გედიმინას სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრაზე. კოლოქვიუმი შეფასდა 95%-ით.

ნაშრომი მთლიანად განხილული და აპრობირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე (ოქმი N3, 22.12.2016), სადაც იგი მოწონებულ და რეკომენდებულ იქნა საჯარო დაცვისათვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 180 გვერდს. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასვნითი ნაწილისგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და შვიდი დანართი.

**პირველ თავი „სტრატეგიული მართვის პროცესი და სტრატეგიის ფორმულირების მიმდინარეობები“, შედგება სამი პარაგრაფისგან. პირველი, „სტრატეგიული მართვის თეორიული ევოლუცია“, სადაც განხილულია ბიზნესის სტრატეგიული მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, ევოლუცია და სხვადასხვა მეცნიერთა კონცეპტუალური შეხედულებები.**

მეორე პარაგრაფი, „სტრატეგიის ფორმულირების პროცესი და კვლევის ძირითადი მიმდინარეობები“, მიზნად ისახავს, სამრეწველო ორგანიზაციებზე დაყრდნობით, სტრატეგიის ფორმულირების პროცესების კვლევის მიმდინარეობათა ანალიზს, რომლებიც განისაზღვრა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე, განიმარტა სტრატეგიის არსი და მისი პროცესი, აგრეთვე, სტრატეგიის ფორმულირების ათი სკოლა. ხოლო, მეორე ეტაპზე მოყვანილია ჰაფისა და რეგერის (1987) მიერ შემოთავაზებული სტრატეგიის ფორმულირების პროცესის მიმართულებები, რაც დაბოლოვდა კვლევის იმ მიმდინარეობის არჩევით, რომელიც ნაშრომში არის გამოყენებული. ხოლო მესამე პარაგრაფში, „სტრატეგიის ფორმულირების პროცესის მოდელები“, განხილულია სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებული რამდენიმე მოდელი და არჩეულია ის მეთოდი, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია გამოიყენებული.

**მეორე თავი „ბიზნესის სტრატეგია სამრეწველო საწარმოებში“ წარმოდგენილია სამი პარაგრაფით. პირველ პარაგრაფში, „ბიზნესის სტრატეგიის არსი“, განხილულია ბიზნესის სტრატეგიის არსი და მისი დონეები. ახსნილია კორპორაციული, ბიზნეს ერთეულისა და ფუნქციური დონეების სტრატეგიები და სხვადასხვა მეცნიერთა კონცეპტუალური შეხედულებები. აგრეთვე, განმარტებულია პორტერის გვაროვნული სტრატეგიები და მათთან დაკავშირებული რისკები. წარმოდგენილია გვაროვნული სტრატეგიების კრიტიკა და ახსნილია მათი განშტოებები. აღნიშნული თავი მოიცავს მაილსისა და სნოუს მიერ ჩამოყალიბებული სტრუქტურის განხილვას.**

მეორე პარაგრაფი „სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა და მისი გავლენა საწარმოს შედეგებზე“ მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვასა და შედეგებს შორის არსებული ურთიერთკავშირის დასადგენად 41 სხვადასხვა ჟურნალში გამოქვეყნებული თეორიული თუ ემპირიული ნაშრომის მიმოხილვას, ხოლო მესამე პარაგრაფში, „ბიზნესის სტრატეგია

და საწარმოს „შედეგები“, წარმოდგენილია ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირებისა განხორციელების პროცესებზე არსებული ემპირიული ლიტერატურის მიმოხილვა. სტრატეგიის ფორმულირების კუთხით მიმოხილულია სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებული სტრატეგიის ტიპოლოგიები და ტაქსონომიები. აგრეთვე, სტრატეგიის განხორციელების კუთხითაც მიმოხილულია ემპირიული ნაშრომები. დაბოლოს, ლიტერატურული მიმოხილვის შემდეგ ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზები, რომელთა შემოწმებაც შემოთავაზებულია მომდევნო თავში.

**მესამე თავი** სრულად დაეთმო კვლევით ნაწილს, მონაცემთა ანალიზის მეთოდებისა და ჰიპოთეზების შემოწმებას, რომლის შედეგებიც გამოტანილია ნაშრომის დასკვნით ნაწილში. აღნიშნული თავიც წარმოდგენილია სამი პარაგრაფით. პირველი პარაგრაფში, „კვლევის მეთოდოლოგია“ განხილულია კვლევის სტრატეგია და კვლევის დიზაინი. მეორე პარაგრაფში, „კვლევის მახასიათებლები (ვალიდობა და სანდოობა)“ და ფაქტორული ანალიზი“ შემოწმებულია შეგროვებული მონაცემების ვალიდურობა და სანდოობა. განხორციელდა თვითოვეული საზომის (სტრატეგიული დაგეგმვა, ბიზნესის სტრატეგია, სტრატეგიის განხორციელება და საწარმოს „შედეგები“) ფაქტორული ანალიზი. დაბოლოს, მესამე პარაგრაფში „ჰიპოთეზების შემოწმება“ მოხდა ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების ტესტირებით და გაკეთდა დასკვნები.

## თავი I. სტრატეგიული მართვის პროცესი და სტრატეგიის ფორმულირების მიმდინარეობები

### 1.1 სტრატეგიული მართვის თეორიული ეფოლუცია

ამ პარაგრაფში განხილულია ბიზნესის სტრატეგიული მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, ეფოლუცია და სხვადასხვა მეცნიერის კონცეპტუალური შეხედულებები. სტრატეგიულ მენეჯმენტზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგებ გამოიკვეთა სტრატეგიული მართვის ეფოლუციის ხუთი ეტაპი, რომლებიც წამოდგენილია ქვემოთ.

**პირველი ეტაპი:** ფინანსური დაგეგმვა. ბიზნესის სტრატეგიის ეფოლუციის პირველ ეტაპად ითვლება მისი ყველაზე პრიმიტიული ფორმა - ფინანსური დაგეგმვა, რომელიც გამოიყენებოდა 50-იან წლებში. სტრატეგიის ეფოლუციის პირველი ეტაპი მოიცავდა ფირმის ბიუჯეტის შედგენას და თორმეტოვიან პერიოდზე გადანაწილებას. კომპანიის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული დირექტორებსა და მაღალი თანამდებობის პირებზე, აგრეთვე ამ პირების ინფორმირებულობაზე პროდუქტის, ბაზრისა და კონკურენტების შესახებ (გლუკი, კაუფმანი და ვალეკი, 1980). ამ საკითხთან დაკავშირებით დრაკერი (1955) დაობდა, რომ დირექტორები და მენეჯერები სტრატეგიის ჩამოყალიბებისას უნდა სვამდნენ შემდეგ შეკითხვებს: რა არის ჩვენი ბიზნესი და როგორი უნდა იყოს ის მომავალში?

საკუთარი სახელობის საკონსულტაციო კომპანიის დამაარსებლის და ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბუდალტერიის პროფესორის, ჯეიმს მაკინზის, ყველაზე ცნობილი პუბლიკაცია „საბიუჯეტო კონტროლი“ მიიჩნევა თანამედროვე ბუდალტერიის საწყისად (მაკინზი, 1922). პირველი ეტაპის იდეა სწორედ ამ ნაშრომიდან გამომდინარეობს. როგორც აღვნიშნეთ, სტრატეგია განისაზღვრებოდა მხოლოდ ბიუჯეტით და არ ითვალისწინებდა სხვა ფაქტორებს, როგორებიცაა, მაგალითად, კაპიტალის მოძიება. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში ბიზნესგარემო იყო შედარებით სტაბილური და პროგნოზირებადი. შესაბამისად, ასეთი სტრატეგიული მიღვომა, უმეტეს შემთხვევაში, წარმატებული იყო. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ სტრატეგიის პარადიგმის გადასვლა შემდეგ ეტაპზე გარდაუვალი აღმოჩნდა.

**მეორე ეტაპი: გრძელვადიანი დაგეგმვა.** 60-იან წლებში სტრატეგიის განვითარების პროცესი გადავიდა შემდეგ ეტაპზე, რომელიც ცნობილია, როგორც გრძელვადიანი დაგეგმვა. გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდიკა იყო ერთწლიანი ფინანსური დაგეგმვის პროცესის განვრცობა ხუთ წლამდე, რომელიც მოიცავდა დეტალურ სამოქმედო გეგმას. გრძელვადიანი დაგეგმვის ეგოლუციის პროცესი სოციალურ ან პოლიტიკურ ფაქტორებს, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ ითვალისწინებდა, ან უმნიშვნელო დოზით მოიაზრებდა, ვინაიდან ბაზარი შედარებით სტაბილური იყო.

ამ ფაზის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა მკვლევარმა ჯორჯ სტაინერმა. მან არ დაიშურა ძალისხმევა, რათა მენეჯერების ყურადღება მიეპყრო გრძელვადიანი დაგეგმვის აუცილებლობაზე. მის მიერ გამოცემული ნაშრომი „გრძელვადიანი მენეჯერული დაგეგმვა“ ყურადღებას ამახვილებდა კორპორაციული, გრძელვადიანი დაგეგმვის საკითხებზე (სტაინერი, 1969).

აგრეთვე, აღსანიშნავია უაღრესად დიდი წვლილი იმ პერიოდში მოღვაწე სხვა მეცნიერების, რომლებმაც დახმარება გაუწიეს სტრატეგიის სფეროს განვითარებას, მათ შორის ჩენდლერის (1962), ენდრიუსის (1965) და ანსოვის (1968). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რუსი მეცნიერის, იგორ ანსოვის, ნაშრომი. მისი ინტერესი სტრატეგიის მიმართ გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც დაასკვნა, რომ მხოლოდ დასახული კორპორაციული მიზნების მიღწევა არ არის საკმარისი კომპანიის ზრდის უზრუნველსაყოფად. მის კლასიკურ ნაშრომში „კორპორაციული სტრატეგია“ აღნიშნულია, რომ მიზნების დასახვის გარდა საჭიროა დამატებითი ქმედებები, რათა კომპანიამ შეძლოს წარმატებულად და მომგებიანად ფუნქციონირება (ანსოვი, 1968). ანსოვი სტრატეგიას განმარტავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ჭრილში, რომელიც „... უპირველესად დაკაფშირებულია გარე ფაქტორებთან, კერძოდ, პრობლემებთან, რომლებიც ასოცირდება პროდუქტის სწორი მიქსისა და მის სარეალიზაციოდ შესაბამისი ბაზრის შერჩევასთან“ (ანსოვი, 1968, გვ. 45). იგი სტრატეგიას უწოდებს „დამაკავშირებელ ძაფს“, რომელიც მოიაზრება როგორც „... ურთიერთობა არსებულ და სამომავლო სასაქონლო ბაზრებთან, რომელიც განსაზღვრავს ფირმის კურსს და, ამავდროულად, წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუქციას მენეჯერებისთვის“ (ანსოვი, 1968, გვ. 45).

ავტორი საკუთარ ნაშრომში ზემოაღნიშნული „დამაკავშირებელი ძაფის“ ოთხ ძირითად კომპონენტს გამოყოფს, ესენია:

- ფირმის სასაქონლო ბაზრის ხედვა;
- ზრდის მაჩვენებელი, რომელიც განჭვრებს ორგანიზაციის სასაქონლო ბაზრის მდგომარეობის ცვლილებას;
- კონკურენტული უპირატესობა;
- სინერგია.

რესი მეცნიერის თქმით, ამ ოთხი კომპონენტის განსაზღვრა და გაანალიზება არის ნებისმიერი კომპანიის წარმატების საწინდარი. თუმცა, ანსოვის კვლევები არ იყო თავისუფალი კრიტიკისგან, რომელიც, მინცბერგის თქმით, გარკვეულწილად „დაგეგმვის სკოლის“ საფუძველი გახდა და მოიცავდა:

- პირველი - სტრატეგიის განხორციელების პროცესში მაღალი რანგის მენეჯერების ჩაურთველობას შესაძლოა გამოეწვია მათი ხელქვეითების უკმაყოფილება და გულგრილი დამოკიდებულება იმპლემენტაციის პროცესისადმი;
- მეორე პრობლემაც დაბალი რანგის მენეჯერებს უკავშირდება და იმ ფაქტს, რომ მათთვის შესაძლოა მიუღებელი იყოს ცენტრალიზებული მართვის სისტემა;
- მესამე - არასტაბილური გარემო-ვითარების პირობებში დაგეგმვა შესაძლოა არახელსაყრელი იყოს;
- დაბოლოს, დაგეგმვა ზღუდავს სინთეზს (ანსოვი, 1968).

აღნიშვნის დირსია ის ფაქტი, რომ ანსოვის კვლევების მიმართ ზემოთ მოყვანილი კრიტიკული მიდგომა მართებული აღმოჩნდა, რასაც ნათლად ხაზს უსვამს სტრატეგიის ევოლუციის შემდგომი ეტაპები.


**მესამე ეტაპი: სტრატეგიული დაგეგმვა.** 1970-იან წლებში სტრატეგიის ევოლუციის პროცესი გადავიდა მესამე ფაზაში, რომელიც ცნობილია როგორც სტრატეგიული (გარე გარემოზე ორიენტირებული) დაგეგმვის ეტაპი. ამ საფეხურზე დაგეგმვა უფრო დახვეწილი ფორმით გვხვდება - მოიცავს რა გარემოს სრულყოფილ შეფასებასა და კონკურენციის დრმა ანალიზს, იგი, აგრეთვე, ითვალისწინებს ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავებასა და რესურსების განაწილების უფექტიან მეორდებს. ამ პერიოდში ბოსტონის

საკონსულტაციო ჯგუფის მიერ შემუშავდა ე.წ. ბოსტონის მატრიცა (BCG matrix) (პორვაზი, 2006).

ბრუს პენდერსონმა, BCG მატრიცის შემქმნელმა და „Westinghouse Electric“ კომპანიის ყოფილმა გენერალურმა მენეჯერმა, შენიშნა, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში კომპანიის მიერ გაწეული დანახარჯი ერთეული პროდუქტის წარმოებაზე უფრო მცირდებოდა. მან ეს ყველაფერი მიაწერა კომპანიის მიერ გამოცდილების შეძენას (დახელოვნებას საქმის კეთებაში) და დასკვნა, რომ დროს და ეფექტუარობას პროდუქციაში პროპორციული დამოკიდებულება აქვთ. ამ იდეაზე დაყრდნობით შეიქმნა ე.წ. „გამოცდილების დიაგრამა“. ეს დიაგრამა ითვალისწინებდა, რომ „ერთეული პროდუქტის წარმოების დირებულება ეცემა 20-30 %-ით წარმოების გამოცდილების გაორმაგების შემდეგ“ (ნეილორი, 1982).

ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მატრიცა შეიქმნა კორპორაციებისთვის, რათა მათ შეძლებოდათ თავისი სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულების შეფასება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით. ეს კრიტერიუმებია - ბაზრის წილი და ზრდის მაჩვენებელი. ამ კრიტერიუმების ორ-ორ ერთმანეთის საპირისპირო წილად (დაბალი/მაღალი ბაზრის წილი და ზრდის ტემპი) დაყოფის შედეგად მიიღება ოთხი კატეგორია - „გარსკვლავი“, „ძროხა“, „ძაღლი“ და „პრობლემური ბავშვი“ (პორვაზი, 2006).

**სქემა 1. BCG მატრიცა**



**წყარო:** პოვარტი, 2006

პენდერსონის განცხადებით, ნებისმიერი პროდუქტი მიეკუთვნება ამ ოთხიდან ერთ-ერთ კატეგორიას. თუმცა, შესაძლებელია, რომ პროდუქტმა დროის განმავლობაში

შეიცვალოს კატეგორია (მაგ. „ძალლიდან“ გადავიდეს „ძროხის“ კატეგორიაში, ან პირიქით). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მენეჯერებს შეეძლოთ შეეფასებინათ თავიანთი სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულები (პროდუქტი ან ბიზნესი) და, შესაბამისად, გაეკეთებინათ ინვესტიცია ან გამოეტანათ პროდუქტი ბაზრიდან (ო'შენესი, 1999).

ამ დიაგრამის მთავარი ნაკლი აღმოჩდა ის, რომ პროდუქტისთვის ამა თუ იმ კატეგორიის მინიჭება არ ითვალისწინებს კომპანიის სტრატეგიას ამ პროდუქტან მიმართებაში. ასევე, ეჭვს იწვევს კრიტერიუმების სიმცირე და არ ითვალისწინებს ბაზრის გარემოს, რაც გავლენას ახდენს ნებისმიერ სტრატეგიულ ბიზნეს-ერთეულზე. ამ კრიტიკისგან ჰენდერსონი თავს იცავს იმ განმარტებით, რომ ეს დიაგრამა არ შექმნილა, როგორც „გამოწერილი წამალი“ ნებისმიერი ბიზნესისთვის, არამედ როგორც ახალი, განსხვავებული ხედვა, რომლის მეშვეობითაც მენეჯერებს შეეძლოთ სხვა კუთხით დაენახათ და ეფიქრათ თავიანთ პროდუქტზე (ო'შენესი, 1999).

60-იან წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა პროექტს, რომელიც ცნობილია სახელით „მარკეტინგული სტრატეგიის გავლენა მოგებაზე“ (PIMS project). მისი ფუძემდებელი იყო სიდ შოეფლერი, ინდუსტრიული ეკონომიკის სპეციალისტი. მან შექმნა ბაზართა მოდელების დიდი მონაცემთა ბაზა. ეს მონაცემთა ბაზა აანალიზებდა სხვადასხვა ტიპის ბაზრების კონდიციებს და შესაბამის სტრატეგიებს (ო'შენესი, 1999). კლატერბერგი და კრეინერი (1990 გვ. 145) შოეფლერის კვლევის მიხედვით ამბობენ: „(შოეფლერს) მიაჩნდა, რომ საკმარისი ინფორმაციით ნებისმიერი ბაზრის ქცევა შესაძლებელია განისაზღვროს იმდენად კარგად, რომ შესაბამისი ქმედებებით აუცილებლად განაპირობო მოგება“.

ამ პროექტის ავტორებმა სხვა მრავალ საშუალებათა შორის გამოიყენეს: ბაზრის კონცენტრაცია, ბაზრის წილი და მისი ზრდის კოეფიციენტი, პროდუქტის ხარისხი, კაპიტალის და სამუშაო ძალის პროდუქტულობა, როგორც ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პროდუქტის წარმატებაზე (კლატერბერგი და კრეინერი, 1990). პორტერის (1982) აზრით, ამ პროექტის მთავარი ნაკლოვანება იყო მისი ინდუქციურობა და მეთოდების ბუნდოვანება. ასევე, მისი აზრით, ამ პროექტის შედეგების გამოყენება შეუძლებელი იყო ბევრ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით მათში, რომლებიც იმ დიდ

მონაცემთა ბაზაში არ იყვნენ შეუვანილნი. ხოლო ნეილორის (1982) თქმით, ამ პროექტის მთავარი დირექტულება იყო თვით მონაცემთა ბაზა და არა ის დირექტივები, რომლებსაც ამ პროექტის შემქმნელები იძლეოდნენ.

ალფრედ ჩენდლერი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს სტრატეგიისა და ბიზნესის სტრუქტურის შემუშავების საკითხებში. 1971 წლიდან იგი პარვარდში კითხულობდა ბიზნესის ისტორიის ლექციებს. ჩენდლერის კვლევების მთავარ სამიზნედ იქცნენ ის ბიზნესები, რომლებიც წარმატებულად ითვლებოდნენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან პირველ მსოფლიო ომამდე. მისმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ამ პერიოდისთვის ვერანაირი საოჯახო ტიპის ბიზნესი ვერ ახერხებდა კონკურენციის გაწევას კორპორაციებისათვის, რომელთაც შედარებით მეტი მუშახელი ჰყავდათ. მისი აზრით, ახალი სტილის მენეჯმენტი იყო საჭირო, რადგან ერთ ან ორ მთავარ ფიგურას არ შეეძლო ბევრ ადგილზე ერთდროულად ემუშავა. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობდა - დაქირავებული პროფესიონალები.

ჩენდლერის რჩევით, სტრატეგიული და პრაქტიკული ფუნქციები სხვადსხვა მენეჯერბმა უნდა გაინაწილონ. მისი აზრით, ერთი ინდივიდის მიერ სტრატეგიის შემუშავებაც და შესრულებაც არაპრაქტიკული იყო. სწორედ საქმის ასეთი გადანაწილება მიაჩნდა მას წარმატებული ორგანიზაციების საიდუმლოდ. სტრატეგია უნდა ყოფილიყო სათავო ოფისში მომუშავე მენეჯერთა საქმე, ხოლო უშუალოდ საწარმოო პროცესში ჩართული მენეჯერების დავალება კი - ამ სტრატეგიის განხორციელება. შეგვიძლია, ეს მიღებოდა ჩავთვალოთ დეცენტრალიზაციის პირველ მაგალითად. ჩენდლერის წიგნი „ხერატეგია და ხერუქტურა“ გამოიცა 1962 წელს და დიდად დაეხმარა ისეთ დიდ ორგანიზაციებს, რომლებსაც უჭირდათ თავიანთ სიდიდესთან გამკლავება (ჩენდლერი, 1962).

ვიქტორ სკინერი, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, აცხადებდა, რომ მარკეტინგულ დაგეგმვაზე ზედმეტად დიდმა კონცენტრაციამ შეიძლება დიდი პრობლემები შექმნას წარმოების სექტორში. მისი აზრით, ზედმეტი გათვლა ბოჭავდა მანევრირების საშუალებას წარმოებაში და თავდაპირველი გეგმიდან ნებისმიერი მცირე გადახვევა შეიძლება გამხდარიყო მთლიანი პროცესის ჩაშლის საფუძველი. მას მიაჩნდა,

რომ საუკეთესო შედეგის მისაღწევად, მარკეტინგული და საწარმოო სტრატეგია პარალელურად უნდა შემუშავებულიყო. ამ კონცეფციამ 80-იან წლებში დიდი ყურადღება მიიპყრო და აღიარებაც მოიპოვა (სკინერი, 1974).

სკინერს ეკუთვნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა, ე.წ. „ფოკუსირებული ქარხანა“. ამ თეორიით მან დაამტკიცა, რომ ქარხნისთვის არაეფექტიანი და, ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელიც კი იყო წარმოების ორი სხვადასხვა სტილით ერთდროულად ოპერირება. მაგალითად, ფართო მოხმარების პროდუქტის წარმოებისას (სამომხმარებლო ბაზრისთვის) პატარა დეფექტი შესაძლებელია ანაზღაურდეს წარმოების მასის გაზრდით და ფასის შემცირებით, რაც სამხედრო ბაზრისთვის მიუღებელია, რადგან აქ ასპროცენტიანი სიზუსტეა საჭირო. სკინერის თეორიის მიხედვით, ამ ორი განსხვავებული ტიპის პროდუქტზე ერთდროულად მუშაობა ორივე ბაზრის დაუკმაყოფილებლობას გამოიწვევდა (სკინერი, 1974).

პარვარდის პროფესორებმა პოლ ლორენსმა და ჯეი ლორშმა წამოაყენეს ორგანიზაციის შიდა გარემოს ფუნქციონირების თავიანთი თეორია. ერთი მხრივ, ყველა განყოფილებას აქვს თავისი ფუნქცია, მიზანი და გარემო. თითოეული მათგანს გააჩნია თავისი სტრუქტურა, ფორმალობის დონე, დროის პორიზონტი და ა.შ. ეს ფაქტორები უზრუნველყოფს განყოფილების „დიფერენციაციას“ სხვებისგან. ამავე დროს, ყველა განყოფილება უნდა იღვწოდეს ორგანიზაციის საერთო მიზნის მისაღწევად. ამისთვის კი აუცილებელია ინტეგრაცია, რათა არ მოხდეს ინტერესების გადაკვეთა. ლორენსის და ლორშის კვლევებმა კი დაადგინა, რომ იმ ამერიკული კომპანიების უმეტესობას, რომლებიც მაღალი დიფერენციაციით გამოირჩევიან, ინტეგრაციის მაღალი დონეც აქვთ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მაღალი დიფერენციაცია წარმოშობს კონფლიქტს განყოფილებებს შორის, რაც, თავის მხრივ, იწვევს ინტეგრაციის აუცილებლობას. ამ თეორიამ ბევრ მენეჯერს დაანახა, რომ ორგანიზაცია არ არის სტატიკური და შესაძლებელია მათი სტრატეგიის ადაპტაცია გარემო პირობების ცვლილებასთან (ლორენსი & ლორში, 1967).

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი. მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯისა, აღსანიშნავია, რომ პარადიგმის ამ ეტაპს აქვს შესრულების ტექნიკის სირთულესთან დაკავშირებული ნაკლი. ამ მიდგომის ანალიზს მივყავართ უსასრულო პარადოქსამდე. ტრადიციული ხედვა გვკარნახობს, რომ სტრატეგია იქმნება ანალიზის შედეგად გაკეთებული პროგნოზის მიხედვით. ამ ანალიზის და პროგნოზის წყალობით, ბიზნესი უფრო და უფრო უსაფრთხო ხდება. ამ ლოგიკით, ზრდა და გაფართოება არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც ბიზნესის უსაფრთხოების სრულყოფილებამდე აყვანა და ამით სავარაუდო კრახისგან აბსოლუტური დაცვა. ბუნებრივია, ამის მიღწევა პრაქტიკაში შეუძლებელია და სწორედ ამის გამო გახდა ეს მიდგომა კრიტიკის სამიზნე.

60-იან და 70-იან წლებში მენეჯერები გეგმავდნენ სტრატეგიებს დიდი ოპტიმიზმით და თავდაჯერებულობით, რადგან იმდროინდები ბიზნეს გარემო იყო სტაბილური და ადვილად სავარაუდო. მიზნებისა და სტრატეგიების შედგენის დროს გარემოს ცვლილებებს არ ექცეოდა ყურადღება. ამ ფაქტორმა ჩაუყარა საფუძველი მიდგომას, რომელიც ცნობილია სახელით „მართვა მიზნების მიხედვით“ (MBO).

ამ მიდგომის მიხედვით, სტრატეგიის ფორმულირება აღიქმებოდა, როგორც შეგნებული, რაციონალური პროცესი. მიღებული იყო, რომ სტრატეგიის სწორად შესრულების შემდეგ დასახული მიზანი აუცილებლად მიიღწეოდა, მთლიანად პროცესი კი დიდწილად ეყრდნობოდა ლოგიკას, და ნებისმიერი სხვა მიდგომა (მაგ. ემოციების გათვალისწინება) არასწორად ითვლებოდა. პროცესს ზურგს უმაგრებდა მყარი მონაცემთა ბაზა და მიიჩნეოდა, რომ ეფექტიანი ანალიზი აუცილებლად წარმოშობდა ერთ, მართებულ პასუხს (დრაკერი, 1955).

პრაქტიკაში „მიზნების მიხედვით მართვა“ საჭიროებს ძალიან დიდი რაოდენობის მონაცემებს. გარკვეული დროის შემდეგ პროცესი ძალიან რთულდება, რადგან მხოლოდ წარსულის მაგალითებს ეყრდნობა, მთლიანი სისტემა კი ძალიან არაეფექტიანი იყო ცვლილების მართვის ან ადაპტირების კუთხით. მოკლედ რომ განვმარტოთ, „მართვა მიზნების მიხედვით“ ასწავლიდა მენეჯერს, როგორ მისულიყო A პუნქტიდანდან B პუნქტამდე მაქსიმალურად მოკლე გზით. ასევე, ამ მიდგომის მიხედვით. შედეგი ამართლებს საშუალებას. „მართვას მიზნების მიხედვით“ ადარებენ ავტოსტრადას

მენეჯერებისთვის, რადგან მას მივყავართ ყველაზე სწრაფად დასახულ მიზნამდე და ამცირებს გარემოს ხელისშემშლელ ფაქტორებს (დრაკერი, 1955).

ბუნებრივია, ეს ენთუზიაზმი სტრატეგიული დაგეგმვის ფაზის მიმართ, რომელიც 70-იან წლებში დაიწყო, დიდხანს არ გაგრძელებულა. მინცბერგის (1978) აზრით, ამ პერიოდიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა ისაა, რომ სტრატეგიის შემუშავება და სწავლება აუცილებლად ერთდროული და ურთიერთგადამკვეთი პროცესი უნდა იყოს. იგი თავის წიგნში „მენეჯმენტის მეცნიერება“ სტრატეგიას იხსენიებს, როგორც „გადაწყვეტილებების დინების ერთგვარ მოდელს“ (მინცბერგი, 1978, გვ. 934-938). პარადიგმის განვითარების ამ ათწლეულიდან კი იგი სამ ყველაზე მნიშვნელოვან დასკვნას გამოყოფს. პირველი, სტრატეგიის ფორმულირება შეიძლება ჩაითვალოს როგორც ურთიერთქმედება დინამიურ ბიზნეს გარემოსა და ბიუროკრატიის მიერ გამოწვეულ ბიძგს შორის. მეორე სტრატეგიის წარმატების გარანტი არის მისი სიცოცხლის ციკლის ხშირი ცვლილება, დაბოლოს, მიღებული გაკვეთილები ჩაფიქრებულ და რეალურ სტრატეგიათა სხვაობას შორის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული პროცესია (მინცბერგი 1978). ეს დაკვირვებები ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სტრატეგიის პარადიგმის განვითარებისთვის.

**მეოთხე ეტაპი:** სტრატეგიული მართვა. თავდაპირველად სტრატეგიული დაგეგმვა ბიზნეს საზოგადოებამ მიიღო, როგორც წარმატებული და გამოსადეგი აღმოჩნდა. მოგვიანებით კი გამოცდილებამ აჩვენა, რომ კომპანიების უმეტესობა მას პრაქტიკულად ვერ ახორციელებდა. ზოგ შემთხვევაში სტრატეგიულმა დაგეგმვამ გაზარდა კომპანიის მომგებიანობა და იქცა მენეჯმენტის პროცესის განუყოფელ ნაწილად. თუმცა, ფირმების უმეტესობა გახდა აღნიშნული ფენომენის მსხვერპლი, რასაც ეწოდა „ანალიზით პარალიზება“. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმები შემუშავდა, ვერ ხერხდებოდა მათი საქმეში გამოყენება და კომპანიები აგრძელებდნენ სტაგნაციას. ბევრი პრაქტიკოსი ამ ყველაფერს აბრალებდა იმ ფაქტს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა კომპანიის მომგებიანობის გაზრდაზე არ იყო გათვლილი. ამის პასუხად, ოთხწლიანი კვლევის შემდეგ, ანსოვმა და მისმა კოლეგებმა დაასკვნეს, რომ თუ ამ ე.წ. „პარალიზებას“

კომპანია თავს დააღწევდა (რასაც დრო სჭირდება), მოგების მაჩვენებელი აუცილებლად გაიზრდებოდა (ანსოვი, 1968).

მოგვიანებით, ანსოვი კვლავ დაუბრუნდა ამ თეორიის განხილვას. მისი ლოგიკით, ეს მიდგომა ან ცუდი იდეა იყო, ან უბრალოდ, რადაც დეტალი აკლდა და ბოლომდე ჩამოყალიბება სჭირდებოდა. მან ეს თეორია შეადარა აგტომობილს, რომელსაც საჭე არ გააჩნია, ანუ მომგებიანი იდეა გამოყენების ხერხის გარეშე. აღნიშნულ საკითხში უკეთესად გარკვევის მიზნით, მან წამოიწყო კვლევა. ანსოვმა გამოიკვლია მსხვილი ამერიკული კომპანიების მნიშვნელოვანი შენაძენები 1945 წლიდან 1963 წლამდე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სტრატეგიულად დაგეგმილ შენაძენს ბევრად უფრო დიდი სარგებელი მოჰქონდა, ვიდრე ალოგიკურ და ოპორტუნისტულ გადაწყვეტილებებს. ამ კვლევის შედეგი გახდა წიგნი სახელად „ამერიკული კომპანიების შენაძენები, 1945-1963“ (ანსოვი, 1974).

სწორედ ანსოვმა შეადგინა და გამოაქვეყნა სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფცია, რის გამოც მას სტრატეგიული მენეჯმენტის მამად მოიხსენიებენ. პუბლიკაციაში ამ კონცეფციის პირველ ეტაპად და სტრატეგიული მენეჯმენტის დასაყრდენად იგი მიიჩნევს სტრატეგიულ დაგეგმვას. მეორე ეტაპია დაწერილი გეგმების რეალობაში გამოყენების უნარი. მესამე ეტაპი - ცვლილებისადმი რეზისტენტულობის მართვა (ანსოვი, 1972).

სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფცია ეყდრნობა და მთლიანად ითვისებს წინა ეტაპს, სტრატეგიულ დაგეგმვას. დამატებულია ორგანიზაციის შესაძლებლობების დაგეგმვა და ცვლილებისადმი წინააღმდეგობის უფექტიანი მართვა, რასაც იწვევდა სტრატეგიული დაგეგმვა. ანსოვის თქმით, „სტრატეგიული მენეჯმენტი არის პროცედურა, რომელიც იწყებს სტრატეგიული დიაგნოზით და რომელსაც თანდათანობით მიჰყავს კომპანია ახალ პროდუქტამდე, ბაზრამდე ან ტექნოლოგიამდე, ან სულაც, ახალ შესაძლებლობამდე“ (ანსოვის, 1972, გვ. 154-166). სტრატეგიული მენეჯმენტის მთავარი მიზანი იყო მიეცა ხალხისთვის ინსტრუმენტები და ხელშეწყობა, რათა სწორად ემართათ სტრატეგიული ცვლილებები. მთავარი ფოკუსი აღარ იყო კომპანიის საგარეო ვითარება, არამედ თანაბრად, საგარეოც და საშინაოც, რადგან მომუშავე პერსონალის მართვა და სტრატეგიისთვის ეფექტიანად გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია სტრატეგიული

უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ თეორიაზე დაყრდნობით, ანსოგმა კიდევ ერთი წიგნი დაწერა სახელწოდებით „სტრატეგიული მენეჯმენტი“, რომელიც გამოქვეყნდა 1979 წელს (ანსოვი, 1979).

სტრატეგიის თეორიტიკოსთა შორის ყველაზე ცნობილ ფიგურად მიიჩნევა მაიკლ პორტერი. იგი მუშაობდა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში. იგი ავტორია მრავალი წიგნისა და პუბლიკაციისა ბიზნეს სტრატეგიის შესახებ. პორტერის პირველი წიგნი კონკურენციის სტრატეგია: ინდუსტრიის და კონკურენტების შესაფასებელი ინსტრუმენტები გამოიცა 1980 წელს. ამ წიგნში ახსნილია სუთი კონკურენტული ძალა, რომლებიც განსაზღვრავს ინდუსტრიის მომგებიანობას. ეს ძალებია:

- კონკურენციის ინტენსივობა;
- დარგში ახალი მონაწილეების გამოჩენა;
- საფრთხე სუბსტიტუტების მხრიდან;
- მყიდველთა საბაზრო ძლიერება;
- მიმწოდებელთა საბაზრო ძლიერება.

ამ ძალებიდან თითოეულს შეუძლია მოგების მარტივე დიდი ზეგავლენა იქონიოს. ინდუსტრიის მიმზიდველობა კი შეიძლება განისაზღვროს ამ ძალების გავლენის მიხედვით. „კონკურენციის სტრატეგიაზ“ რაციონალურად და გასაგებად შეაკავშირა ძველი და ახალი კონცეფციები კონკურენტუნარიანობის უკეთესად გასაანალიზებლად (პორტერი, 1982).

პორტერის მომდევნო მნიშვნელოვანი ნამუშევარია 1985 წელს გამოცემული წიგნი, „კონკურენტული უპირატეგიობა: უკეთესი შედეგის მიღება და შენარჩუნება“. ამ წიგნში რამდენიმე კომპანიაზე დაკვირვების შემდეგ შეიმუშავა ე.წ. „გვაროვნული სტრატეგიები“. პორტერის თქმით, არსებობს სამი გზა კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად:

- დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგია;
- დიფერენცირების სტრატეგია;
- ფოკუსირების სტრატეგია.

თუმცა, ამ სტრატეგიებიდან ყველას ერთდროულად შესრულება ძალიან რთულია, ამიტომ თრგანიზაციებმა სიფრთხილით უნდა გადაწყვიტონ, თუ როდის რომელ სტრატეგიას მიანიჭონ უპირატესობა (პორტერი, 1985).

რაც შეეხება კომპანიის შიდა კონკურენტულ გარემოს, პორტერი (1985) ხაზს უსვამს ფასეულობათა ჯაჭვის (Value chain) გამოყენებას, ანუ რა ფასეულობა ემატება პროდუქტს შექმნისა და გასაღების თითოეულ ეტაპზე. მისი აზრით, ამ პროცესის სისტემატური ანალიზი კონკურენტული უპირატესობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. ფასეულობათა ჯაჭვის ანალიზი ასევე ხელს უწყობს ფირმის სტრატეგიისთვის მნიშვნელოვანი დეტალების შესწავლას და იძლევა დიფერნცირების ან დირებულების შემცირების პოტენციალს. ანუ, კომპანია აჯობებს კონკურენტებს იმით, რომ უფრო მარტივად, ეფექტიანად და იაფად შეასრულებს შესაბამის სტრატეგიულ საქმიანობას. პორტერის აზრით, კომპანიის ნებისმიერი ქმედება უნდა შეფასდეს კონკურენტუნარიანობის კუთხით და ეს გახდის მას სხვა კომპანიებზე ძლიერს (პორტერი, 1985).

ამ თეორიას მივყავართ ხანგრძლივი კონკურენტული უპირატესობის მითამდე. სინამდვილეში, ნებისმიერი კონკურენტული უპირატესობა ხანმოკლეა. კონკურენტული უპირატესობისკენ გადადგმულ ყველა ნაბიჯს შესაბამისი პასუხი მოჰყვება მეტოქებისგან. დღევანდელ რეალობაში ჯერ არ არსებობს უნიკალური ფორმულა, რომელიც სხვებისთვის მიუწვდომელია და არის გარანტი მუდმივი კონკურენტული უპირატესობისა. ლოგიკური აზროვნების შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ კომპანია მუდმივად უნდა აუმჯობესებდეს კონკურენტუნარიანობას. თუ ეს ასე არ მოხდა, უპირატესობა თვალსა და ხელს შუა აორთქლდება (პორტერი, 1985).

კონკურენტუნარიანობის მუდმივი გაუმჯობესება, თავის მხრივ, დამოკიდებულია ბუნდოვან, არაპოგნოზირებად გარემოზე. ამის გამო ამ საკითხში გადამეტება არ არის რეალური, რადგან ბევრ ფრონტზე ბრძოლა და დიდი რაოდენობის რესურსების ინოვაციაზე ხარჯვა შესაძლებელია დამღუპველი აღმოჩნდეს კომპანიისთვის (პორტერი, 1985).

ამ თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა უერნეფელტმა, ბარნიმ და პეტერაფმა, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდნენ პენროუზის ადრინდელ კვლევებს. მათი მიღება ითვალისწინებდა კომპანიის შიდა რესურსების ანალიზს და ინდუსტრიის თვისებების კომპანიის სასარგებლოდ გამოყენებას. მათ მთავარ მიღწევად ითვლება კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ხერხების შემუშავება, კომპანიის მთავარი ძალის გამოვლენა და მისი სამომავლო სტრატეგიებში გამოყენება. ამ კონტექსტით კომპანიები წარმოდგენილია, როგორც სხვადასხვა აქტივებისა და შესაძლებლობის ერთიანობა. ბიზნესის წარმატების გარანტიად კი მიიჩნევა ამ აქტივებისა და შესაძლებლობების საუკეთესო ვითარებაში გამოყენება საერთო სტრატეგიისათვის.

**შეხუთე ეტაპი:** სტრატეგიული აზროვნება. 80-იანი წლებში აშკარა გახდა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის საფეხურიდან სტრატეგიული მენეჯმენტის ეტაპზე გადასვლა მის რეალიზებას ვერ აუმჯობესებდა. ასევე, ამ პერიოდში წინა პლანზე გადმოიწია ორგანიზაციული კულტურისა და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელობამ სტრატეგიული მართვის პროცესში (ბონი და კრისტოფოლუ, 1996). სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის არაეფექტურიანობის გამო ბევრი მკვლევარი ხაზს უსვამდა სტრატეგიული აზროვნების საჭიროებას, რაც შემდეგში გახდა მეხუთე და ჯერჯერობით ბოლო ეტაპის სახელი სტრატეგიის ევოლუციაში. ამ კონტექსტით სტეისი ამბობს: „... მიუხედევად იმისა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის პირდაპირი გამოყენება პრაქტიკაში შეზღუდულია, მისი თეორიული მხარე კარგი საფუძველია სტრატეგიული აზროვნების შესაქმნელად და, სავარაუდოა, რომ მენეჯერები, რომლებიც სტრატეგიულ აზროვნებას განავითარებენ, სამომავლოდ აუცილებლად გაზრდიან ეფექტიანად ფუნქციონირების შანსებს“ (სტეისი, 1993, გვ. 218-236).

90-იან წლებში სტრატეგიული აზროვნების იდეის განვითარების პარადიგმამ პარალელურად განაგრძო ევოლუცია. სტრატეგიული დაგეგმვიდან ჯერ სტრატეგიული მენეჯმენტის, ხოლო შემდეგ სტრატეგიული აზროვნების ეტაპზე გადასვლა ასახავს იმ პერიოდში ეკონომიკის, ტექნოლოგიისა და სოციალურ ცვლილებებს, რომელიც დაიწყო 1950 წლიდან და განსაკუთრებით ფართო მასშტაბი 1984 წლიდან შეიძინა (აგარვალი,

1987); პრაპალადი და ჰამელი, 1994). ამ წლებში ეკონომიკური და ბიზნეს გარემო გახდა ბევრად უფრო ბუნდოვანი და არაპროგნოზირებადი წინა წლებთან შედარებით, რამაც, შესაბამისად, გაზარდა სტრატეგიის მნიშვნელობა. დროის მსვლელობასთან ერთად მენეჯერებს უჭირდათ მკვლევარების მიერ შემუშავებული ჩარჩოებისა და დადგენილი პროცედურების ეფექტიანად გამოყენება. საჭირო იყო მუდმივი წინსვლა და განვითარება. მათი (მენეჯერების) მთავარი მისია იყო, გაერკვიათ, თუ რომელი ჩარჩო ან პროცედურა ესადაგებოდა ამა თუ იმ სიტუაციას, ან როდის იყო საჭირო მათი იგნორირება და ახალი გამოსავლის ძიება. სწორედ სტრატეგიული აზროვნება ააღვილებს ამ პროცესს (სტეისი, 1993).

მენეჯმენტის თეორეტიკოსი და კონსულტანტი კენიჩი ომაენ (იაპონია) იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დაწერა სტრატეგიულ აზროვნებაზე თავის პუბლიკაციაში „სტრატეგის გონიერება“. იგი ემსრობა აზრს, რომ ბიზნესის წარმატების წყარო უფრო ინტეიციური და კრეატიული მიდგომაა, ვიდრე რაციონალური (ომაე, 1982). ეს განცხადება გახდა დისკუსიის საგანი ამ სფეროში მოღვაწე თეორეტიკოსებს შორის. კამათის საკითხს წარმოადგენდა, თუ როგორ მიდგომოდნენ სტრატეგიას, როგორც ხელოვნებას, თუ როგორც მეცნიერებას. ზემოხსენებული ომაე (1982), პიტერსი და უოტერმანი (1982), მინცბერგი (1990) და სხვები ემსრობიან სტრატეგიის ხელოვნებად აღქმის იდეას, ხოლო მათი წინამორბედნი - პორტერი (1985), ენდრიუსი (1965) და ანსოვი (1965) იზიარებენ სტრატეგიის, როგორც მეცნიერებად აღქმის შეხედულებას. საინტერესოა, რომ ამ საკითხში მინცბერგს აქვს დიდი მხარდაჭერა, რადგან იგი გმობს ინფორმაციის ანალიზს და ემსრობა ინტეიციას. თუმცა, ამ იდეის მოწინააღმდეგები დაობენ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი ტექნიკით განვითარება ამარტივებს ინფორმაციის წვდომას და მის ანალიზსაც აქვს აზრი (ფერგუსონი, 1996; საუტერი, 1999). ასევე, ბევრი მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ სტრატეგიის შესახებ ლიტერატურაში ზემოაღნიშნული ორი აღქმის ბალანსი უნდა იყოს შენარჩუნებული (ვილსონი, 1994; რაიმონდი, 1996; ლედიკა, 1998). თავის წიგნში ლიედკა ამბობს „... ლიტერატურა ქმნის მკვეთრ კონტრასტს სტრატეგიის კრეატიულ და ანალიტიკურ ასპექტებს შორის, არადა, ორივე აშკარად მნიშვნელოვანია ნებისმიერი აზრიანი სტრატეგიული პროცესის წარმართვისათვის“ (ლიედკა, 1998, გვ. 87).

ამრიგად, გასულ წლებში ბევრი დაიწერა სტრატეგიის შესახებ, თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან შეგვიძლია დასკვნათ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან დღემდე სტრატეგიამ ევოლუციის ხუთი ეტაპი განვლო. არსებულმა სტრატეგიულმა პარადიგმამ პიკს 70-იან წლებში მიაღწია, როდესაც მისმა ევოლუციის ფაზამ მოიცვა სტრატეგიული დაგეგმვა. თუმცა იკვეთებოდა ნიშნები იმისა, რომ არასტაბილური და ბუნდოვანებით მოცულ გარემო-პირობებში თეორიის ჩამოყალიბება და პრაქტიკულ საქმიანობაში მისი დანერგვა არსებულ პერიოდში ფრიად არახელსაყრელი იყო. 80-იან წლებში პარადიგმა გადავიდა შემდეგ ეტაპზე, რომელსაც ეწოდებოდა სტრატეგიული მენეჯმენტის ფაზა. ეს ეტაპი, ძირითადად, ემსახურებოდა კომპანიის რესურსების სწორად გამოყენებას კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად (ო'შენესი, 1999). ათწლიანი დროის მონაკვეთში გაიზარდა ორგანიზაციული კულტურისა და შიდა პოლიტიკის მნიშვნელობა სტრატეგიულ პროცესში, თუმცა, სტრატეგიული მენეჯმენტის ფაზის არაეფექტურიანობის შედეგად ბევრი ექსპერტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული აზროვნების ფენომენის დამკვიდრება, ხოლო, 90-იან წლებში კი დებატები შედგა საკითხზე, თუ რომელ კატეგორიაში უნდა განხილულიყო სტრატეგია, როგორც ხელოვნება, მეცნიერებაში თუ მათ ერთობლივ კომბინაციაში (პორტერი, 1985).

## **1.2. სტრატეგიის ფორმულირების პროცესი და კვლევის ძირითადი მიმდინარეობები**

ეს პარაგრაფი მიზნად ისახავს სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევის მიმდინარეობათა ანალიზს, რომელიც განსაზღვრება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე განმარტებულია სტრატეგია და სტრატეგიის პროცესი, აგრეთვე სტრატეგიის ფორმულირების ათი სკოლა. ხოლო, მეორე ეტაპზე მოყვანილია ჰაფისა და რეგერის (1987) მიერ შემოთავაზებული სტრატეგიის ფორმულირების პროცესის მიმართულებები, რაც ბოლოვდება კვლევის იმ მიმდინარეობის არჩევით, რომელიც გამოყენებული იქნება ამ ნაშრომში.

**პროცესი, შინაარსი და კონტექსტი.** ავტორთა უმრავლესობა სტრატეგიის ურთიერთდამოკიდებულ სამ ძირითად განზომილებას აღიარებს (პეტიგრიუ, 1997; ჩაკრავართი და უაითი, 2001). ესენია: სტრატეგიის ფორმულირების პროცესი, სტრატეგიის შინაარსი და სტრატეგიის კონტექსტი. სტრატეგიის რეალურ შინაარსზე დიდ გავლენას ახდენს მისი ფორმულირების პროცესი და კონტექსტი. წარმოგიდგენთ აღნიშნულ განზომილებათა დეტალური განმარტებების დეგიტისა და მეიკის (2004) ვერსიას.

სტრატეგიის ფორმულირების პროცესი სტრატეგიული მიზნების მიღწევის საშუალებაა და განმარტავს, თუ ვინ, როგორ და როდის ახორციელებს მოცემულ სტრატეგიას. მან ასევე პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: როგორ უნდა დაიგეგმოს, გაანალიზდეს, ჩამოყალიბდეს, განხორციელდეს, შეიცვალოს და გაკონტროლდეს სტრატეგია და ვინ არიან ამ პროცესის მთავარი მონაწილეები. სტრატეგიის ფორმულირების პროცესების განხორციელების შედეგად მიიღება სტრატეგიის შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რას მოიცავს ეს სტრატეგია. ის ასევე ხსნის, თუ რა არის სტრატეგია და რა უნდა იყოს როგორც მთელი კომპანიისათვის, ასევე მისი თითოეული შემადგენელი ერთეულისათვის.

სტრატეგიის ფორმულირებისას პროცესსა და შინაარსს, თავის მხრივ, განსაზღვრავს სტრატეგიის კონტექსტი, რომელიც დეტალურად განმარტავს, თუ სად უნდა განხორციელდეს მოცემული სტრატეგია. ჩაკრავართისა და უაითის (2001) მიხედვით, კომპანიის საქმიანობის კონტექსტი კონცენტრირებულია შიგა და გარე ფაქტორებზე

(გარემო). გარე ფაქტორებში იგულისხმება ის სოციალური, ეკონომიკური, კონკურენტული და დარგობრივი ძალები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ კომპანიაზე. შიგა ფაქტორებში კი იგულისხმება კომპანიის ის შესაძლებლობები, რომლებიც განსაზღვრავს მას, როგორც ბიზნეს ერთეულს (პამელი და პრაპალადი, 1994). ბუნებრივია, რომ კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე ორიგე - შიგა და გარე გარემო თანაბარ გავლენას ახდენს.

სტრატეგია და სტრატეგიის ფორმულირების პროცესი. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის გაანალიზებამდე აუცილებელია თვით სტრატეგიის არსის გააზრება. სტრატეგიის ფენომენის შესახებ უამრავ ავტორს დაუწერია, თუმცა, საბოლოო შეთანხმება ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ქვემოთ მოყვანილია სტრატეგიის რამდენიმე განმარტება (და შერჩეულია ის ვერსია, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ):

- ჩენდლერი (1962) - საწარმოს გრძელვადიანი მიზნებისაკენ სწრაფვა, ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო რესურსების მოძიება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება;
- პეტიგრიუ (1977) - სტრატეგია ვითარდება გარემოებრივი და შიგა-ორგანიზაციული სირთულეების ნაწილობრივი გადაჭრის შედეგად. თავის მხრივ, ეს სირთულეები განპირობებულია ორგანიზაციული, კულტურული, ფუნქციური, მმართველობითი და შიგა პოლიტიკური ფაქტორებით;
- პოფერი და შენდელი (1978) - სტრატეგიის ფუნქციას წარმოადგენს კომპანიის გარეთ არსებული რისკებისა და შესაძლებლობების საუკეთესო შეხამება და ორგანიზაციის უნარებისა და რესურსების სწორად მობილიზება ამ შესაძლებლობების გამოსაყენებლად;
- ენდრიუსი (1980) - კორპორატიული სტრატეგია არის გადაწყვეტილებების თანმიმდევრობა, რომელიც წარმოაჩენს და განსაზღვრავს კომპანიის არსეს, მიზნებსა და კურსს, შეიმუშავებს იმ ტაქტიკასა და გეგმებს, რომლებიც საჭიროა მიზნების მისაღწევად. აგრეთვე, განსაზღვრავს მისი (ბიზნესის) საქმიანობის დიაპაზონს;

- ქუინი (1981) - სტრატეგია არის მოდელი ან გეგმა, რომელიც აერთიანებს ორგანიზაციის ძირითად მიზნებს, კურსს, პოლიტიკასა და საქმიანობათა თანმიმდევრობას, როგორც ერთ მთლიანს;
- ომაე (1982) - სტრატეგია არის გზა, რომელსაც კომპანია მიჰყვება, რათა დადებითად წარმოაჩინოს საკუთარი თავი კონკურენტებთან შედარებით, რისთვისაც ის იყენებს თავის ძლიერ მხარეებს მომხმარებლების უკეთ დასაკმაყოფილებლად;
- გან კაუგენბერგი და ქული (1982) - სტრატეგია არის გათვლილი ქცევა ქაოტურ სიტუაციებში;
- მინცბერგი (1987):
  - ✓ **გეგმა (Plan):** სტრატეგია, როგორც გეგმა არის გაცნობიერებული ქმედებების ერთგვარი მსგლელობა ან მითითებების კომპლექტი, რომელიც ეხმარება კომპანიას გაუმკლავდეს ამა თუ იმ სიტუაციას და მიაღწიოს სასურველ მდგომარეობას;
  - ✓ **მანევრი (Ploy):** სტრატეგია, როგორც მანევრი, არის კომპანიის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც მიმართულია კონკურენტის მოსატყუებლად და ვითარების თავის სასარგებლოდ შემოსაბრუნებლად;
  - ✓ **მოდელი (Pattern):** სტრატეგია, როგორც მოდელი, ითვალისწინებს ერთი სტრუქტურის გამოყენებას. ამ განმარტების მიხედვით, სტრატეგია ყოველთვის მიჰყვება ერთ კონკრეტულ მოდელს;
  - ✓ **პოზიცია (Position):** სტრატეგია არის კომპანიის გარემოში დამკვიდრების საშუალება, რომლითაც ის გვევლინება დამაკავშირებელ ძალად კომპანიასა და გარემოს შორის;
  - ✓ **პერსპექტივა (Perspective):** სტრატეგია, როგორც პერსპექტივა, აღნიშნავს, თუ როგორ აღიქვამს კომპანია სამყაროს. ეს მიდგომა სტრატეგიას თეორიულ ცნებად მიიჩნევს;

- ბარნი და პესტერლი (2006) - კომპანიის სტრატეგია განიმარტება, როგორც მისი თეორიული ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიპოვოს კომპანიამ კონკურენტული უპირატესობა;
- ჩაჰარბაგი (2007) - მრავალგანზომილებიანი, დინამიკური მოსაზრება (კონსტრაქტი), რომელიც ეხმარება ორგანიზაციას ეფექტიანად დაადაგოს კორპორაციული, ბიზნესისა და ფუნქციონალური განზომილებები ისე, რომ უზრუნველყოს მისი წინსვლა და მიზნების სწრაფი მიღწევა;
- პიტი, აირლანდი და პოსკინსონი (2007) - სტრატეგია არის მოვალეობებისა და მოქმედებების ინტეგრირებული და კოორდინირებული წყება, მიმართული იმისკენ, რომ კომპანიამ ბოლომდე გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები და მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა;
- გრანტი (2008) - სტრატეგია არის საშუალება, რომლის მეშვეობით ადამიანები და ორგანიზაციები აღწევენ თავიანთ მიზნებს. კორპორაციული სტრატეგია განსაზღვრავს კომპანიის შესაძლებლობებს ბაზრისა და ინდუსტრიის ფარგლებში. ბიზნესის სტრატეგია კი ზრუნავს იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს კომპანიამ კონკრეტულ ბაზარსა თუ ინდუსტრიაში;
- ჯონსონი, სქოულზი და უიტინგტონი (2008) - სტრატეგია არის გრძელ ვადაზე გათვალისწინებული ორგანიზაციის ხედვა და თვალსაწიერი, რომელიც ეხმარება მას მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას მუდმივად ცვალებად გარემოში, რესურსებისა და კომპეტენციების სწორად მართვის მეშვეობით თითოეული დაინტერესებული პირის (Stakeholder) დასაკმაყოფილებლად.

სტრატეგიის კლასიკურ განმარტებას გვთავაზობენ ჩენდლერი (1962) და ენდრიუსი (1980). ენდრიუსის თანახმად, კორპორაციულ სტრატეგიას იყენებს კომპანიის ყველა განყოფილება და ეს სტრატეგია განსაზღვრავს, თუ რა საქმიანობას ეწევა კომპანია და როგორ იყენებს თავის უნიკალურ შესაძლებლობებს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ბიზნესის სტრატეგია შედარებით მარტივია და განმარტავს, თუ რა პროდუქტსა და სერვისს აწარმოებს კომპანია მოცემულ ბაზარზე. ის ასევე მიუთითებს, თუ როგორ უნდა გაუწიოს კონკურენცია მეტოქე კომპანიებს და დაიკავოს თავისი ადგილი

ბიზნეს გარემოში. პოფერი და შენდელი (1978) სტრატეგიის განმარტებაში განიხილავენ გარემოს მნიშვნელობას, პეტიგრიუ (1977) კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტორებს, როგორებიცაა ლიდერობა, კულტურა და პოლიტიკა. გასათვალისწინებელია, რომ პეტიგრიუ ხშირად იყენებს სიტყვას „ვითარდება“, რაც იმის მანიშნებელია, რომ სტრატეგია არ შეიძლება იყოს მთლიანად წინასწარ დაგეგმილი. ქუინის (1981) მიხედვით, კარგად ფორმულირებული სტრატეგია ეხმარება ორგანიზაციას მოაწესრიგოს და გაანაწილოს რესურსები საკუთარი შესაძლებლობებისა და ნაკლოვანებების მიხედვით, გაითვალისწინოს გარემოს სამომავლო ცვლილებები და კონკურენტების ტაქტიკური სვლები. ქუინი (1981) ასევე ხახს უსვამს ორგანიზაციის მიზნებისა და ქმედებების ურთიერთშეთანხმებას. ომაჟეს (1982) მიხედვით, კომპანიის სტრატეგიაზე დიდ გავლენას ახდენენ მეტოქე კომპანიები და სტრატეგიული დაგეგმვის უპირველესი ფუნქცია კომპანიისთვის კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაა. ვან კაუვენბერგი და ქული (1982) დაობენ, რომ რეალობა ორგანიზაციაში ბოლომდე გასაგები არასდროს არ არის და რომ სტრატეგია არა მხოლოდ დირექტორებს, არამედ კომპანიის ყველა წარმომადგენელს ეხება. მათი აზრით, შესაფერისი სტრატეგიული ქცევის მისაღწევად უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის მოტივაცია და არა ინფორმაცია. სტრატეგიულ ქმედებებში მთელი ორგანიზაციის მონაწილეობა კი გამომდინარეობს სტრატეგიის მუდმივად „ამოტივტივების“ პერსპექტივიდან.

მინცბერგის (1987) მიერ შემოთავაზებული განმარტება წარმოაჩენს სტრატეგიის რთულ და კომპლექსურ ბუნებას. მაგალითად, მისი ხედვის (პერსპექტივის) თეორია ითვალისწინებს, რომ ყველა სტრატეგია მხოლოდ განზოგადებული, აბსტრაქტული ცნებაა დაინტერესებულ პირთა გონებაში. ამის გამო მისი აბსტრაქტული ცნების ორგანიზაციის შიგნით გავრცელება, სხვა ადამიანებისთვის გადაცემა და მისი იმპლემენტაცია ძალიან რთულია. ამ ლოგიკის მიხედვით, როგორც ხასიათია ინდივიდისთვის უნიკალური, ისევე ორგანიზაციისთვის სტრატეგიაა. ბარნისა და პესტერლის (2006), ჩაჰარბაგის (2007), პიტის, აირლენდისა და პოსკინსონის (2007), გრანტის (2008) და ჯონსონის, სქოულზისა და უიტინგტონის (2008) მიერ შემოთავაზებული შედარებით ახალი განმარტება უფრო ამომწურავია. მათ

განმარტებებში ფიგურირებს ფაქტორები, როგორებიცაა: კომპანიის შესაძლებლობები, კონკურენტული უპირატესობა, რესურსებისა და შესაძლებლობების კონფიგურაცია და მონაწილე პირების მოლოდინის გამართლება. ეს შედარება აჩვენებს, თუ როგორ განვითარდა ეს სფერო უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში. ამ ნაშრომში ბიზნეს სტრატეგია განმარტებულია როგორც:

„ამომწურავ და რაციონალურ სტრატეგიულ დაგვამდაზე დაფუძნებული მეთოდების ერთობლიობა, რომელიც სამრეწველო კომპანიებს აძლევს კონკურენტული უპირატებობის მიღწევისა და შენარჩუნების საშუალებას (ხარჯების შემცირება, საკუთარი პროდუქციის განხილვება კონკურენტების პროდუქციისგან ან/და ხარჯების შემცირება და საკუთარი პროდუქციის განხილვება კონკურენტების პროდუქციისგან). იგი აგრეთვე გულისხმობს განხორციელებისათვის სავალდებულო მიღვომებისა და ამოცანების პრიორიტეტულობის მიხედვით დალაგებასა და პროცესის მონაწილეობათვის დაწვრილებით განმარტებას.“

ზემოთ მოყვანილი სტრატეგიის განმარტებების მიმოხილვა წარმოაჩენს უამრავ ფაქტორს, რომლებიც სტრატეგიაზე ახდენს გავლენას, აჩვენებს, თუ რამდენად რთულია ყველა ამ ფაქტორის ერთი განმარტების ჩარჩოში მოქცევა. სტრატეგიის კონცეფციის განმარტების სირთულე თვით სტრატეგიის ბუნების კომპლექსურობიდან გამომდინარეობს. აღნიშნული კომპლექსურობის გამო სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი გარდაიქმნება კომპლექსურ ფენომენად და ამ ფენომენის საფუძვლიანი შეცნობა ძალიან რთულია.

სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კონცეფცია. სტრატეგიის ფორმულირების პროცესთან დაკავშირებით არსებობს უამრავი მოსაზრება. ამ პროცესის სხვადასხვა ასპექტის გამოსაკვლევად აუცილებელია გავერკვეთ მის მნიშვნელობაში. შრივასტავას (1983) და ვან დე ვენის (1992) მიერ გაკეთებული განმარტებები მნიშვნელოვნად ამარტივებს სტრატეგიის ფორმულირების პროცესის აღქმას.

შრივასტავას (1983) მიერ შემოთავაზებული განმარტება კარგად შეესატყვისება სტრატეგიის ფორმულირების კლასიკურ მოდელს, რომელშიც რაციონალური

პროცესების არსებობა იკითხება. მისი თქმით, სტრატეგიული პროცესები წარმოადგენს იმ მეთოდებსა და საშუალებებს, რომელთა წყალობითაც ორგანიზაციები ითვალისწინებენ ხელსაყრელ და სახიფათო სიტუაციებს და შესაბამისად იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებსა და რესურსებს. გარემოში მიმდინარე ცვლილებები და ორგანიზაციის რესურსები არის ის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლიც განაპირობებს სტრატეგიის ფორმულირების პროცესის წარმატებას. შრივასტავას (1983) განმარტებით, სტრატეგიის ფორმულირება საკმაოდ პირდაპირი და უბრალო პროცესია და მისი თითოეული ნაბიჯი კარგადაა განსაზღვრული. სტრატეგიის პროცესის ეს განმარტება კარგად შეესატყვისება ჩენდლერის (1962), ენდრიუსის (1980) და ჰოფერის და შენდელის (1978) მოსაზრებებს.

გან დე ვენი (1992) კიდევ უფრო სიდრმისეულად ცდილობს სტრატეგიის ფორმულირების კონცეფციის ახსნას სამი სხვადასხვა მიმართულებით (გზით):

- I. ლოგიკა, რომელიც სხნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს შეუსაბამობის თეორიაში;
- II. ინდივიდუალური ან ორგანიზაციული ქმედებების კონცეფციების ან ცვლადების თანრიგი, როგორიცაა: კომუნიკაციის სიხშირე, სამუშაო ტემპი, გადაწყვეტილების მიღების ხერხები, სტრატეგიის ფორმულირება, განხორციელება და კორპორაციული რისკები;
- III. ის შეიძლება იყოს მოვლენებისა და ქმედებების თანმიმდევრობა, რომელიც წარმოაჩენს, თუ როგორ იცვლებოდა ფენომენი მოცემული დროის განმავლობაში.

გან დე ვენმა (1992) დასკვნა, რომ ეს უკანასკნელი მიდგომა იყო ერთადერთი, რომელიც წარმოაჩენდა შემაგალი და გამომავალი ელემენტების ურთიერთკავშირს და პირდაპირ ამჟღავნებდა ცვლადების დინამიკას დროში. ის, ასევე, თვლიდა, რომ ეს იყო სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ნაკლებად გაგებული განმარტება. ვან დე ვენის (1992) განმარტებები მიანიშნებს ბევრი ელემენტის მონაწილეობაზე სტრატეგიის ფორმულირების პროცესში.

მინცბერგის და სხვ. (1998) მიერ წარმოდგენილი სტრატეგიის ფორმულირების ათი სკოლა იძლევა საერთო წარმოდგენას სტრატეგიის ფორმულირების პროცესის განვითარების შესახებ და ხაზს უსვამს მის კომპლექსურობას:

1. **დიზაინის (მოდელირების) სკოლა, კონცეფციის პროცესი** - ამ მიდგომის მიხედვით, სტრატეგიის ფორმულირების პროცესი არის კომპანიის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს შორის მიღწეული იდეალური შესაბამისობა. ამ სკოლის მიმდევარნი ქმნიან მარტივ, გასაგებ და უნიკალურ სტრატეგიებს კარგად გააზრებული და ნაკლები რისკის შემცველი პროცესით. დიზაინის სკოლის მესვეურების აზრით, კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) გათვალისწინება იყო მნიშვნელოვანი სტრატეგიის ფორმულირების პროცესში. აღნიშნულმა სკოლამ 70-იანი წლების შემდეგ ვერ პოვა განვითარება, თუმცა, გარკვეულწილად, უტილიზირდა სხვა მიდგომებში;
2. **დაგემჭვის სკოლა, ფორმალური პროცესი** - დაგემჭვის სკოლა ჩამოყალიბდა დიზაინის სკოლის პარალელურად და მისი თანაავტორები იყვნენ ანსოვი და ენდრიუსი. ეს მიდგომა პოპულარობით სარგებლობდა 70-იან წლებში და დღესაც სტრატეგიის ფორმულირების პროცესის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ის იზიარებს დიზაინის სკოლის მოსაზრებებს და ამატებს, რომ სტრატეგიული პროცესი არ არის, მხოლოდ „ცერებრალური“, არამედ, ამასთან ერთად, იგი არის ფორმალური, მრავალი ეტაპისგან შემდგარი პროცესი, რომელიც დამოკიდებულია დაგეგმვის ტექნიკაზე, განსაკუთრებით მიზნების, ბიუჯეტის, პროგრამებისა და სამოქმედო გეგმების შემთხვევებში. პრაქტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ფუნქციურ მენეჯერებს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ვიდრე მაღალი რგოლის მენეჯერებს;
3. **პოზიციონირების სკოლა, ანალიტიკური პროცესი** - მაიკლ პორტერის მიერ შექმნილმა სტრატეგიის ფორმულირების ამ მიდგომამ ფეხი მოიკიდა XIX საუკუნის 80-იან წლებში. ამ სკოლის მიხედვით, სტრატეგია დაყვანილია გვაროვნულ პოზიციებზე ინდუსტრიის ანალიზის მიხედვით. პოზიციონირების სკოლა

განვითარდა ანალიტიკური მიმართულებით და მოიცავდა სტრატეგიულ ჯგუფებს, ღირებულებათა ჯაჭვებსა და თამაშის თეორიებს. პრაქტიკოსთა ხედვით, ამ თეორიის მიხედვით, დამგეგმავები ხდებიან ანალიტიკოსები;

4. სამეწარმეო (ანტრეპრენიორული) სკოლა, წარმოსახვითი პროცესი - როგორც დიზაინის სკოლა, ეს მიდგომაც სტრატეგიის ფორმირების პროცესში დიდ როლს ანიჭებს აღმასრულებელ დირექტორს. თუმცა, დიზაინის სკოლისგან განსხვავებით და დაგეგმვის სკოლის საპირისპიროდ, პროცესზე დიდ გავლენას ახდენს ინტუიცია. ამ ხედვამ სტრატეგიის ფორმულირების პროცესი, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი კომპონენტების ჩართულობას, როგორებიცაა, ზუსტი დიზაინი და გეგმების შემუშავება, უფრო განზოგადებულ, ბუნდოვან ხედვასთან დააკავშირა და სტრატეგიული ფორმირების პროცესში შემოიტანა ტერმინები, როგორებიცაა: სტარტაპი, ნიში, კერძო საკუთრება, მიმართულების რადიკალური შეცვლა და ა.შ. ამ სკოლის მიხედვითაც, მთავარი მოქმედი პირი სტრატეგიის განხორციელებაში არის კომპანიის დირექტორი. გეგმური მიდგომა, რომელიც ძალიან პოპულარული იყო წინა სკოლებში, აქ მინიმუმამდეა დაყვანილი;
5. შემეცნებითი სკოლა, გონიერივი პროცესი - შემეცნებითი მიმართულებით სტრატეგიულ პროცესის კვლევამ 80-იანი წლებიდან მეტი მნიშვნელობა შეიძინა. შემეცნება ჩამოყალიბდა, როგორც ინფორმაციის გადამუშავების, ცოდნის სტრუქტურის შემუშავებისა და გაგების უნარის ხერხი. ამ სკოლის მიხედვით, სტრატეგიის პროცესი ითვლება, როგორც სუბიექტურად ინტერპრეტირებად, ან კონსტრუქტივისტულ ხედვად, სადაც შემეცნება გამოიყენება როგორც სტრატეგიის ფორმულირების შემოქმედებითი წყარო და არ ცდილობს რეალობის ობიექტურად დანახვას;
6. სწავლების სკოლა, გაუთვალისწინებული (emergent) პროცესი - ძველი მიდგომებიდან ყველაზე მყარ პოზიციას სწავლების სკოლამ მიაღწია და პოპულარობით დაჯაბნა ამ ეპოქის სხვა მიდგომები. ამ თეორიის მიხედვით, სტრატეგია შეიძლება „ამოტივტივდეს“ კომპანიის მასშტაბით ნებისმიერ


იერარქიულ საფეხურზე. სტრატეგიის ფორმულირების და განხორციელების პროცესებმა კი, შესაძლოა, ერთმანეთი ნაწილობრივ გადაფარონ კიდევ;

7. ძალაუფლების სკოლა, მოლაპარაკების პროცესი - ეს სკოლა სტრატეგიის ფორმულირებას უკავშირებს ძალაუფლებას და ყოფს მას ორ ნაწილად - მიკრო და მაკროძალებად. მიკროძალა აღიქვამს სტრატეგიის ჩამოყალიბებას, როგორც პოლიტიკურ პროცესს მმართველ პირებს შორის, რომლებიც ერთმანეთში ვაჭრობას, დაყოლიებას და დაპირისპირებასაც კი არ ერიდებიან. ხოლო, მაკროძალა შეეხება ძალაუფლების გამოყენებას მეტოქეებთან კორპორატიულ დონეზე, შვილობილ კომპანიებსა და მოკავშირე ორგანიზაციებთან მიმართებით, რისი წყალობითაც ყალიბდება „საერთო“ სტრატეგია დომინანტი კომპანიის ინტერესებით;
8. კულტურის სკოლა, კოლექტიური პროცესი - ძალაუფლების სკოლა ყურადღებას აქცევს პიროვნულ ინტერესს და ფრაგმენტაციას, ხოლო კულტურული სკოლა ზრუნავს საერთო ინტერესსა და ინტეგრაციაზე. ამ სკოლის მიხედვით, სტრატეგია არის კულტურაში განივთებული სოციალური პროცესი;
9. გარემოებრივი სკოლა, რეაქტიული პროცესი - გარემოებრივი მიდგომა იკვლევს, თუ რა რეაგირებას უნდა ახდენდეს კომპანია თავის გარემოში მომხდარ ცვლილებებზე. ამ თეორიის მიხედვით, სტრატეგიულ არჩევანზე დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის ეკოლოგიური კეთილდღეობა. ინსტიტუციონალური თეორია, რომელიც ძალაუფლებისა და შემეცნებითი სკოლების ნაჯვარია, იკვლევს ორგანიზაციულ წნევეს, გამოწვეულს სხვა ორგანიზაციებისაგან;
10. კონფიგურაციის სკოლა, ტრანსფორმაციის პროცესი - ეს მიდგომა სტრატეგიას აღიქვამს, როგორც ორგანიზაციის გარდაქმნის პროცესს. თითოეული ტიპის სტრატეგიას გააჩნია განსხვავებული სტრუქტურა და კონტექსტი. ერთი კონკრეტული სტრატეგია რელევანტურია კონკრეტულ კონფიგურაციასთან მიმართებით.

კითხვაზე, წარმოადგენერ თუ არა ზემოაღნიშნული სკოლები სტრატეგიის ფორმულირების სხვადასხვა პროცესს თუ ერთი პროცესის შემადგენელ სხვადასხვა

ნაწილებს - პასუხი დღემდე ბუნდოვანია, თუმცა, ზოგიერთი სკოლა ნამდვილად წარმოადგენს სტრატეგიის ფორმულირების პროცესის საფეხურს/ასპექტს, როგორც ნაჩვენებია სქემაში 2.

#### სქემა 2. სტრატეგიის ფორმულირება როგორც ერთი პროცესი




**წყარო:** მინცბერგი და ლამპელი, (1999)

მინცბერგისა და ლამპელის მიხედვით (1999, გვ. 27), „შემეცნებითი სკოლა სტრატეგიის გონიერების ცენტრში იკავებს ადგილს. პოზიციონირების სკოლა დამტკიცებული მონაცემების მიღმა იხედება, რომელიც, გაანალიზების შემდეგ, სტრატეგიის ე.წ. „შავ უჟოს“ მიეწოდება. დაგეგმვის სკოლა სტრატეგიის სხვადასხვა გზით დაპროგრამებაზე აკეთებს აქცენტს. დიზაინის სკოლა აანალიზებს სტრატეგიის პერსპექტივას დროის შედარებით გრძელ მონაკვეთზე. სამეწარმეო სკოლა იხედება კიდევ უფრო შორს,

მომავლის უნიკალური ხედვისაქნ. სწავლების და ძალაუფლების სკოლები გამოირჩევა დეტალებისადმი დიდი ყურადღებით. სწავლების სკოლა განიხილავს ყველაზე ზედაპირულ, მთავარ პრობლემებს, ძალაუფლების სკოლა კი მათ ორგანიზაციის სიღრმეებში ეძებს. კულტურის სკოლა შენიდბულია თავის მრწამსში. კულტურის სკოლის „ზემოთ“ მდებარეობს გარემოებრივი სკოლა. კონფიგურაციის სკოლა გარედან უყვრებს სტრატეგიის პროცესს, ხოლო შემეცნების სკოლა ცდილობს ჩაიხედოს სტრატეგიის პროცესის სიღრმეებში“. მინცბერგისა და ლამპელის (1999, გვ. 27) მიხედვით, სტრატეგიის ფორმულირება არის „მიზანმიმართული დიზაინი, ინტუიციური ხედვა და განვითარებადი სწავლება; ის ზრუნავს როგორც ტრანსფორმაციაზე, ასევე განმტკიცებაზე; ის უნდა შეიცავდეს ინდივიდუალურ შემეცნებასაც და სოციალურ ურთიერთქმედებასაც, როგორც შეთანხმებულს, ასევე ურთიერთსაპირისპიროსაც; ის უნდა გაანალიზდეს წინასწარ, დაპროგრამდეს განხორციელების შემდეგ და განიხილებოდეს მოქმედების პროცესში; და ეს ყველაფერი უნდა მოერგოს რთულსა და მომთხოვნ გარემოს“ (მინცბერგი და ლამპელის, 1999).

შრივასტავას (1983), ვან დე ვენისა (1992) და მინცბერგის (1998) მიერ შემოთავაზებული სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კონცეფციები მოყვანილია სქემაში 3.

**სქემა 3. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის სამი კონცეფცია**



**წყარო:** შრივასტავას (1983), ვან დე ვენისა (1992) და მინცბერგის (1998)

სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევა. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევის ნაკლოვანებებზე ყურადღებას ბევრი ავტორი ამახვილებდა (მინბერგი და ლამპელი, 1999; დესი და ლამპკინი, 2001). დესი და ლამპკინი (2001) აღნიშნავენ, რომ სტრატეგიის ფორმულირების პროცესის თეორიულ და ემპირიულ კვლევებს ახასიათებთ შეუთანხმებლობა. ლეხნერი და მიულერ-სტივენსი (2000) სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევასთან დაკავშირებით სვამენ ძალიან საინტერესო კითხვებს. ეს კითხვები ძირითადად სამ განყოფილებად იყოფა: (ა) ძირეული, (ბ) კონკრეტულ ფაზასთან (საფეხურთან) დაკავშირებული და (გ) სეგმენტორისი კითხვები. ძირეული კითხვები ეხება სტრატეგიის არსებობა/არ არსებობას, კონკრეტული ფაზის კითხვები კი სტრატეგიის ფორმულირების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ნაწილდება. სეგმენტორისი კითხვები მოიცავს სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ზოგიერთ ან ყველა ეტაპს. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევის მთავარი მიზანი ამ შეკითხვებზე პასუხების პოვნაა. კითხვების განხილვის მეშვეობით კი შესაძლებელი გახდება ორგანიზაციების მიერ გამოყენებული სტრატეგიების ბუნების განსაზღვრა. სტრატეგიის ფორმულირების რაციონალური მოდელები იზიარებს ოთხ ფაზას: ორგანიზაციის დღის წესრიგის შექმნას, ~~გადაწყვეტილების~~ მიღებას, ~~განხორციელებასა~~ და ~~კონტროლს~~ (დუბონი, 1988, გვ. 131). თუმცა, ზოგიერთ მეცნიერს (მინცბერგი, 1978; ქუინი, 1980; ჰარტი, 1992) მიაჩნია, რომ პროცესი ყოველთვის არ არის თანმიმდევრული და სავსებით შესაძლებელია, რომ სეგმენტორისი კითხვების საშუალებით განისაზღვროს სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ხარისხი.

სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კონცეფციის გასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიპოვოთ განსხვავება სტრატეგიის შინაარსისა და მისი ფორმულირების პროცესის კვლევას შორის. ჩაკრავარტისა და დოზის (1992) მიხედვით, სტრატეგიის ფორმულირების პროცესი ზრუნავს იმაზე, თუ რამდენად უფექტურია არის განსაზღვრული სტრატეგია კომპანიაში, აგრეთვე, რამდენად კარგად არის ის განხორციელებული. ეს ავტორები სტრატეგიის ფორმულირების პროცესისა და შინაარსის კვლევას იმით განასხვავებენ, რომ ამ უკანასკნელს უწოდებენ ქვე-სფეროს, რომელიც კონცენტრირებულია მხოლოდ კომპანიის სტრატეგიის პოზიციების

ამოცნობაზე, რასაც ცვალებად გარემოებრივ კონტექსტში კომპანია მიჰყავს ოპტიმალურ მდგომარეობამდე. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევა კი შეისწავლის იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს კომპანიის ადმინისტრაციული სისტემები და გადაწყვეტილების მიღების პროცესები მის სტრატეგიულ პოზიციებზე. ჩაკრავარტისა და დოზის (1992) თანახმად, სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევა შეიძლება განვასხვოთ სტრატეგიის შინაარსის კვლევისაგან მინიმუმ სამი ასპექტით: ფოკუსი, სადისციპლინო ბაზისები და მეთოდოლოგიები.

ამ სამი ასპექტის მოკლე განმარტება ასეთია:

- (1) ფოკუსი: სტრატეგიის შინაარსის კვლევას ევალება კომპანიის შესაძლებლობისა და კონკრეტულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გზების დადგენა. კომპანიის შესაძლებლობა იზომება იმ ბაზრების ერთობლიობით, რომლებზეც ეს კომპანია საქმიანობს (მონტგომერი, უემერფელტი და ბალაკრიშნანი, 1989);
- (2) სადისციპლინო ბაზისები: სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევაზე გაგლენას ახდენს მრავალი დისციპლინა, რომელთა მეოხებითაც სტრატეგიის ფორმულირების პროცესი იძენს ერთგვარ სასიცოცხლო ძალას (ჩაკრავარტი და დოზი, 1992);
- (3) მეთოდოლოგიები: სტრატეგიის შინაარსის კვლევა შეიძლება კომპანიაზე გამოქვეყნებული მეორადი მონაცემების მიხედვით, მაგრამ სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევა საჭიროებს უფრო დეტალურ მეთოდებს, როგორებიცაა: კითხვარები, რეალურ პირობებში შესწავლა და პრაქტიკული კვლევა (ჩაკრავარტი და დოზი, 1992).


მუხლედავად იმისა, რომ პროცესისა და შინაარსის კვლევებს შორის სხვაობა ნათელია, მათი ზედმიწევნით ზუსტი დალაგება მაინც შეუძლებელია. თუ დავეკურდნობით არსებულ ლიტერატურას, სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევა ავსებს მისი შინაარსის კვლევას (ჩაკრავარტი და სხვ. 2003).

ჰაფმა და რეგერმა (1987) 1980 და 1986 წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ გამოააშკარავეს ცხრა მიმდინარეობა, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მოხდეს სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევის განსაზღვრა

(ოპერაციონალიზაცია). ეს სტრუქტურა საჭიროა იმ გეზის დასადგენად, რომლითაც ეს ნაშრომი იხელმძღვანელებს სტრატეგიის ფორმულირებისა და განხორციელების პროცესის გაანალიზებისას.

**სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევის მიმართულებები.** ჰაფისა და რეგერის (1987) მიხედვით, სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევა კონცენტრირებულია იმ ქმედებებზე, რომლებსაც მივყავართ სტრატეგიის ფორმულირებამდე, განსხვავებით კონტენტის კვლევისაგან, რომლის ფოკუსირების საგანს წარმოადგენს კავშირის დადგენა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებსა და კომპანიის შედეგებს შორის. ამ მეცნიერებმა, სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევას მიანიჭეს „ნორმატიული“ და „აღწერილობითი“ მიდგომის კლასიფიკაცია. ნორმატიული მიდგომა იკვლევს, თუ როგორ უნდა კეთდებოდეს საქმე, ხოლო აღწერილობითი კი იმას, თუ როგორ კეთდება ის რეალურად. მათ, ასევე, დაყვეს პროცესის კვლევა რაციონალობის ვარაუდის, კერძოდ კი, რაციონალური, ანალიტიკური და პოლიტიკური პროცესების მიხედვით. ზემოთ მოყვანილი ორი განზომილებისა და ენდრიუსის (1971) მიერ გამოყენებული ამ დაყოფის (ფორმულირება და იმპლემენტაცია) წყალობით, ჰაფმა და რეგერმა (1987) შეადგინეს **რვა ალტერნატივა** სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევაში. ამ ყველაფერს დაემატა მეცხრე ინტეგრაციული ალტერნატივა, რომელიც დანარჩენი რვა განზომილების გარკვეულ მახასიათებლებს აერთიანებს. სქემა 4 წარმოადგენს მიდგომას ამ ავტორების მიერ შემოთავაზებული სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევისადმი.

სქემა 4. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევის განზომილებები



წყარო: ჰაფი და რეგერი (1987)

პირველი ოთხი განზომილება - დაგეგმვის რეცეპტი, სისტემური იმპლემენტაცია, გადაწყვეტილების ხელშეწყობა და ეპოლუტიური დანიშნულება, თავსდება ნორმატიული მიღვიმის ჯგუფში. კვლევები, რომლებიც მოხვდება დაგეგმვის რეცეპტის სფერიში, იძლევა ნორმატიულ დანიშნულებას, თუ როგორ უნდა იყოს სტრატეგია ფორმულირებული. ამ სფეროში კვლევას ახასიათებს მუდმივი რაციონალურობა და ლოგიკა და დასაბუთებულია პრაქტიკული მაგალითებით (ლეონტიადესი, 1983; კინგი, 1981; დატა და კინგი, 1980). სისტემატური განხორციელების განზომილებები სტრატეგიის ფორმულირების შემდეგ მის სისტემატურ იმპლემენტაციაზე კონცენტრირებული (სტონიჩი, 1981; ნათი, 1998). ნაშრომები, რომლებშიც გამოკვლეულია, თუ რა ხერხები უნდა გამოიყენებოდეს გადაწყვეტილების მიღებისას, მიეკუთვნება „გადაწყვეტილების ხელშეწყობის“ კატეგორიას. ამ სფეროში მომუშავე მკვლევარები თვლიან, რომ სტრატეგიის ფორმულირება კონცეპტუალურად პრობლემურია (შუენკი, 1986; ბოლანდი, 1984). გადაწყვეტილების მიმღები პირები ისარგებლებენ სტრუქტურირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესითა და სხვა ხელისშემწყობი ფაქტორებით, რათა

სტრატეგიული ალტერნატივების ორგანიზება და გაანალიზება შეძლონ. ზოგ მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა, რომ სტრატეგიის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და ამის გამო ისინი ემხრობოდნენ სტრატეგიის პროცესში ეტაპობრივი ცვლილებების შეტანის იდეას და აღნიშნული ცვლილებების შედეგებზე შემდგომ რეაგირებას. მათი ნაშრომები მიეკუთვნება „**ევოლუციური დანიშნულების**“ კატეგორიას (ხრებნიაკი და ჯოისი, 1985; რინგი და პერი, 1985). ჰაფისა და რეგერის (1987) აზრით, ეს ნაშრომები ყველაზე რეალურია სხვა „**რეცეპტული**“ პროცესის შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურასთან შედარებით, იმის გამო, რომ ისინი აღიარებენ ფორმულირებისა და განხორციელების ურთიერთდამოკიდებულებას.

აღწერილობითი მიდგომის ჯგუფში მოთავსებული განზომილებების მეორე ოთხეულის მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხორციელდება პროცესი. დაგეგმვის პრაქტიკში მოქცეულ ნაშრომებში ძირითადად გამოკვლეულია სტრატეგიის ფორმულირების პროცესები. ამ სფეროში ჩატარებული კვლევები ფოკუსირებულია იმის დადგენაზე, თუ დაგეგმვის მეთოდების გამოყენება რამდენად აუმჯობესებს კომპანიის შედეგებს (რობინსონ უმც. და პირსი II, 1998; ანდერსენი, 2000; ლენზი და ეგელდოუ, 1986). სტრუქტურებზე, სისტემებსა და ორგანიზაციულ შედეგებზე შესრულებულ ნაშრომებში გამოკვლეულია მათ შორის არსებული ურთიერთობები (ბურგელმანი, 1985; ჰოროვიცი, 1984). მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული მართვის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების (მკვლევარები) კვლევის სფეროს წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურები და სისტემები, ისინი მაინც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არჩევენ მუშაობას. სტრუქტურის განსაზღვრისას სტრატეგიის მკვლევარები უპირატესობას ანიჭებენ სტრატეგიას, ხოლო თეორეტიკოსები კი უფრო ემხრობიან ტექნოლოგიის მნიშვნელობას. ჰაფისა და რეგერის (1987) აზრით, დიდად სასარგებლო იქნება, თუ მკვლევართა აღნიშნული ჯგუფები ერთობლივად იმუშავებენ. ადლის წესრიგისა და ყურადღების“ კატეგორიის ნაშრომებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე შემეცნებით ანუ ფსიქოლოგიურ, ბიუროკრატიულ და პოლიტიკურ ზეგავლენას (უოლში და ფეი, 1986; ფრედრიკსონი, 1986). სხვა დანარჩენი კვლევები და ნაშრომები კლასიფიცირებულია კონტაქსტური ზეგავლენის“ კატეგორიაში

(ჯაუბი და კრაფტი, 1986; ბარნი, 1986). ინტეგრაციული თეორია კი ცდილობს უველა ზემოთ მოყვანილი კონცეფციის თავმოყრას ერთ სივრცეში (ჯემისონი და სიტკინი, 1986; პონდი და ჰაფი, 1985).

სამრეწველო ორგანიზაციებში სტრატეგიის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის შესასწავლად ეს ნაშრომი იყენებს სქემა 4-ში განხილულ დაგეგმვის რეცეპტის, სისტემური იმპლემენტაციის, გადაწყვეტილების ხელშეწყობისა და დაგეგმვის პრაქტიკის თეორიებს. დაგეგმვის რაციონალობა სწორედ ის ბაზისია, რომელიც ამ ნაშრომში სტრატეგიული დაგეგმვის გასაზომად გამოიყენება. ორგანიზაციებში დანერგილი სტრატეგიული დაგეგმვის შეფასება კი ხდება დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესრულებული ანალიზის შემოწმებით. ეს შეფასება შეესაბამება სქემა 4-ის 1 და 3 უჯრებში მოყვანილ კვლევათა მახასიათებლებს. ნაშრომი ასევე ამოწმებს, თუ რამდენად აუმჯობესებს სტრატეგიული დაგეგმვა ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებს. ეს მიმდინარეობა წარმოდგენილია სქემა 4 -ის 5 უჯრაში. სამრეწველო ორგანიზაციებში სტრატეგიის განხორციელება შეფასდა სტრატეგიის განხორციელების პროცესში შესრულებული დაგეგმვის ხარისხის შემოწმებით. ეს თეორია წარმოდგენილია ზემოთ ხსენებული მოდელის 2 უჯრაში.

კვლევის ცხრა მიმდინარეობის განხილვის შემდეგ დადგინდა ის ძირითადი გეზი, რომელიც ამ ნაშრომში გამოიყენება სტრატეგიის ფორმულირებისა და განხორციელების შესასწავლად. ეს მიმდინარეობებია: დაგეგმვის რეცეპტი, სისტემატური იმპლემენტაცია, გადაწყვეტილების ხელშეწყობა და დაგეგმვის პრაქტიკა.

ამრიგად, ჩვენ მოვახდინეთ სტრატეგიისა და სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კონცეპტუალიზაცია სხვადასხვა ავტორის კვლევებზე დაყრდნობით, რაც აუცილებელია ამ ცნების უკეთ აღსაქმელად. ასევე, ნათლად გამოჩნდა სტრატეგიის ფორმულირების პროცესში მონაწილე განზომილებების კომპლექსურობა და ამ განზომილებების ნათლად განმარტების საჭიროება სტრატეგიის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის შესასწავლად. განხორციელდა სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის შემოწმება და მისი ცხრა მიმდინარეობის მიმოხილვა. შედეგად დადგინდა ამ ნაშრომში გამოყენებული კვლევის მიმდინარეობები.

### **1.3 სტრატეგიის ფორმულირების მოდელები**

ამ პარაგრაფის მთავარი მიზანია სტრატეგიის ფორმულირების იმ მოდელის განსაზღვრა, რომელიც ამ ნაშრომში იქნება გამოყენებული. წინამდებარე პარაგრაფი შეამოწმებს სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებულ თეორიულ, ემპირიულ და ინტეგრირებულ მოდელებს სტრატეგიული პროცესის სამი ხედისა და ოთხი თეორიული საფუძვლის გამოყენებით.

**სტრატეგიის ფორმულირების მოდელების ფუნდამენტური კლასიფიკაცია.** სტრატეგიის ფორმულირების მოდელები იყოფა ორ ძირითად, სინოპტიკურ და ინკრემენტალურ კატეგორიებად. სინოპტიკური მოდელების მიხედვით, სტრატეგიის ფორმულირება რაციონალური, მდგრადი პროცესია, ხოლო ინკრემენტალური მოდელების მიხედვით. ეს პროცესი მოქნილია და მუდმივად განიცდის ცვლილებებს. იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ სტრატეგიის ფორმულირების პროცესი, საჭიროა ამ მოდელების დეტალური განხილვა. სინოპტიკურ მოდელებს ახასიათებს რაციონალური, წინასწარ დაგეგმილი სტრატეგიის ფორმულირების პროცესი, რომლის შემადგენელი ნაწილებიც არის: მიზნების განსაზღვრა, გარემოს ანალიზი, კომპანიის შიდა და გარე შესაძლებლობების დადგენა, ალტერნატიული ქმედებების პოვნა, შეფასება და მიზნების მიღწევის საერთო გეგმის მომზადება (ფრედრიკსონი და მიჩელი, 1984). ენდრეუსი (1980), ანსოვი (1965), გრანტი და კინგი (1982), ჰოფერი და შენდელი (1978), ლორენჯი და ვენსილი (1977), პორტერი (1980), სტაინერი (1979) და ტომფსონი და სტრიკლანდი (1978) არიან ამ მიდგომის მომხრე მეცნიერები. რაციონალური და ინკრემენტალური პროცესები ერთმანეთისგან განსხვავდება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების კომპლექსურობისა და რაციონალურობის ხარისხით. ტრადიციული მიდგომით, ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღება მიზანდასახული, მდგრადი, თანმიმდევრული და წინდახედული პროცესია (პაპადაკისი და ბარგაიზი, 1997). ამ ხედვას ეწინააღმდეგებიან ლინდბლომი (1959) და საიმონი (1957). ლინდბლომის (1959) თქმით, გადაწყვეტილების მიღება არ არის რაციონალური პროცესი და იგი მას განმარტავს, როგორც „ალალბედზე მოქმედ“ მზარდ, უმისამართო პროცესს. საიმონი (1957) მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიმღებები, ამ შემთხვევაში, არიან „სეთისფაისერები“ (ადამიანები,

რომლებიც კმაყოფილდებიან სასურველი ან ადეკვატური შედეგით და არ ცდილობიენ მაქსიმუმის მიღებას ოპტიმალური სიტუაციის შექმნით. ეს გამოწვეულია იმით, რომ ოპტიმალური სიტუაციის შექმნა დამატებით რესურსებს მოითხოვს) შეზღუდული რაციონალობით. ასეთები არ განიხილავენ ყველა ალტერნატივას და ჯერდებიან პირველივე კარგ ვარიანტს. ქუინის (1980) აზრით, შესაძლებელია ამ ორი მიმართულების შეერთება და გვთავაზობს „ლოგიკური ინკრემენტალიზმის“ კონცეფციას, რომელიც ლინდბლომის (1959) „ალალბედზე მოქმედებისგან“ მკვეთრად განსხვავდება. ეს თეორია აერთიანებს რაციონალური დაგეგმვისა და წინასწარ ჩამოყალიბებული სტრატეგიის, ინკრემენტალიზმისა და ინტუიციის ელემენტებს.

იმავე ქუინის (1981) თქმით, როდესაც დიდი კომპანიები მკვეთრად ცვლიან თავიანთ სტრატეგიებს, მათ მიერ გამოყენებული მიდგომები შესაჩნევად განსხვავდება „რაციონალურ-ანალიტიკური“ სისტემებისგან. მან ადმოაჩინა, რომ საბოლოო სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად გამოყენებული პროცესები უმეტესად დანაწევრებული, ეფოლუციური და ძლიერ ინტუიციური იყო. კომპანიის დირექტორები იყენებდნენ ინკრემენტალური პროცესების სერიებს, რომელთა წყალობითაც ხორციელდებოდა სტრატეგიების შემუშავება სხვადასხვა დონეზე და შემდეგ აღნიშნული სუბსისტემების სტრატეგიების ინტეგრირება და გამოყენება მთელი ორგანიზაციისათვის. ე.წ. „ინკრემენტალური“ მოდელი აღწერს ორგანიზაციების მიერ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების უფრო რთულ პროცესს, ვიდრე „სინოპტიკური“ მოდელი. მსგავსი შეხედულებები აქვთ ასევე მინცბერგსა (1973) და ვრაპს (1967). ცხრილი 1 წარმოაჩენს „სინოპტიკურ“ და „ინკრემენტალურ“ მოდელებს შორის არსებულ განსხვავებას.

სინოპტიკური მოდელის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ ამ მიდგომის მიხედვით, მიზნები წინასწარ განსაზღვრულია და სტრატეგია ამ მიზნების მიღწევისკენაა მიმართული. ინკრემენტალური მოდელის შემთხვევაში შედეგების წინასწარი განსაზღვრა არ ხდება.

რაჯაგოპალანის და სხვ. (1993) მიხედვით, სტრატეგიული გადაწყვეტილების პროცესთა თეორიული მოდელები იყოფა რაციონალურ მოდელებად, რომლებიც

წარმოადგენენ გაერთიანებულ, კარგად კოორდინირებულ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს, და პოლიტიკურ და ქცევით მოდელებად, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებას აღიქვამენ, როგორც ორგანიზაციის სხვადასხვა აზრისა და ძალაუფლების მქონე ინდივიდუალების ვაჭრობისა და მოლაპარაკების პროცესს.

სტრატეგიის ფორმულირების პროცესის კვლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ემპირიულ მოდელებს. პაპადაკისი და ბარუაისი (1997) აღნიშნავენ ამგვარი მოდელების ნაკლებობას სტრატეგიული მართვის შესახებ არსებულ ლიტერატურაში. ემპირიული წარმოშობის ორი მოდელი აქვთ შემოთავაზებული ნათსა (1997) და შრივასტავას და გრანტს (1985), რომლებიც განხილულია წინამდებარე ქვეთავაში.

სტრატეგიის ფორმულირების პროცესის შესახებ ერთ-ერთ კლასიკურ ნაშრომში რაჯაგოპალანმა, რაშიდმა და დატამ (1993) ჩამოაყალიბეს ინტეგრირებული სტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე განზომილებას. აგრეთვე, ჰარტმა (1992) და ბეილიმ, ჯონსონმა და დენიელსმაც (2000) სცადეს სხვადასხვა განზომილების გაერთიანება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში (იხ. ცხრილი 2).

სტრატეგიის ფორმულირების თეორიული მოდელები. კლასიკური პროცესის მოდელი (ენდრიუსი, 1971). ამ მოდელის ავტორია ენდრიუსი (1971). ის სტრატეგიულ პროცესს ყოფს ორ ეტაპად: ფორმულირება და განხორციელება. ეს არის წმინდა სინოპტიკური მოდელი, რომელიც ეყრდნობა რაციონალურ და ამომწურავ პროცესებს. ფორმულირების ეტაპი განიხილავს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო განხორციელების ეტაპი კი ზრუნავს ამ გადაწყვეტილებების ქმედებებში გარდასახვაზე წინასწარ განსაზღვრული შედეგის მისაღებად. ენდრიუსის მიხედვით, სტრატეგიის ჩამოყალიბება არის მენეჯერების გამორჩეული და შემოქმედებითი საქმიანობა.

**ცხრილი 1. ძირითადი სხვაობა „სინოპტიკურ“ და „ინკრემენტალურ“ მოდელებს შორის**

მახასიათებელი	სინოპტიკური მოდელი	ინკრემენტალური მოდელი
მოტივი ინიცირებისათვის	სტრატეგიის ფორმულირების პროცესი იწყება მაშინ, როდესაც მუდმივი დაკვირვების შედეგად მოხდება პრობლემის ან შესაძლებლობის იდენტიფიცირება.	როდესაც არსებული მდგომარეობა იწვევს უკმაყფილებას ან/და პრობლემას, მაშინ მოხდება სტრატეგიის ფორმულირების ინიცირება.
მიზნების კონცეფცია	სტრატეგია მიმართულია მიზნების მიღწევისკენ.	არის „სამკურნალო“ პროცესი არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.
მიზნებსა და ალტერნატივებს შორის ურთიერთობა	მიზნების დასახვა ხდება პროცესის დაწყებამდე და იგი დამოუკიდებელია ალტერნატივების გაანალიზების პროცესისგან.	„სამკურნალო“ ცვლილების შედეგების განსაზღვრა და მათი მიღწევის საშუალებების გაანალიზების პროცესი ერთდროულია და მჭიდრო კავშირი ახახასიათებს.
არჩევანის კონცეფცია	ამა თუ იმ ალტერნატივაზე არჩევანი კეთდება იმის და მიხედვით, თუ რამდენად არის იგი ვარგისი მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილების ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მიაღწევს კომპანია ამ კონკრეტულ მიზანს.	საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ყველაზე სასურველი შედეგის მომტან ალტერნატივაზე. გადაწყვეტილების ხარისხი ფასდება ალტერნატივის არჩევანზე შეთანხმების მიღწევით.
ანალიტიკური მასშტაბურობა	მიზნების განსაზღვრა და ალტერნატივების გენერირება/შერჩევა/შეფასება უაღრესად ამომწურავი პროცესია. გათვალისწინებულია ყველა შესაძლო არჩევანი.	გადაწყვეტილება მიიღება მხეოლოდ რამდენიმე ალტერნატივის შეფასების შედეგად. ალტერნატიული ქმედებების და მათი შედეგების შეზღუდული რაოდენობა განიხილება შეფასების დროს. ყველა შესაძლო არჩევანი არ არის გათვალისწინებული.
ინტეგრაციის მასშტაბურობა	აღინიშნება მცდელობა იმ გადაწყვეტილებების ინტეგრაციისა, რომლებიც ქმნიან საერთო სტრატეგიას, რათა მათ ერთმანეთი განამტკიცონ.	გადაწყვეტილებების ინტეგრაციის არანაირი მცდელობა არ აღინიშნება. საბოლოო სტრატეგია გამოიყურება, როგორც ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა.

წყარო: ფრედრიკსონი და მიჩელი (1984)

## ცხრილი 2. სტრატეგიის ფორმულირების მოდელები

თეორიული მოდელები	ემპირიული მოდელები
<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ენდორიუსი - კლასიკური პროცესის მოდელი;</li> <li>✓ ჩაფი - სტრატეგიის ფორმულირების სამი მოდელი;</li> <li>✓ მინცბერგი - - სტრატეგიის ფორმულირების სამი მეთოდი;</li> <li>✓ ბურჟუა და ბროდუინი - სტრატეგიის ფორმულირების ხუთი მიდგომა</li> <li>✓ აიზენპარტი და ზბარაცკი - „რაციონალურობა და შეზღუდული რაციონალურობა“, „პოლიტიკა და ძალაუფლება“, „ნაგვის ყუთი“;</li> <li>✓ მინცბერგი და უესტლი - ინტუიციური და მოქმედებაზე ორიენტირებული მოდელები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ნათი - „მიმართულებათა ჩამოყალიბება“, „ვარიანტების განსაზღვრა“ და „გადაწყვეტილების განხორციელება“</li> <li>✓ შრივასტავა და გრანტი - „მენეჯერულ-ავტოკრატული მოდელი“, „ბიუროკრატულ-სისტემური მოდელი“, „ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელი“ და „რაციონალურ-პოლიტიკური მოდელი“.</li> </ul>
<b>ინტეგრირებული მოდელები</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>✓ რაჯაგოპალანი, რაშიდი და დატა - სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესთა შემაკავშირებელი სტრუქტურა;</li> <li>✓ ჰარტი - „განკარგულების“, „სიმბოლური“, „რაციონალური“, „ტრანზაქციული“ და „გენერაციული“;</li> <li>✓ ბეილი, ჯონსონი და დენიელსი - სტრატეგიის განვითარების ექსი განზომილება.</li> </ul>	


**წყარო:** ნანდაკუმარიმი, გობადიანი და ორეგანი (2011)

მისივე თქმით, ფორმულირების ეტაპი მოიცავს ოთხ კომპონენტს. პროცესი იწყება ორგანიზაციის გარემოში არსებული ხელსაყრელი სიტუაციებისა და საფრთხეების დადგენით და რისკების მიხედვით ალტერნატივების კატეგორიზაციით. შემდეგ გადაიხედება ორგანიზაციის რესურსები და მაქსიმალურად ობიექტურად ფასდება მის (ორგანიზაციის) მიერ შესაძლებლობის გამოყენების ან რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობა. ამ პროცესის შედეგად გაკეთებულ არჩევანს ეწოდება ეკონომიკური სტრატეგია. ეს ორი ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ინტელექტუალური პროცესი იმის დასადგენად, თუ რას მოიმოქმედებს ორგანიზაცია შესაძლებლობების არსებობის პირობებში და როგორ გამოიყენებს მათ მისსავე სასიკუთოდ. თუმცა, ორგანიზაციის

სტრატეგიულ არჩევანზე კომპანიის დირექტორებისა და მენეჯერების სურვილებს და შეხედულებებსაც აქვთ ზეგავლენა. დაბოლოს, უნდა მოხდეს არჩეული ალტერნატივის ეთიკური მხარის გათვალისწინება იმ ასპექტში, თუ რას მოედის საზოგადოება ამ ორგანიზაციისგან. მაშასადამე, ამ მოდელის მიხედვით, სტრატეგიული გადაწყვეტილების პროცესში ოთხი კომპონენტია გათვალისწინებული, ესენია: (1) შესაძლებლობები ბაზარზე, (2) ორგანიზაციის უნარი და მისი რესურსები, (3) პირადი დირექტულებები და მისწრაფებები, (4) საზოგადოების მიმართ არსებული ვალდებულებები (ენდრიუსი, 1971).

ენდრიუსის (1971) მიერ შემოთავაზებული კლასიკური მოდელის უკეთ აღსაქმელად გთავაზობთ სქემა 5-ს.

**სქემა 5. პროცესის კლასიკური მოდელი**



**წყარო:** ენდრიუსი, (1980)

სტრატეგიის ფორმულირების სამი მოდელი (ჩაფი, 1985). ჩაფი (1985) გვთავაზობს სტრატეგიის ფორმულირების სამ მოდელს, კერძოდ: წრფივი, ადაპტირებადი და განმარტებითი მოდელები.

- წრფივი მოდელი ფოკუსირებულია დაგეგმვაზე და მოიცავს მეთოდურ, ნაკარნახევ და თანმიმდევრულ ქმედებებს. ამ ხედვის მიხედვით, სტრატეგია მოიცავს გეგმისეულ გადაწყვეტილებებსა და შესაბამის მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია ორგანიზაციის მიზნების მიღწევისკენ. ამ ტიპის სტრატეგიის გამოყენებისას გასათვალისწინებელია: პირველი, ორგანიზაციული „სიახლოვე“, რათა დირექტორების მიღებული გადაწყვეტილებები კომპანიის ყველა განყოფილებაში განხორციელდეს. მეორე, დაგეგმვის პროცესი დიდ დროს მოითხოვს და გათვლილია გრძელ ვადებზე. მესამე, გარემო შედარებით ადვილად პროგნოზირებადი უნდა იყოს ან ორგანიზაცია ადვილად უნდა ეგუებოდეს გარემო-პირობებს, დაბოლოს, ორგანიზაციული მიზნების მიღწევა სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს (ჩაფი, 1985);
- ადაპტირებადი მოდელი წრფივისგან განსხვავდება შემდეგი ასპექტებით: (1) გარემო მუდმივად უნდა კონტროლდებოდეს და ცვლილებები უნდა ხდებოდეს იმავდროულად; (2) მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ენიჭება ნაკლები მნიშვნელობა, რადგან ეს მიღგომა შედეგებზე მეტად მიზეზებზეა (მიღწევის ხერხებზეა) ორიენტირებული; (3) სტრატეგიული ქცევების განმარტება უფრო ფართოა, ვიდრე წრფივ მოდელში და ის ითვალისწინებს ცვლილებებს სტილში, მარკეტინგსა და ხარისხში და არა ბაზარსა და პროდუქტში (როგორც წრფივ მოდელში); (4) დაგეგმვას ენიჭება შედარებით ნაკლები მნიშვნელობა და სტრატეგია უფრო მრავალმხრივი და ნაკლებად ცენტრალიზებულია დირექტორების დონეზე; დაბოლოს, (5) გარემო მიიჩნევა როგორც ორგანიზაციის მაცოცხლებელი სისტემა და მასსა და ორგანიზაციას შორის არსებული გამყოფი საზღვარი თითქმის უხილავია (ჩაფი, 1985);
- განმარტებით (interpretive) მოდელში სტრატეგია ახსნილია, როგორც ორიენტაციის მიმცემი მეტაფორების წყება ან საჩვენებელი სტრუქტურა, რომლიც

ორგანიზაციას და მის გარემოს აძლევს საშუალებას გაგებული იქნას სტეიქპოლდერების მხრიდან. ეს მიდგომა იზიარებს სოციალური სტრუქტურის ხედვას, რომელიც ორგანიზაციას აღწერს როგორც თავისუფალი ნების მქონე ინდივიდების ურთიერთშეთანხმების შედეგს. ის ასევე რეალობას აღიქვამს, როგორც სოციალური გაცვლის პროცესს, რომელშიც არსებული აღქმა (შეხედულებები) ვითარდება, იცვლება ან ნაცვლდება სხვათა აღქმის (შეხედულებების) შესაბამისად (ჩაფი, 1985).

წრფივი მოდელის სინოპტიკური მოდელის ქვეჯგუფად კლასიფიცირება ადგილია, რადგან ამ მიდგომის მიხედვით, ორგანიზაციაში მიზნები წინასწარ განსაზღვრულია და მათი მიღწევის სტრატეგია ყალიბდება რაციონალური და ამომწურავი პროცესით. თუმცა, ადაპტირებადი მოდელი იმით განსხვავდება, რომ ის მიზნებზე მეტ ყურადღებას ამ მიზნების მიღწევის ხერხებს აქცევს. წრფივი მოდელის მიხედვით, ორგანიზაციის ლიდერები გეგმავენ კონკურენტებთან ბრძოლის გზებს ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, ხოლო ადაპტირებად მოდელში კი, ორგანიზაცია და მისი შემადგენელი ნაწილები ცვლილებებს ახდენენ პროაქტიულად ან რეაქტიულად მომხმარებლის სურვილებისა და არჩევნის მიხედვით. განმარტებითი სტრატეგიის მოდელის მიხედვით, ორგანიზაციის წარმომადგენლები ისე წარმოაჩენენ კომპანიას, რომ დაინტერესებულ პირებში კეთილი განწყობა მოიპოვონ (ჩაფი, 1985).

სტრატეგიის ფორმულირების სამი მეთოდი (მინცბერგი, 1973). მინცბერგმა (1973) შეიმუშავა სტრატეგიის ფორმულირების სამი მიდგომა: სამეწარმეო (ანტრეპრენიორული), ადაპტირებადი და დაგეგმვის მეთოდები.

- სამეწარმეო (ანტრეპრენიორული) მიდგომა. მინცბერგის (1973) მიხედვით, სტრატეგიის შექმნის სამეწარმეო მეთოდს გააჩნია ოთხი ძირითადი მახასიათებელი: (1) სტრატეგია იქმნება ახალი შესაძლებლობების განუწყვეტლივი ძიების შედეგად; (2) ძალაუფლება ცენტრალიზირებულია დირექტორის ხელში; (3) სტრატეგიის ფორმულირების პროცესი არასტაბილური სიტუაციის შემთხვევებში ფასდება რისკის მაღალი ფაქტორით; (4) ზრდა არის

კომპანიის უმთავრესი მიზანი. ორგანიზაცია, რომელიც ამ მეთოდით ხელმძღვანელობს გარემოს აღიქვამს, როგორც კონტროლირებადს;

- ადაპტირებადი მიდგომა. ეს მიდგომა პირველად წარადგინა ლინდბლომმა (1959), როგორც „ალალბედზე მოქმედების“ პროცესი, რასაც შემდგომში „დანაწევრებული ინკრემენტალიზმი (disjointed incrementalism)“ ეწოდა. ამ მიდგომის მიხედვით, სტრატეგი არ მიჰყვება მკაფიოდ განსზღვრულ მიზნებს, მის გადაწყვეტილებებს ახასიათებს „სამკურნალო“ თვისება. მინცბერგის (1973) აზრით, ამ მიდგომის მახასიათებლებია: (1) არ არსებობს ნათელი მიზნები, თუ რა უნდა გაკეთდეს და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმოადგენს ძალაუფლების გადანაწილებას გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის; (2) შესაძლებლობების ძიების მიმართ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო რეაქტიულია, ვიდრე პროაქტიული; (3) ადაპტირებადი ორგანიზაციები გადაწყვეტილებებს იღებენ ეტაპობრივი, თანმიმდევრული ნაბიჯებით და (4) ასეთი ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია დანაწევრებული (disjointed) გადაწყვეტილებების მიღება;
- დაგეგმვის მიდგომა. ამ მიდგომის განხორციელებისას მთავარი როლი ეკისრება ანალიტიკოსები, რომელიც იუნიტებს მეცნიერულ მიდგომებს სრულყოფილი და ყოვლისმომცველი გეგმის ჩამოსაყალიბებლად. ამ მეთოდის სამი ყველაზე საგულისხმო მახასიათებელია: (1) ანალიტიკოსი დიდ როლს ასრულებს სტრატეგიის ფორმულირების პროცესში; (2) აქცენტი კეთდება დანახარჯებისა და მოგების სისტემატიურ ანალიზზე; (3) ის მოიცავს გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიების ინტეგრაციას. დაგეგმვის მეთოდი სინოპტიკური მოდელის ქვეჯგუფია იმის გამო, რომ ის კონცენტრირებულია მიზნებსა და სტრატეგიის შექმნის ანალიტიკურ მეთოდებზე (მინცბერგი, 1973).

ცხრილში ვ მოცემულია ზემოთ განხილული სტრატეგიის ფორმულირების სამი მეთოდის მახასიათებლების შედარება.

სამეწარმეო მეთოდში სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება უნდა იყოს ერთი ადამიანის ხელში, გარემო უნდა იყოს დამყოლი, ორგანიზაცია კი ზრდაზე ორიენტირებული და მეწარმეს (ანტრეპრენიორს) უნდა შეეძლოს მკვეთრი ცვლილებების განხორციელება. ეს მიღგომა შედარებით ხშირად გამოიყენება ქარიზმატული ლიდერის მიერ მართულ ორგანიზაციებში. ადაპტირებად მეთოდზე ორიენტირებული ორგანიზაციები ხშირად აწყდებიან რთულ, მკვეთრად ცვალებად გარემოს. დაგეგმვის მიღგომის მომხრე ორგანიზაცია კი აუცილებლად უნდა იყოს საკმარისად დიდი იმისთვის, რომ მოახდინოს სიღრმისეული ანალიზი (შეძლოს ანალიზი) და, ამავე დროს, უნდა მოდგაწეობდეს შედარებით სტაბილურ, პროგნოზირებად გარემოში. ძალიან იშვიათია, რომ ერთი ორგანიზაცია მხოლოდ ერთ მიღგომას სჯერდებოდეს. ძირითადად ისინი აერთიანებენ ამ მეთოდებს თავიანთი მოთხოვნებისა და საჭიროებების მიხედვით (მინცბერგი, 1973).

სტრატეგიის ფორმულირების ხუთი მიღგომა (ბურჟუა და ბროდვინი, 1984). ბურჟუამ და ბროდვინმა (1984) დაასკვნეს, რომ გაზრდილი ინფლაციის, შეზღუდული რესურსებისა და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების გამო ორგანიზაციების სამართავად საჭიროა დახვეწილი მეთოდები და მოდელები. მიუხედავად ზემოთ ხსენებულისა, სტრატეგიის ფორმულირების მოდელების განვითარება საგრძნობლად ჩამორჩებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. ბურჟუამ და ბროდვინმა (1984) შემოგვთავაზეს სტრატეგიის ფორმულირების ხუთი მიღგომა: მეთაურის მოდელი, ცვლილების მოდელი, თანამშრომლობის მოდელი, კულტურის მოდელი და განვითარებადი მოდელი.

- მეთაურის მოდელი. ამ მოდელში დირექტორი იყენებს ანალიტიკურ მეთოდებს რესურსების განაწილებისათვის, რათა კომპანიამ მიაღწიოს წინასწარ განსაზღვრულ მიზნებს. ამ მოდელის მიხედვით, დირექტორს გააჩნია დიდი ძალაუფლება და ხელი მიუწვდება კველანაირ ინფორმაციაზე.

**ცხრილი 3. სტრატეგიის ფორმულირების სამი მეთოდის მახასიათებლები**

მახასიათებელი	სამეწარმეო მეთოდი	ადაპტირებადი მეთოდი	დაგეგმვის მეთოდი
გადაწყვეტილების მოტივი	პროაქტიული	რეაქტიული	პროაქტიული და რეაქტიული
ორგანიზაციული ამოცანები	ზრდა	გაურკვეველია	ეფექტიანობა და ზრდა
შესაძლებლობების შეფასება	დისკუსია	დისკუსია	ანალიტიკური
გადაწყვეტილებას იღებს	ანტრეპრენიორი	მოლაპარაკების შედეგი	მენეჯმენტი
დროის პორიზონტი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
სასურველი გარემო	ბუნდოვანი	ნათელი	სარისკო
გადაწყვეტილებების კავშირი	ირიბად დაწყვილებული	დამოუკიდებელი	დამოკიდებული
მეთოდის მოქნილობა	მოქნილი	ადაპტირებადი	შეზღუდული
მოქმედების ზომა	გაბედული გადაწყვეტილებები	ზრდადი სვლები	გლობალური სტრატეგიები
მიმართულების ხედვა	ზოგადი	არავითარი	კონკრეტული
<b>გამოყენების პირობები</b>			
ძალაუფლების წყარო	ანტრეპრენიორი	გაყოფილია	მენეჯმენტი
ორგანიზაციის მიზნები	ნათელი	ბუნდოვანი	ნათელი
ორგანიზაციული გარემო	დამყოლი	რთული, დინამიური	პროგნოზირებადი, სტაბილური
ორგანიზაციის სტატუსი	ახალი, პატარა ან ძლიერი ლიდერობა	დამკვიდრებული	დიდი

წყარო: მინცბერგი (1973)

- ეს მიდგომა ეფუძნება ეკონომიკურ რაციონალიზმს და, ბურჟუასა და ბროდვინის (1984) თანახმად, მოიცავს ორივე, სინოპტიკური და ინკრემენტალური მოდელების ელემენტებს, რადგან ის ხაზს უსვამს დირექტორის როლის მნიშვნელობას ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში;
- **ცვლილების მოდელი.** ეს მოდელი კავშირშია სტრატეგიის იმპლემენტაციასთან და განხორციელებისას ხაზს უსვამს ორგანიზაციის სტრუქტურის, ინსენტივებისა და კონტროლის სისტემების მნიშვნელობას. აქ დირექტორი მიმართავს ქცევითი მეცნიერების ტექნიკას და მანიპულირების მეშვეობით ცდილობს ორგანიზაცია სტრატეგიული გეგმის ჩარჩოებში მოაქციოს. სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად იგი ეყრდნობა შემდეგ ხერხებს: (1) იუენებს სტრუქტურასა და პერსონალს კომპანიის ახალი პრიორიტეტების ეფექტიანად გასატარებლად და ყურადღებას ამახვილებს სასურველ სფეროებზე, (2) ცვლის დაგეგმვის, შედეგების შეფასებისა და წამახალისებელი ანაზღაურების სისტემებს და (3) იუენებს კულტურული ადაპტაციის მეთოდებს სისტემური ცვლილებების დასანერგად (ბურჟუა და ბროდვინი, 1984);
  - **თანამშრომლობის მოდელი.** ეს მოდელი ყურადღებას ამახვილებს ზედა რგოლის მენეჯერთა ჩართულობაზე სტრატეგიის ფორმულირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დირექტორი იუენებს ჯგუფის დინამიურობას და „ტვინების შტურმის“ ტექნიკას, რათა ყველა მენეჯერმა შეძლოს თავისი აზრის გამოხატვა სტრატეგიის ფორმულირების პროცესის შესახებ. ამ მიდგომის მიხედვით, დირექტორს აქვს თანაკოორდინატორის ფუნქცია. მისი მოვალეობა გადაწყვეტილების მიმღებთა შორის კომუნიკაციის გამარტივებაა, რათა მოხდეს სასურველი იდეების გენერირება (ბურჟუა და ბროდვინი, 1984);
  - **კულტურის მოდელი.** ამ მოდელის მიხედვით, სტრატეგია ხორციელდება მთელ ორგანიზაციაში კორპორაციული კულტურის დანერგვის შედეგად. დირექტორი მართავს ორგანიზაციას კომუნიკაციითა და საკუთარი ხედვების შთაგონებით და ხელს უწყობს მომუშავე პერსონალს სამუშაო პროცესის ამ ხედვების მიხედვით ორგანიზებაში. ამ მიდგომის მიხედვით, დირექტორს აქვს მწვრთნელის ფუნქცია,

რათა შეაგულიანოს მომუშავე პერსონალი მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გეგმის შესრულებას (ბურჟუა და ბროდვინი, 1984);

- ზრდის (განვითარების) მოდელი. ეს მოდელი გვთავაზობს ახალ ხედვას, თუ კი უნდა გეგმავდეს სტრატეგიას და ვინ უნდა ახორციელებდეს მას. სხვა მიღომებისგან განსხვავებით, სადაც სტრატეგიის ჩამოყალიბება უმაღლესი რგოლის მენჯერების ფუნქცია, აქ სტრატეგიის ფორმულირება ხდება ქვედა რგოლის მენეჯერების მიერ. ხოლო, „მოსამართლის“ ამპლუაში გვევლინება დირექტორი, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციური იდეების ორგანიზაციის სტრატეგიად ჩამოყალიბებას.

ეს მოდელი დიდი და დივერსიფიცირებული ორგანიზაციების დირექტორებს ურჩევს შემდეგს: (1) გახსნილობა ახალი ინფორმაციისა და იდეების მიმართ, (2) კომპანიის სამართავად ზოგადი სტრატეგიის გამოყენება, (3) კომპანიის სისტემასა და სტრუქტურაში ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს სტრატეგიის ფორმულირების ინიცირებას ქვევიდან ზევით და (4) პერსონალსა და სისტემაში ცვლილებების განხორციელება სტრატეგიის გზიდან გადახვევის თავიდან აცილების მიზნით (ბურჟუა და ბროდვინი, 1984).

როგორც ზემოთაა აღნიშნული, მეთაურის მოდელი შეიძლება ჩაითვალოს როგორც სინოპტიკური, ისე ინკრემენტალური მოდელის ნაწილად. თანამშრომლობის მოდელი გადაწყვეტილების მისაღებად იყენებს რაციონალურ მეთოდებს და ამიტომ მეცნიერები მას სინოპტიკურ მოდელთა ჯგუფს მიაკუთვნებენ. ცვლილების მოდელის მიხედვით, ორგანიზაციულ ცვლილებებს ახორციელებს ნაბიჯ-ნაბიჯ და ამის გამო ეს მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს ინკრემენტალურ მოდელად. ბურჟუასა და ბროდუინის (1984) მიხედვით, ეს ხუთი მოდელი არ გამორიცხავს ერთმაუნთს და კომპანიებს შეუძლიათ მათი სხვადასხვა კონტექსტით ერთდროულად გამოყენება.

აიზენკარტი და ზბარაცყო (1992). აიზენკარტმა და ზბარაცყომ (1992) გამოიკვლიერ სტრატეგიის შექმნის სამი უდიდესი პარადიგმა: „რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა“, „პოლიტიკა და ძალაუფლება“ და „ნაგვის ყუთი“.

- რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა. ამ მოდელის მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღებებს გააჩნიათ მიზნები, რომლებიც განსაზღვრავენ საგარაუდო შედეგის მნიშვნელობას (ფასეულობას). ისინი ინფორმაციის შეგროვებით ახდენენ ალტერნატივების გენერირებას, რის შემდეგაც ირჩევენ ოპტიმალურ ვარიანტს. აიზენკარტმა და ზბარაცკიმ (1992) მიმოიხილეს რამდენიმე მეცნიერის, მათ შორის მინცბერგის, რაისინგპანისა და თეორეტის (1976), ნათის (1984), დინის და შარფმანის (1993), იანისის (1982) და შვაიგერის, სენდბერგისა და რეგენის (1986) ნაშრომები და გამოარჩიუს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში რაციონალობის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი: (1) რაციონალურ მოდელს გააჩნია შემუცნებითი ზღვარი (ლიმიტი) და ამის გამო გადაწყვეტილების მიმღებები უნდა დასჯერდნენ ოპტიმალურის ნაცვლად დამაკმაყოფილებელ შედეგებს, (2) ბევრი გადაწყვეტილება მიიღება პრობლემის ამოცნობის, ჩამოყალიბებისა და შერჩევის ძირითადი ეტაპების გავლით, მაგრამ სხვადასხვა თანმიმდევრობებით, რაც ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებს ჩასწვდეს მნიშვნელოვანი პრობლემების არს და (3) გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენას ახდენს პრობლემის სირთულე და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის კონფლიქტი. ქცევითი თეორიის მიხედვით (რომელიც ეწინააღმდეგება რაციონალობის თეორიას), ორგანიზაციასა და ინდივიდებს შეუძლიათ რაციონალობის მხოლოდ შეზღუდულ დონეზე მიღწევა (საიმონი, 1997);
- პოლიტიკა და ძალაუფლება. ამ მოდელის მიხედვით, ორგანიზაცია შედგება ხალხთა კოალიციებისგან, რომლებსაც განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, რადა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ყველაზე ძლიერი. გადაწყვეტილების მიმღებები ხშირად ცდილობენ ძალაუფლების სტრუქტურის შეცვლას სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებებით (შიდა არჩევნები, ინფორმაციის სტრატეგიული გამოყენება და გარე ექსპერტების დაქირავება). ეს მოდელიც, შეზღუდული რაციონალური მიდგომის მსგავსად, თვლის, რომ ორგანიზაციას ერთი მიზანი

- ამოძრავებს. ამავე მოდელის მიხედვით, ადამიანები ინდივიდუალურად არიან რაციონალური არსებები, მაგრამ არა კოლექტიურად. ტრადიციული ხედვით, განსხვავებული სურვილების მქონე ადამიანები სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად ერთვებიან პოლიტიკურ თამაშებში. თუმცა, ახალი, საპირისპირო მიღებობით, პოლიტიკის აუცილებლობას იწვევს ძალაუფლების დისბალანსი, რასაც იმედგაცრუებული დირექტორები მიმართავენ. ბევრი ავტორი იზიარებს აზრს, რომ პოლიტიკას, საბოლოო ანგარიშით, კომპანიისთვის ცუდი შედგები მოაქვს. თუმცა, ჯერ კიდევ მიმდინარეობს დავა პოლიტიკის ხასიათზე, არის ის დადებითი, კონფლიქტის აღმომფხვრელი მოვლენა თუ უგარგის გადაწყვეტილებებამდე მიმყვანი ძალაუფლებაზე ორიენტირებული პროცესი აიზენჰარტი და ზბარაცკი (1992);
- **ნაგვის ყუთი.** ეს მოდელი შექმნეს კოენმა, მარჩმა და ოლსენმა (1972) და ის გადაწყვეტილების მიღებას აღწერს, როგორც ძალიან ბუნდოვან პროცესს და უწოდებს მას „ორგანიზებულ ანარქიას“. აიზენჰარტისა და ზბარაცკის (1992) მიხედვით, რაციონალურ და პოლიტიკურ მოდელებს საკმარისად აკლია მგრძნობელობა რთული, არასტაბილური და გაურკვეველი გარემოს მიმართ და მათ აღტერნატივად თვლიან ნაგვის ყუთის მოდელს. გადაწყვეტილების მიღებისას შეიძლება არსებობდეს სამი სახის გაურკვევლობა, ესენია: გადაწყვეტილების მიმღებთა შეუსაბამო და არასწორად განსაზღვრული პრიორიტეტები, გაუგებარი მიღების და მერყევი ჩართულობა. ამ მოდელის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღება ხდება ოთხი მიმდინარეობის შემთხვევითი შეხამების შედეგად. ეს მიმდინარეობებია არჩევნის შესაძლებლობა, გადაწყვეტილები, მონაწილეები და პრობლემები. რაციონალური და პოლიტიკური მიღებობისგან განსხვავებით, „ნაგვის ყუთის“ მოდელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შემთხვევითობის ფაქტორს. კვლევებმა აჩვენა, რომ გადაწყვეტილების მიღების ზღვრული ვადის დაწესების შემდეგ პროცესები თანდათან შორდება „ნაგვის ყუთს“. როდესაც გადაწყვეტილების მიღების ვადა ნაკლებია, უპირატესობა ენიჭება რაციონალურ და პოლიტიკურ მოდელებს.

რაციონალური და შეზღუდული რაციონალური მიღგომები თავსდება სინოპტიკურ, ხოლო ძალაუფლებისა და პოლიტიკის მიღგომა კი - ინკრემენტალური მოდელის კლასიფიკატორებში. ე.წ. „ნაგვის ყუთი“ ამ მოდელებიდან არცერთს არ მიეკუთვნება. აიზენჰარტისა და ზბარაცკის (1992) მიხედვით, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესს ყველაზე უკეთ ახასიათებს შეზღუდული რაციონალობისა და პოლიტიკური მოდელების კომბინაცია. შემეცნებითი საზღვრები და სტრატეგიული გადაწყვეტილების პროცესთა ციკლები მიეკუთვნება შეზღუდული რაციონალობის მოდელს, ხოლო სოციალური კონტექსტი კი განპირობებულია პოლიტიკის მოდელით.

ინტეიციური და მოქმედებაზე ორიენტირებული მოდელები (მინცბერგი და უესტლი, 2001). მინცბერგი და უესტლიმ (2001) ჩამოაყალიბეს ახალი ხედვა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების სირთულეებთან მიმართებაში. მათ დაასკვნეს, რომ რაციონალური მოდელის, ანუ „წინასწარ მოფიქრების“ გარდა, ასევე საჭიროა „წინასწარ დანახვისა“ და „წინასწარ მოქმედების“ მოდელები. ამ მეცნიერების მიხედვით, „წინასწარი მოფიქრების“ მოდელს გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული ეტაპები:

**განსაზღვრა --- დიაგნოზის დასმა --- დიზაინის შექმნა --- გადაწყვეტილების მიღება**

თუმცა, რეალურად ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღება ხშირად არ არის ასეთი მარტივი. „წინასწარ დანახვის“ მოდელის მეშვეობით შესაძლებელია ისეთი რამის დანახვა, რასაც სხვები ვერ ხედავთ. რა თქმა უნდა, ეს ერთგვარ გამბედაობას მოითხოვს. ეს გონიერად აღმოჩენა ოთხ ეტაპს მოიცავს:

**მომზადება --- ინკუბაცია --- გამონათება --- დადასტურება**

მინცბერგი და უესტლი (2001) სტრატეგიული გადაწყვეტილების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შორსმჭვრეტელობას და აცხადებენ, რომ ამ ფაქტორის უგულებელმყოფი თეორიები არც კი უნდა განიხილებოდეს. მათივე აზრით, როდესაც დანახვაც და მოფიქრებაც შეუძლებელია, მაშინ აუცილებელია მოქმედება. სწორედ „წინასწარ მოქმედების“ მოდელი გვირჩევს ისეთი ცდების ჩატარებას, რომელთა

წყალობითაც შესაძლებელია ბევრი ბუნდოვანი საკითხის გამოაშკარავება. ამ მოდელის ეტაპებია:

### დაკანონება --- შერჩევა --- შენარჩუნება

ცდების მეშვეობით შესაძლებელია ამ მიღებულის „შემოწმება, საუკეთესოს არჩევა და წარმატებული მოქმედებების გამეორება.

მინცბერგისა და უესტლის (2001) აზრით, „წინასწარ მოფიქრების“ მოდელი ყველაზე უკეთ მუშაობს მაშინ, როცა პრობლემა ნათელია, მონაცემები - სანდო, გარემო კი სტაბილურია. „წინასწარ დანახვა“ გამოიყენება, როდესაც საჭიროა რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, შეზავება და შემოქმედებითი შედეგის მიღება (მაგ. ახალი პროდუქტის შექმნა). „წინასწარ მოქმედების“ მოდელი კი გამოიყენება ახალი, უზვეულო სიტუაციების დროს, როგორებიცაა ახალი ინდუსტრიის ათვისება ან არსებულ ინდუსტრიაში ტექნოლოგიების ცვლილება. მინცბერგისა და უესტლის (2001) მიხედვით, ხელოვნება ამზადებს ზოგად წარმოდგენას ანუ ხედვას, მეცნიერება განსაზღვრავს სტრუქტურას ანუ გეგმას და მოხერხებულობა ქმნის მოქმედებას ანუ ენერგიას. ასევე გასათვალისწინებელია, რომ „წინასწარ მოფიქრების“ მოდელი წარმოადგენს რაციონალურ პროცესს და ამის გამო ის მიეკუთვნება სინოპტიკური მოდელების ჯგუფს. „წინასწარ მოქმედების“ მოდელი მიეკუთვნება ინკრემენტალური მოდელების სიას, ხოლო „წინასწარ დანახვა“ კი ამ ორიდან არც ერთ კლასიფიკაციაში არ ჯდება.

**გმპირიული მოდელები.** სტრატეგიის ფორმულირებისა და განხორციელებისათვის ნათი (1997) გვთავაზობს გმპირიული საფუძვლის მქონე დირექტივებს.

- **მიმართულებათა ჩამოყალიბება.** მენეჯერებმა უნდა მოძებნონ სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანები და მათ შეაფასებინონ რომელიმე კონკრეტული სიტუაცია. მათ ასევე უვალებათ პრობლემის სიმპტომებს უკან დამალული საჭიროებებისა და შესაძლებლობების პოვნა, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების შეთანხმება და შედეგზე ორიენტირებული მიზნების ჩამოყალიბება, რათა კვლევის პროცესში გზა მიეცეს ახალ იდეებს. სანამ არ დადგება ცვლილების

აუცილებლობა, დაუშვებელია პროცესის დაწყება და წინასწარ მომზადებული გადაწყვეტილების გამოყენება.

- ვარიანტების განსაზღვრა. სხვადასხვა წყაროზე და პრაქტიკაში განხორციელებულ წარმატებულ მაგალითებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს რამდენიმე ვარიანტი. ამ ვარიანტებიდან მინიმუმ ერთი უნდა იყოს რადიკალურად ინოვაციური. ამ პროცესის მიმდინარეობის დროს მენეჯერმა ხელი უნდა შეუწყოს კრეატიულ აზროვნებას და თავიდან აირიდოს კამათის ნაადრევი შეწყვეტა ან გადაწყვეტილებების ბრძად მიღება.
- გადაწყვეტილების განხორციელება. ამ ეტაპზე მენეჯერმა უნდა გაამჟღავნონ ცვლილების აუცილებლობა და ხელი შეუწყონ განხორციელების პროცესში ფართო ჩართულობას. ეს პროცესი საჭიროებს ძალიან დიდ ძალის სხმევას, რასაც მენეჯერი არ უნდა მოერიდოს. ასევე, მან უნდა გაითვალისწინოს ორგანიზაციის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურები და განსაზღვროს, თუ რამდენად უწყობს ან უშლის ხელს ეს ფაქტორები გადაწყვეტილების განხორციელების პროცესს.

შრივასტავა და გრანტი (1985). შრივასტავამ და გრანტმა (1985) ინდოეთის 32 კომპანიაში შეისწავლეს კომპიუტერიზირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი და შემოგვთავაზეს ოთხი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების მოდელი: (1) მენეჯერულ-ავტოკრატული მოდელი, (2) ბიუროკრატულ-სისტემური მოდელი, (3) ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელი და (4) რაციონალურ-პოლიტიკური მოდელი. მენეჯერულ-ავტოკრატულ მოდელში გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია ერთი მენეჯერი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მთლიანად მის ხედვასა და მოქმედებზეა დამოკიდებული. ბიუროკრატულ-სისტემური მოდელი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა ორგანიზაციულ სტრუქტურას და ოფიციალურ წესებსა და რეგულაციებს. შრივასტავასა და გრანტის (1985) მიხედვით, ეს მოდელი უმეტესად გამოიყენება ჩამოყალიბებულ და სტაბილურ ინდუსტრიებში მოღვაწე დიდ და გამოცდილ, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში. გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ეტაპებია თითოეული ალტერნატივის ტექნიკური, ფინანსური, ხარჯებისა და შედეგების


ანალიზი, განხორციელების დაგეგმვა და დირექტორის მიერ სასურველი ვარიანტის არჩევა. ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელის განმახორციელებელი ორგანიზაციები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძირითადად ხელმძღვანელობენ გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმებით. პრობლემის შესწავლასა და მისი გადაჭრის გზებზე მუშობენ პროფესიონალი მგეგმავები, ეს ორი პროცესი კი მიეკუთვნება დაგეგმვის საერთო ციკლს. რაციონალურ-პოლიტიკურ მოდელში გადაწყვეტილების მიმღებები კოალიციას ქმნიან პრობლემის არსის გარშემო და ჯგუფის ინტერესების დასაცავად გადაწყვეტილების მიღების პროცესით მანიპულირებენ.

ნათის (1997) მიერ შემოთავაზებული ეს მოდელი შეიძლება ჩაითვალოს სინოპტიკურ მოდელად, რადგან ის ხასიათდება რაციონალური პროცესებით. შრივასტავასა და გრანტის (1985) ბიუროკრატულ-სისტემურ მოდელში ტექნიკური და ფინანსური ანალიზი კეთდება ალტერნატივის არჩევამდე, ხოლო განხორციელების პროცესი კი კარგადაა დაგეგმილი. ამიტომ ეს მოდელიც სინოპტიკური მოდელების ჯგუფს მიეკუთვნება. ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელში გადაწყვეტილების მიღების დირექტივებად გამოიყენება გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმები და ამ პროცესზე დიდ ზეგავლენას ახდენენ პროფესიონალი მგეგმავები. ამის გამო ეს მოდელიც სინოპტიკური ჯგუფის წევრია. რაც შეეხება რაციონალურ-პოლიტიკურ მოდელს, ის ზრდადი მოდელების ჯგუფის წევრია, ხოლო ადმინისტრაციული თვითმპურობელობა კი არც ერთ ჯგუფს მიეკუთვნება.

**ინტეგრირებული მოდელები.** სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესთა შემაკავშირებელი სტრუქტურა (რაჯაგოპალანი, რაშიდი და დატა, 1993). რაჯაგოპალანმა და სხვ. (1993) განავითარეს გადაწყვეტილების მიღების მოდელთა ინტეგრაციული სისტემა, რომელიც ცხადად წარმოაჩენს ურთიერთდამოკიდებულებას პროცესის მახასიათებლებს, შედეგებსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის. ამ მიღვომის მთავარი ამოსავალი წერტილი ისაა, რომ პროცესის მახასიათებლებს (ფრედრიკსონი, 1984; უელში და ფაშეი, 1986) აქვთ ზეგავლენა პროცესის შედეგებზე (აიზენჰარტი, 1989; დატონი და დანკანი, 1987) ეს ორი კი, თავის მხრივ, ძლიერად ზემოქმედებენ ეკონომიკურ შედეგებზე (აიზენჰარტი და ბურჟუა, 1988; ფრედრიკსონი და მიჩელი, 1984). ეს მოდელი აერთიანებს წინამორბედ (შედეგების) და

შედეგების იმ ცვლადებს, რომლებიც უკავშირდებიან სტრატეგიული გადაწყვეტილების პროცესის მახასიათებლებს. სქემაში 6 მოცემულია სწორედ ეს მოდელი.

ეს მოდელი წარმოადგენს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთ-ერთ ყველაზე ამომწურავ ჩარჩოს და გამოყენებულია მრავალი ავტორის მიერ. ასევე, ეს მიღვომა გამოსადეგია სტრატეგიული პროცესზე მომუშავე მკვლევართათვის (კვლევის განხორციელების პროცესში). რაჯაგოპალანის და სხვ. (1993) და პაპადიკისის და სხვ. (1998) მიერ ამ შემოთავაზებული მოდელიდან ნათლად ჩანს ურთიერთკავშირი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მენეჯმენტსა და მასთან დაკაშირებულ ფაქტორებს შორის.



პარტიის (1992) სტრატეგიის ფორმულირების ჩარჩო. პარტი (1992) გვთავაზობს ინტეგრაციულ სტრუქტურას, რომელიც ამოწმებს აღმასრულებელი დირექტორებისა და ორგანიზაციის სხვა წევრების როლს სტრატეგიის ფორმულირების პროცესში. ის შედგება ხუთი მეთოდისაგან: განკარგულების, სიმბოლური, რაციონალური, ტრანზაქციული და გენერაციული მეთოდებისგან (იხ. ცხრილი 4). პარტიის (1992) თანახმად, ეს მეთოდები განისაზღვრება სამი თემატიკის მიხედვით. ესენია: (1) რაციონალობა - რამდენად გასაგები, ამოწმურავი, და გაანალიზებული უნდა იყოს სტრატეგიული პროცესი; (2) ხედვა - რამდენად ნათლად აწვდიან ლიდერები გეგმას კომპანიის სხვა წევრებს და რამდენად აძლევენ მათ მოტივაციას ამ ხედვის განსახორციელებლად და (3) ჩართულობა - რამდენად დიდი წვლილი შეაქვთ ორგანიზაციის წევრებს სტრატეგიის შედგენის პროცესში, რაც, სტრატეგიის განხორციელების პრობლემებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კრიტიკული თემაა.

სტრატეგიის განვითარების ექვსი განზომილება (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000). ბეილიმ, ჯონსონმა და დენიელსმა (2000) სამი შეხედულების: **სტრატეგიული არჩევანი, სოციალური პროცესები და გარემოებრივი ფაქტორები**, მიხედვით დაადგინეს სტრატეგიის განვითარების ექვსი განზომილება. აღნიშნული განზომილებებია: განკარგულების, დაგეგმვის, ზრდადობის, პოლიტიკური, კულტურული და გარდაუვალი არჩევნის. პარაგრაფში მოცემულია პარტიის (1992) მიერ შემოთავაზებული ხუთი განზომილება: განკარგულების, სიმბოლური, რაციონალური, ტრანზაქციული და მწარმოებელი. აშკარაა, რომ ეს ორი მიდგომა ერთმანეთს წააგავს, თუმცა არსებობს გასათვალისწინებელი განსხვავებებიც. ბეილიმ და ჯონსონმა (1991, 1995) ასენეს ამ განზომილებათა მახასიათებლები, მათზე ჩატარებული პელევების შეჯამება კი მოცემულია ცხრილში 5.

პარტმა (1992) აღნიშნა, სტრატეგიის ფორმულირების პროცესის განხორციელებისათვის საჭირო საფუძვლიანი და სანდო მეთოდების აუცილებლობა, რათა შეფასდეს პროცესსა და ორგანიზაციის შედეგებს შორის არსებული ურთიერთკავშირი. ბეილიმ, ჯონსონმა და დენიელსმა (2000) ლიტერატურაში დიდი წვლილი შეიტანეს ზემოთ

მოყვანილი ექვსი განზომილების საზომი ხელსაწყოს შექმნით. ამ ხელსაწყოს გამოყენება ემპირიულ კვლევებშია შესაძლებელი, რათა დადგინდეს, თუ რომელ განზომილებას რამხელა მნიშნველობა გააჩნია სტრატეგიის შექმნის პროცესში. ასევე საინტერესოა ამ მეთოდის გამოყენება ორგანიზაციის შედეგების შესაფასებლადაც.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში სტრატეგიის ფორმულირების მოდელები დალაგებულია სინოპტიკურ და ინკრემენტალურ მოდელებად. აგრეთვე, გამოვლენილია ის მოდელებიც, რომელთაც აქვთ სუსტი, ან საერთოდ არ აქვთ კავშირი აღნიშნულ კატეგორებთან. შესაბამისად, მსგავსი მოდელები კლასიფიცირდა „არც ერთი“ - ს კატეგორიაში და გამოირიცხა შემდგომი ანალიზიდან (იხ. ცხრილი 6).

#### ცხრილი 4. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ინტეგრირებული ჩარჩო

დისკრი პტორე ბი	განკარგულები ს	სიმბოლური	რაციონალურ ი	ტრანზაქციურ ი	გენერაციუ ლი
მიმართ ულება (სტილ ი)	ემპირიული სტრატეგიას ქმნის ლიდერი ან ლიდერების პატარა ჯგუფი	გულტურული სტრატეგიას ქმნის მისია ან მომავლის ხედვა	ანალიტიკური სტრატეგიას ქმნიან ფორმალური სტრუქტურები და დაგეგმვის სისტემები	პროცედურა სტრატეგიას ქმნის შიდა პროცესი და ერთობლივი რეგულირება	ორგანული სტრატეგიას ქმნის შიდა ორგანიზაც იული მოქმედი პირების ინიციატივა
დირექ ტორთა ფუნქც ია	სარდალი მიმართულები ს მიცემა	მწვრთნელი მოტივირება და შთაგონება	ბოსი შეფასება და კონტროლი	შუამავალი უფლებამოსი ლებისა და შესაძლებლობ ის მინიჭება	სპონსორი დამტკიცება და მსარდაჭერა
ორგანი ზაციის სხვა წევრებ ის ფუნქც ია	ჯარისკაცი ბრძანების შესრულება	მოთამაშე გამოწვევის პასუხისმგება	ხელქარითო სისტემის აყოლა	მონაწილე სწავლა და გაუმჯობესება	მეწარმე ცდა და გარისკვა

წყარო: ჰარტი (1992)

**ცხრილი 5. სტრატეგიის პროცესის განზომილებათა მახასიათებლები**

განზომილება	აღწერა
განკარგულება	დირექტორი ან უფროსი მენეჯერი მართავს სტრატეგიული განვითარების პროცესს. მისი ხედვა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს პროცესის შედეგებზე.
დაგეგმვა	დაგეგმვა არის წინასწარ განზრახული პროცესი რომელიც მოიცავს ლოგიკურ, თანმიმდევრულ, ანალიტიკურ და კარგად მოფიქრებულ მოქმედებათა ერთობლიობას. ეს მოდელი მიიჩნევს, რომ სტრატეგია ყალიბდება დირექტორების და ხორციელდება დანარჩენი მომუშავე პერსონალის მიერ. გარემოსა და შიდა ანალიზის შედეგად გენერირდება მოქმედების რამდენიმე არჩევანი. შეფასების შემდეგ კი ხდება საუკეთესოს შერჩევა.
ზრდადი	ორგანიზაციის მიზნები შეიძლება განისაზღვროს არა კონკრეტულად, არამედ ზოგადად. მუდმივი კონტროლისა და შემოწმების მეშვეობით, მენეჯერები ცდილობენ სწრაფი რეაგირება მოახდინონ გარემოში მომხდარ უცაბედ ცვლილებებზე. სტრატეგიული შესაძლებლობები განიხილება და იცვლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევებში, განვითარების აღრეულ ეტაპებზე.
პოლიტიკური	სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი უკავია ძალაუფლებისა და პოლიტიკის ფაქტორებს. კოალიციები იქმნება საერთო ინტერესების გარშემო, ხოლო, მათი ზეგავლენა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად არის ორგანიზაცია მათზე (კოალიციაზე) დამოკიდებული.
პულტურული	სტრატეგიულ არჩევანზე დიდ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციული კულტურა.
გარდაუგალი არჩევანი	გარემოებრივი ფაქტორების გათვალისწინებით ორგანიზაციები ეყრდნობიან იმ სტრუქტურებსა და მოქმედებებს, რომლებიც ყველაზე უკეთ ერგება გარემოს. გარე ფაქტორების გამო ორგანიზაციის წევრებს სუსტი როლი აქვთ სტრატეგიის არჩევანში. ამიტომ კონკრეტულ ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს ხშირად აქვთ ერთმანეთის მსგავსი სტრატეგიები.

**წყარო:** ბიელი, ჯონსონი და დენიელსი, (2000)

**ცხრილი 6. სტრატეგიის ფორმულირების მოდელების კატეგორიზაცია**

სინოპტიკური	არც ერთი	ინკრემენტალური
<p><b>თეორიული</b></p> <p><b>ენდრიუსი (1971) –</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>კლასიკური პროცესის მოდელი.</li> </ul> <p><b>ჩაფი (1985) –</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>წრფივი მოდელი.</li> </ul> <p><b>მინცბერგი (1973) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>დაგეგმვის.</li> </ul> <p><b>ბურჟუა და ბროდვინი (1984) –</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მეთაურის მოდელი;</li> <li>თანამშრომლობის მოდელი.</li> </ul> <p><b>აიზენპარტი და ზბარაცები (1992) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა.</li> </ul> <p><b>მინცბერგი და უესტლი (2001) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>„წინასწარ მოქმედების.“</li> </ul> <p><b>ემპირიული</b></p> <p><b>შრივასტავა და გრანტი (1985) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მენეჯერულ-ავტოკრატული მოდელი.</li> </ul> <p><b>(რაჭაგოპალანი, რაშიდი და დატა (1993)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესთა შემაკავშირებელი სტრუქტურა.</li> </ul>	<p><b>თეორიული</b></p> <p><b>ჩაფი (1985) –</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>განმარტებითი.</li> </ul> <p><b>აიზენპარტი და ზბარაცები (1992) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ნაგვის ყუთი.</li> </ul> <p><b>მინცბერგი და უესტლი (2001) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>„წინასწარ მოქმედების“.</li> </ul> <p><b>ემპირიული</b></p> <p><b>შრივასტავა და გრანტი (1985) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მენეჯერულ-ავტოკრატული მოდელი.</li> </ul> <p><b>ინტეგრირებული</b></p> <p><b>(რაჭაგოპალანი, რაშიდი და დატა (1993)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესთა შემაკავშირებელი სტრუქტურა.</li> </ul>	<p><b>თეორიული</b></p> <p><b>ჩაფი (1985) –</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ადაპტირებადი.</li> </ul> <p><b>მინცბერგი (1973) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სამეწარმეო (ანტრეპრენიორული);</li> <li>ადაპტირებადი.</li> </ul> <p><b>ბურჟუა და ბროდვინი (1984) –</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>კულტურის მოდელი;</li> <li>ზრდის (განვითარების) მოდელი.</li> <li>ცვლილების მოდელი.</li> </ul> <p><b>აიზენპარტი და ზბარაცები (1992) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>პოლიტიკა და ძალაუფლება.</li> </ul> <p><b>მინცბერგი და უესტლი (2001) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>„წინასწარ დანახვის.“</li> </ul> <p><b>ემპირიული</b></p> <p><b>შრივასტავა და გრანტი (1985) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>რაციონალურ-პოლიტიკური</li> </ul>

<p><b>ნათი (1997) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიმართულებათა ჩამოყალიბება - ვარიანტების განსაზღვრა - გადაწყვეტილების განხორციელება.</li> </ul> <p><b>შრიგასტავა და გრანტი (1985) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიუროკრატულ-სისტემური მოდელი;</li> <li>• ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელი.</li> </ul> <p style="text-align: center;"><b>ინტეგრირებული</b></p> <p><b>ჰარტი (1992) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სიმბოლური;</li> <li>• განკარგულების;</li> <li>• რაციონალური.</li> </ul> <p><b>ბეილი, ჯონსონი და დენიელსი (2000) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განკარგულების;</li> <li>• დაგეგმვის</li> </ul>	<p><b>მოდელი.</b></p> <p style="text-align: right;"><b>ინტეგრირებული</b></p> <p><b>ჰარტი (1992) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტრანზაქციული;</li> <li>• გენერაციული.</li> </ul> <p><b>ბეილი, ჯონსონი და დენიელსი (2000) -</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზრდის;</li> <li>• კულტურული;</li> <li>• პოლიტიკური;</li> <li>• გარდაუვალი არჩევანი.</li> </ul>
--	---

სტრატეგიის პროცესთან დაკავშირებული თეორიები. ვან დე ვენმა (1992) გამოავლინა სტრატეგიული მართვის პროცესის რამდენიმე თეორია და მოახდინა მათი კლასიფიკაცია თეორიების ოთხი ძირითადი სახეობის მიხედვით. ესენია სასიცოცხლო ციკლი, თელეოლოგია, დიალექტიკა და ევოლუცია. ქვემოთ ახსნილია სწორედ ეს სახეობები. აქვეა მოყვანილი ამ კლასიფიკაციის შემადგენელი თეორიებიც.

სასიცოცხლო ციკლის თეორიის მიხედვით, ცვლილება გარდაუვალია, რაც ნიშნავს, რომ განვითარებადი ორგანიზაცია თავის არსები მოიცავს იმ ლოგიკას, პროგრამას ან კოდს, რომელიც არეგულირებს ცვლილების პროცესს და გადაადგილებს მას საწყისი წერტილიდან წინასწარ განსაზღვრული, სასურველი შედეგის მიმართულებით. ამ თეორიის საფუძველი მომდინარეობს ბიოლოგიდან, რომლის მიხედვითაც, ჩანასახის განვითარების თითოეული წარმატებული ეტაპი წინა ეტაპზეა დამოკიდებული. ორგანიზაციის სიცოცხლის ციკლის თეორია ფუნქციონირებს ინსტიტუციონალური წესების ან პროგრამების საფუძვლებზე დაყრდნობით, რაც მოითხოვს განვითარების ქმედებების წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობით შესრულებას. თეორიების ეს ოჯახი მოიცავს „ორგანიზაციის განვითარების“ (გრეინერი, 1972; კიმბერლი და მაილსი; 1980), „ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების“ (გერსიკი, 1988) და ზოგიერთ სხვა თეორიას.

თელეოლოგიური მოდელის მიხედვით, არსებობს რამდენიმე თანაბრად ეფექტიანი გზა ერთი, კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ეს თეორია გასხვავდება სიცოცხლის ციკლის თეორიისგან იმით, რომ ის ხაზს არ უსვამს მოქმედებების კონკრეტული თანმიმდევრობის აუცილებლობას. თელეოლოგია დაფუძნებულია იდეაზე, რომ განვითარებადი ორგანიზაცია არის მიზანმიმართული და ადაპტირებადი და რომ ის სოციალურად აგებს თავის დასახულ საბოლოო მდგომარეობას და ალტერნატივებიდან ირჩევს საუკეთესო გზას ამ მდგომარეობამდე მისაღწევად. თეორიების ეს ჯგუფი მოიცავს ადმინისტრაციული ქცევის თეორიებს, როგორებიცაა „გადაწყვეტილების მიღება“ (მარჩი და სიმონსი, 1958), „სტრატეგიული დაგეგმვის მოდელები და მიზნების დასახვა“ (ჩაკრავარტი და ლორენჟი, 1991) და სხვ.

დიალექტიკა ვარაუდობს, რომ განვითარებადი ორგანიზაცია არსებობს ისეთ გარემოში, როგორშიც ურთიერთსაპირისპირო მოვლენები, ძალები და ღირებულებები გამუდმებით ებრძვიან ერთმანეთს დომინირებისა და კონტროლისათვის. ის სტაბილურობასა და ცვლილებას განმარტავს, როგორც შეფარდებით ბალანსს დაპირისპირებულ ძალებს შორის. მხარეების დაპირისპირებისა და შეთანხმების შედეგად მიღებული სტატუს ქვოს შენარჩუნებით კი იქმნება სტაბილურობა. ხოლო როდესაც ეს დაპირისპირებული ღირებულებები, ძალები და მოვლენები არღვევენ ბალანსს, ხდება ცვლილება. ამ თეორიას შეუძლია ახსნას ის ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც მიისწავიან წონასწორობის, მერყეობისა და ქაოსისკენ (გარუდი და ვან დერ ვენის, 2002).

ევოლუცია ცვლილებას ხსნის როგორც ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების განმეორებად, მზარდ და საგარაუდო (გაუთვალისწინებელ) თანმიმდევრობას. სოციალური ევოლუციის ალტერნატიული თეორიები ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, თუ როგორ იძენენ ისინი თვისებებს, როგორ ხდება ცვლილება, ნელა და წყნარად, თუ სწრაფად და რადიკალურად. ამ თეორიის მაგალითებია „სოციალური ევოლუცია“ (ნელსონი და უინთერი, 1982) და „კულტურული ევოლუცია“ (ბურგელმანი, 1991).

ორგანიზაციის და მენეჯმენტის კუთხით, ეს თეორია გამოიყენება გლობალური ცვლილებების გამოსახატად თეორიებში: „ორგანიზაციული პოპულაცია“ (კეროლი და ჰანანი, 1989); „სტრატეგიის ფორმულირების პროცესი“ (ბურგელმანი, 1991) და „ორგანიზების სოციოფსიქოლოგიური პროცესები“ (უეიკი, 1979).

**სტრატეგიის ფორმულირების მეთოდები.** წინა სექციებში განხილულია სტრატეგიის ფორმულირების რამდენიმე მოდელი, რომლებიც განმარტავენ სტრატეგიის შექმნის სხვადასხვა მეთოდებს. ჰარტმა (1992) და ბეილიმ, ჯონსონმა და დენიელსმა (2000), ამ სფეროში არსებული ლიტერატურის გამოკვლევების შედეგად, ჩამოაყალიბეს რამდენიმე მიდგომა. სტრატეგიის ფორმულირების პროცესი აიხსნა სამი ზოგადი ხედვის, **სტრატეგიული არჩევნის, სოციალური პროცესებისა და გარემოებრივი ფაქტორების** გამოყენებით.

ზემოთ განხილული სტრატეგიის ფორმულირების ოთხი ძირითადი თეორია (თელეოლოგია, სასიცოცხლო ციკლი, დიალექტიკა და ევოლუცია) და სამი ხედვა ჩვენ გამოვიყენეთ კომბინირებულ ჭრილში სტრატეგიის ფორმულირების მოდელების ასახსნელად. უპირველეს ყოვლისა, ყველა მოდელი დაჯგუფდა ზემოთ ახსნილი ოთხი თეორიის მიხედვით. შემდეგ, თითოეული მოდელის მახასიათებლები დაუწევილდა სამი ხედვის მახასიათებლებს და დალაგდა შესაბამის უჯრებში. ეს ყველაფერი ნაჩვენებია ცხრილში 7.

როგორც ნაჩვენებია ცხრილში 7, მოდელების უმრავლესობა თელეოლოგიის თეორიის ჯგუფშია გაერთიანებული, რადგან ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აღმასრულებელი დირექტორის როლს სტრატეგიის შექმნის პროცესში. მიზნების უმეტესობა წინასწარ არის განსაზღვრული და ფორმულირება, განხორციელება და შეფასება მიმდინარეობს სტრატეგიის პროცესის დროს. აღნიშნული მოდელები კი, თავის მხრივ, სტრატეგიული არჩევანის ხედვას იზიარებენ, რადგან აღნიშნული მიღგომები წინასწარ დაგეგმილი მიზნების რაციონალური და ამომწურავი პროცესით მიღწევის იდეას ემსრობიან. მათ შორის არის „პროცესის კლასიკური მოდელი“, „დაგეგმვის მეთოდი“, „მეთაურის მოდელი“, „ცვლილების მოდელი“, „რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა“ „ბიუროკრატულ-სისტემური მოდელი“ და ა.შ. რაც შეეხება სტრატეგიის ფორმულირების პროცესის დანარჩენ ორ ხედვას, მასში თელეოლოგიის თეორიის საფუძვლის მქონე არც ერთი მოდელი არ კლასიფიცირდა.

**სასიცოცხლო ციკლის** თეორიის და სტრატეგიული არჩევანის ხედვის ჯგუფში გაერთიანდნენ „წრფივი სტრატეგია“, „მიმართულებათა ჩამოყალიბება - ვარიანტების განსაზღვრა - გადაწყვეტილების განხორციელება“ და „წინასწარ მოფიქრების მოდელი“, რადგან ისინი მიჰყვებიან მოვლენების დეტალურ თანმიმდევრობას სტრატეგიის ფორმულირების პროცესის დროს. ანალოგიურად, **სასიცოცხლო ციკლის** თეორიის ბაზისის მქონე არც ერთი მოდელი არ იზიარებს სტრატეგიის ფორმულირების სოციალური პროცესებისა და გარემოებრივი ფაქტორების ხედვას.

მხოლოდ „ზრდის მეთოდი“ მოხვდა დიალექტიკის თეორიის კლასიფიკაციის და სტრატეგიული არჩევანის ხედვის ჯგუფში, რადგან მათი მიხედვით, სტრატეგიული პროცესი მოიცავს ლობირების, მოლაპარაკების და კამათის ფაქტორებს. ადნიშნულ თეორიაზე (დიალექტიკა) დაფუძნებით მოდელების უმრავლესობა იზიარებს სოციალური პროცესების ხედვას, რადგან სტრატეგიის ფორმულირება არის დაპირისპირებისა და კონსენსუსის მიღწევის ნაყოფი. ადნიშნული მოდელებია: „ადაპტირებადი“, მეთოდი, „პოლიტიკური“, „კულტურული“, „თანამშრომლობის მოდელი“, „კულტურის მოდელი“, „პოლიტიკა და ძალაუფლება“, „რაციონალურ-პოლიტიკური“ მოდელი და „ტრანზაქციული“ მეთოდი. როგორც ცხრილიდან 7 ჩანს, დიალექტის თეორიის საფუძველის მქონე არც ერთი მოდელი არ იზიარებს სტრატეგიის ფორმულირების გარემოებრივი ფაქტორების ხედვას.

ეგოლუციის თეორიის შეხედულებების გამზიარებელი მოდელების ჩამონათვალთა თანაბარი რაოდენობა იზიარებს სტრატეგიის ფორმულირების სამივე ხედვას. შესაბამისად, სტრატეგიული არჩევანის ჯგუფში მოხვდა „წინასწარ დანახვის“ მოდელი, რომელიც ხაზს უსვამს შემოქმედებით აღმოჩენებს და სამეწარმეო (ანგრეპრენიორული) მოდელი, რომელიც ეყრდნობიან ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების პროცესებს. სოციალური პროცესების ჯგუფში მოხვდნენ „ზრდის (განვითარების)“ მოდელი და „გენერაციული“ მოდელი, რადგან ისინი ემხრობიან სტრატეგიის ფორმირების მუდმივი განახლების ხედვას და მიყვებიან ვარიაცია-შერჩევა-შენარჩუნების თანმიმდევრობას. ჩვენს მოდელში გარემოებრივი ფაქტორების ხედვას იზიარებს ორი მოდელი, „ადაპტირებადი სტრატეგია“ და „გარდაუვალი არჩევანი“. ორივე მოდელს წინა პლანზე გამოაქვს გარემოს მნიშვნელობა სტრატეგიის ფორმულირების პროცესში და შესაბამისად, ხვდებიან ეგოლუციის თეორიის ჯგუფში.

**ცხრილი 7.** სტრატეგიის ფორმულირების მოდელების მეფინგი ოთხი თეორიისა და სამი სტრატეგიული ხედვის მიხედვით

თეორიები	სტრატეგიული პროცესის ხედვა		
	სტრატეგიული არჩევანი	სოციალური პროცესები	გარემოებრივი ფაქტორები
აღმოჩენა	<p>პროცესის კლასიკური მოდელი (ენდრიუსი, 1971);</p> <p>დაგეგმვის მეთოდი (მინცბერგი 1973);</p> <p>მეთაურის მოდელი (ბურჟუა და ბროდუინი, 1984);</p> <p>ცვლილების მოდელი (ბურჟუა და ბროდუინი, 1984);</p> <p>რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა (აიზენკარტი და ზბარაცკი, 1992);</p> <p>ბიუროკრატულ-სისტემური მოდელი (შრივასტავა და გრანტი, 1985);</p> <p>ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელი (შრივასტავა და გრანტი, 1985);</p> <p>განკარგულების მეთოდი (ჰარტი, 1992);</p> <p>სიმბოლური მეთოდი (ჰარტი, 1992);</p> <p>რაციონალური მეთოდი (ჰარტი, 1992);</p> <p>განკარგულება (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000);</p> <p>დაგეგმვა (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000).</p>		

<b>სასიცოცხლო ციგლი</b>	<p>წრფივი სტრატეგია (ჩაფი, 1985);          მიმართულებათა ჩამოყალიბება-          ვარიანტების განსაზღვრა -          გადაწყვეტილების განხორციელება          (ნათი, 1997);          წინასწარ მოფიქრების მოდელი          (მინცბერგი და უესტლი, 2001).</p>		
<b>დიალექტიკა</b>	<p>ზრდის მეთოდი (ბეილი, ჯონსონი და          დენიელსი, 2000).</p>	<p>ადაპტირებადი მეთოდი          (მინცბერგი, 1973);          თანამშრომლობის მოდელი          (ბურჟუა და ბროდუინი, 1984);          აულტურის მოდელი (ბურჟუა და          ბროდუინი, 1984);          პოლიტიკა და ძალაუფლება          (აიზენკარგი და ზბარაცკი, 1992);          რაციონალურ-პოლიტიკური          მოდელი (შრივასტავა და გრანტი,          1985);          ტრანზაქციული მეთოდი (ჰარტი,          1992);          პოლიტიკური (ბეილი, ჯონსონი          და დენიელსი, 2000);          კულტურული (ბეილი, ჯონსონი          და დენიელსი, 2000).</p>	

მეცნიერება	<p>სამწარმეო (ანტრეპრენიორული) მეთოდი (მინცბერგი, 1973);      „წინასწარ მოქმედების“ მოდელი (მინცბერგი და უესტლი, 2001).</p>	<p>ზრდის (განვითარების) მოდელი (ბურუჟა და ბროდუინი, 1984);      გენერაციული მოდელი (კარტი, 1992).</p>	<p>ადაპტირებადი სტრატეგია (ჩაფი, 1985);      გარდაუვალი არჩევანი (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000).</p>
------------	---	---	--

#### ცხრილი 8. სტრატეგიის ფორმულირების მოდელების განმარტება

თეორიუმი	სტრატეგიული პროცესის ხედვა		
	სტრატეგიული არჩევანი	სოციალური პროცესები	გარემოებრივი ფაქტორები
თ	„რაციონალური მეთოდი“		
პ	სტრატეგია იქმნება ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, დეტალური ანალიზის შემდგომ.		
ვ	- მიზნები წინასწარ არის განსაზღვრული; - ხაზს არ უსვამს მოქმედებების კონკრეტული თანმიმდევრობის აუცილებლობას;		
მ	-სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ინიცირება გამომდინარეობს მიზნების ფორმულირებიდან ან მოდიფიცირებიდან.		
ა	„რაციონალური, თანმიმდევრული მეთოდი“		
ს			

<p>ც ო ც ხ ა ვ ი ც ი</p>	<p>სტრატეგია იქმნება ორგანიზაციის მიზნების მიხედვით თანმიმდევრული მოვლენებისგან შემდგარი პროცესით.</p>		
<p>ცი პლი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- მიზნები წინასწარ არის განსაზღვრული;</li> <li>- ფუნქციონირებს ინსტიტუციონალური წესების ან პროგრამების საფუძლებზე დაყრდნობით;</li> <li>- განვითარების ქმედებების წინასწარ განსაზღვრულია და თანმიმდევრულად ხორციელდება.</li> </ul>		
<p>ჩ ი ა ვ ა ძ ტ ი ბ ა</p>	<p>„ბალანსის მეთოდი“</p>	<p>„სოციალური წონასწორობის მეთოდი“</p>	
	<p>მენეჯერები ირჩევენ სტრატეგიას წონასწორობის მიხედვით, რომელიც შექმნა ორგანიზაციული ძალების ბალანსმა.</p>	<p>სტრატეგია არის წონასწორობის შედეგი, რომელიც შექმნა ორგანიზაციული ძალების ბალანსმა. ამ მეთოდსა და წონასწორობის არჩევნის მეთოდს შორის მთავარი განსხვება ისაა, რომ წონასწორობის არჩევნის მიღომით სტრატეგიას ქმნიან</p>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>- მიზნები წინასწარ არ არის განსაზღვრული;</li> <li>- სტაბილურობა იქმნება დაპირისპირებული მხარეების ბრძოლისა და შეთანხმების შედეგად;</li> <li>- ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ირდვევა ძალთა ბალანსი ბალანსი.</li> </ul>		

ქ პ ლ ე ტ ი ა	„ევოლუციური მეთოდი“	„სოციალური ევოლუციის მეთოდი“	„ადაპტაციის მეთოდი“
	<p>სტრატეგია ირჩევა ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების მუდმივი პროცესის შედეგად.</p>	<p>სტრატეგია ირჩევა ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების მუდმივი პროცესის შედეგად. ამ და ევოლუციური არჩევნის მეთოდს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ ევოლუციური არჩევნის მიღღომით სტრატეგიას ქმნიან მენეჯერები.</p>	<p>ორგანიზაცია ეგუება გარემოს ცვლილებებს და ორგანიზაციული სტრატეგია არის ამ ადაპტაციის შედეგი.</p>
	<ul style="list-style-type: none"> <li>- ცვლილებები ხდება ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების პროცესთა მუდმივი ციკლის შედეგად;</li> <li>- ვარიაცია დაუგეგმავი მოვლენაა, შერჩევა კი ხდება ორგანიზაციის კონკურენტ ფორმებს შორის და გარემო მათ შორის ირჩევს იმას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის რესურსებსა და გარემოს ნიშას;</li> <li>- შენარჩუნებაში იგულისმება ის ძალები, რომლებიც ინარჩუნებენ და განამტკიცებენ ორგანიზაციის კონკრეტულ ფორმებს.</li> </ul>		

**ცხრილში 8** მითითებული სტრატეგიის ფორმულირების მეთოდები დაფუძნებულია ზემოთ ხსენებულ ოთხ თეორიასა და სამ სტრატეგიულ ხედვაზე.

სტრატეგიის ფორმულირების რაციონალური მეთოდი ფართოდ გამოიყენება ორგანიზაციებში და ის მოიცავს გარემოში არსებული პერსპექტივების სისტემატიურ ძიებას, ხარჯებისა და მოგების მუდმივ ანალიზს. აღნიშნული მიზეზის გამო ბევრი ემპ

რიული ნაშრომი იყენებს „რაციონალურ მეთოდს“ კვლევების ჩასატარებლად. წინამდებარე ნაშრომიც არ იქნება გამონაკლისი და ისიც სტრატეგიის ფორმულირების პროცესის შეისწავლისას ზემოხსენებულ მეთოდს გამოიყენებს.

ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ განსხვავება „სინოპტიკურ“ და „ინკრემენტალურ“ მოდელებს შორის და შევამოწმეთ ამ ორი მოდელის ძირითადი მახასიათებლები. წინამდებარე ნაშრომში განხილულია სტრატეგიის ფორმულირების თეორიული, ემპირიული და ინტეგრაციული მოდელები. განვიხილეთ სტრატეგიული მართვის პროცესის ოთხი თეორიული საფუძვლი (თელეოლოგია, სასიცოცხლო ციკლი, დიალექტიკა და ევოლუცია) და სტრატეგიის ფორმულირების პროცესის სამი ხედვა (სტრატეგიული არჩევანი, სოციალური პროცესები და გარემოებრივი ფაქტორები). აგრეთვე, მიმოვიხილეთ სტრატეგიის ფორმულირების შვიდი მეთოდი: რაციონალური არჩევანი, თანმიმდევრული არჩევანი, წონასწორობის არჩევანი, ევოლუციური არჩევანი, სოციალური წონასწორობა, სოციალური ევოლუცია და ადაპტაცია.

## თავი II. ბიზნესის სტრატეგია სამრეწველო საწარმოებში

### 2.1. ბიზნესის სტრატეგიის არსი

ამ პარაგრაფში განხილულია სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები სტრატეგიის დონების შესახებ. აგრეთვე, შეფასებულია პორტერის (1980) გვაროვნული სტრატეგიები და წარმოდგენილია მათი კრიტიკა. საუბარია საფრთხეებსა და იმ რისკებზე, რაც გააჩნიათ გვაროვნულ სტრატეგიებს.

**სტრატეგიის დონეები.** სტრატეგიულ პროცესებზე არსებული ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ სტრატეგია შეიძლება დაიყოს სამ დონედ: კორპორაციული სტრატეგია, ბიზნესის სტრატეგია და ფუნქციური სტრატეგია (გრანტი და კინგი, 1982; ბურჟუა, 1980). კორპორატიულ სტრატეგიის ფარგლებში ხდება დარგის შერჩევა, განისაზღვრება ვერტიკალური, ჰორიზონტალური ბაზრის ხედვა, კავშირი და სხვადასხვა საქმიანობათა გაერთიანების ხარისხი (ბურჟუა, 1980; რუმელტი, 1974). ბიზნესის სტრატეგიის ფუნქციაა კომპანიის საქმიანობის ნავიგაცია, ანუ იმის გადაწყვეტა, თუ როგორ გაუწევს კომპანია კონკურენციას მეტოქეებს კონკრეტული ბაზრის სეგმენტზე (ბერდი და დესი, 1981). ფუნქციური სტრატეგია კი კონცენტრირებულია ორგანიზაციის თითოეული ფუნქციის, რესურსების მწარმოებლურობის მაქსიმიზაციაზე და აგებულია ბიზნეს სტრატეგიის პრინციპზე (შენდელი და ჰოფერი, 1979). კორპორაციული სტრატეგია ზოგადია, იმისათვის, რომ დროული რეაგირება მოახდინოს ცვლებად გარემოში. ამასთან ერთად ფუნქციური სტრატეგიის ამოცანაა სხვადასხვა ფუნქციის ქმედებების გაერთიანება და ამიტომ, ფუნქციურ სტრატეგიებს არ გააჩნია განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა (ვენკატრამანი, 1989). ამ ყველაფრიდან გამომდინარე გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ სტრატეგიის კვლევისას მეცნიერთა საკვლევ არეალს ბიზნესის სტრატეგია წარმოადგენს.

ბიზნესის სტრატეგია უმეტესად გათვლილია კონკურენტულ გარემოში წარმატების მიღწევაზე. ამ დონეზე სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ხანგრძლივი და სიცოცხლისუნარიანი უპირატესობის მოპოვება. კომპანია წარმატებულია, თუ მისი მოგება ბაზრის სხვა მონაწილეების საშუალო მოგებაზე მეტია. სტრატეგიული თვალსაზრისით, აუცილებელია ამ უპირატესობის მაქსიმალურად დიდხანს შენარჩუნება (ჯოფრე, 2011).

ასეთი სახის სტრატეგიული ხედვა პირველად შემოგვთავაზა პორტფერმა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. მისი თქმით, იმისათვის, რომ კომპანიამ უპირატესობა მოიპოვოს, მან უნდა მოძებნოს საკუთარი პროდუქტ(ებ)ის სტრატეგიული ადგილი (პოზიციონირება) ბაზარზე. ამის მისაღწევად კომპანიას კონკურენტებთან შედარებით უპირატესობა უნდა გააჩნდეს ან დანახარჯების მინიმიზაციის კუთხით, ანდა პროდუქტის დიფერენცირებით. ხარჯების შემცირებით კომპანია უპირატესობას მოიპოვებს, თუ იგი აწარმოებს იმავე პროდუქტს კონკურენტებთან შედარებით ნაკლები დანახარჯებით. დიფერენციაცია კი ნიშნავს ისეთი პროდუქტის წარმოებას, რომელიც კონკურენტების პროდუქტზე მეტ სარგებელს მოუტანს მომხმარებელს. ორივე შემთხვევაში, კომპანია ქმნის მეტ ფასეულობას მომხმარებლებისათვის და, ამასთანავე, ნახულობს მეტ მოგებას, ვიდრე კონკურენტები. (პორტფერი, 1998).

კონკურენტულ უპირატესობაზე მნიშვნელოვანი შენიშვნები აქვს გაკეთებეული ბარნის თავის 2001 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „მენეჯმენტის უურნალი“. მისი თქმით, ყველა კომპანია ფლობს რესურსებს, აქტივებსა და შესაძლებლობებს, თუმცა, მხოლოდ მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში მოიპოვება კონკურენტული უპირატესობა. რესურსების განაწილება მოიცავს ნედლეულისა და მასალების, კაპიტალის, დეფიციტური მმართველობითი კადრებისა და ტექნოლოგიური გამოცდილების განაწილებას. ამ იდეითად შთაგონებული ტერმინი „კომპანიის რესურსებზე დაფუძნებული ხედვა“ (Resource-based view), რომელიც პირველად სწორედ ბარნიმ გამოიყენა. მისი თქმით, კომპანიის სტრატეგიული რესურსები უნდა იყოს იშვიათი, როგორც მისაბაძი და ჩაუნაცვლებელი. ეს ნიშნავს, რომ კომპანიამ არა მარტო უნდა შექმნას და ჩამოაყალიბოს კონკურენტებზე უკეთესი აქტივები, არამედ უნდა დაიცვას კიდევ ისინი და არ მისცეს სხვებს მათი იმიტირების საშუალება. მიუხედავად ყველაფრისა, იმიტირება გარდაუგალია და სწორედ ამიტომაა აუცილებელი ამ უპირატესობის მუდმივი განახლება. ამ პროცესის პერმანენტულობა პირდაპირ კავშირშია სტრატეგიული პროცესის დინამიურ ბუნებასთან (ბარნი, 2001).

სტრატეგია ასევე წარმოადგენს სწორი პოზიციის შერჩევას ბაზარზე (პოზიციონირება). პოზიციონირების კარგი მაგალითია ბოსტონის საკონსულტაციო

ჯგუფის მატრიცა, რომელიც გვთავაზობს ოთხ სიტუაციას, ანუ ოთხი სახეობის საქონელს და სტრატეგიული გადაწყვეტილებების პაკეტს თითოეული შემთხვევისათვის (ჯოფრე, 2011).

პოზიციონირების ერთ-ერთი თვალსაჩინო მიმდევარია პორტერი, რომელმაც მიზნად დაისახა ეწვენებინა, თუ რომელი სტრატეგიები მუშაობს უფრო ეფექტიანად კონკრეტულ სიტუაციებში. ის სტრატეგიას განიხილავს როგორც „ახალი პოზიციის ძიების პროცესს, სადაც კომპანია ყველაზე უკეთ იქნება დაცული კონკურენტული ძალების (არსებული და პოტენციური კონკურენტები, შემცვლელი საქონლის მწარმოებლები, მომხმარებლები და მიმწოდებლები) ზემოქმედებისაგან და, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს მათზე“ (პორტერი, 2001, გვ. 32). მართალია, პორტერთან სტრატეგიის ფორმირება წარმოადგენს კონკრეტული კომპანიისათვის დამახასიათებელ, გააზრებულ და კონტროლირებად პროცესს, თუმცა, მოდელირებისათვის დამახასიათებული უნიკალური სტრატეგიები ადგილს უთმობს ზოგად მიდგომებს, როგორებიცაა დანახარჯების მიხედვით ლიდერობა, დიფერენცირება და ფოკუსირება (პორტერი, 2001).

**პორტერის გვაროვნული სტრატეგიები.** პორტერის (1980) თანახმად, კონკურენტული სტრატეგია განისაზღვრება, როგორც ორგანიზაციების პროაქტიული ან თავდაცვითი ქმედებები იმ მიზნით, რომ ინდუსტრიაში შეიქმნას დაცული პოზიცია და წარმატებით გაართვას თავი ხელი კონკურენტულ ძალას, რომლებიც კომპანიისათვის უკეთეს ფინანსურ შედეგებს განაპირობებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის მისაღწევად პორტერმა გამოარჩია სამი გვაროვნული სტრატეგია: (1) დანახარჯების მიხედვით ლიდერობა, (2) დიფერენცირება და (3) ფოკუსირება. ის, თუ როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს ამ სტრატეგიების წყალობით შეარბილონ ან შეამცირონ ხელი კონკურენტული ძალისგან გამოწვეული საფრთხეები.

დანახარჯების მიხედვით ლიდერობა. ეს სტრატეგია მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ კომპანიამ აწარმოოს მომხმარებელთათვის მისაღები პროდუქტი, კონკურენტებთან შედარებით ნაკლები დანახარჯებით. ორგანიზაციები, რომლებიც ირჩევენ ამ სტრატეგიას, მიისწავლიან დანახარჯების მინიმიზაციისკენ და ამას ისინი ახერხებენ კვლევებისა და განვითარებისათვის არსებული

სახსრების შემცირებით, ასევე მომსახურების, გაყიდვებისა და რეკლამირებისთვის საჭირო ხარჯების მკაცრი კონტროლით და ა.შ. (პიტი, იარღენდი და პოსკისონი, 2007).

კონკურენტი ძალების არსებობის მიუხედავად, დაბალი ხარჯების პოზიცია მაინც ეხმარება კომპანიებს, პქონდეთ საშუალოზე მაღალი მოგების მარტი. როდესაც კონკურენცია ძალიან მძაფრია, დანახარჯების მიხედვით ლიდერი (მინიმალური ხარჯების მქონე) კომპანიები მაინც გადიან მოგებაზე, თუმცა, ეს მოგება იხარჯება კონკურენტებთან პაექტობაში. მყიდველთა საბაზრო ძლიერებამ შეიძლება აიძულოს კომპანია შეამციროს ფასები, მაგრამ მხოლოდ იმ დონემდე, რომელზედაც მის უახლოეს (მის შემდეგ ყველაზე ძლიერ) კონკურენტს არ შეუძლია მიიღოს მოგება. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ კლიენტებს შეუძლიათ „დანახარჯების მიხედვით ლიდერს“ კიდევ უფრო დააკლებინონ ფასები, ეს სვლა შეიძლება მათთვისვე აღმოჩნდეს საზიანო. თუ ეს მაინც მოხდა, უახლოესი კონკურენტი ვეღარ მიიღებს მოგებას და დატოვებს ბაზარს. რაც ბუნებრივია, გააძლიერებს „დანახარჯების მიხედვით ლიდერის“ პოზიციას და დაასუსტებს მყიდველთა საბაზრო ძლიერებას. აღნიშნული სრატეგია კომპანიას იცავს მიმწოდებელთა საბაზრო ძლიერების ზეგავლენისგან, რადგან დანახარჯების მიხედვით ლიდერს გააჩნია უფრო დიდი მოგების მარტი, ვიდრე მის კონკურენტებს. ამის გამო მას უფრო მარტივად შეუძლია მიმწოდებელთა გაზრდილ ფასებთან შეგუება, ვიდრე სხვა კონკურენტებს. ასევე, „დანახარჯების მიხედვით ლიდერი“ კომპანიები ინარჩუნებენ წარმოების მაღალ ეფექტიანობას, რაც მოგების მარტის ზრდის საწინდარია. ეს კი, თავის მხრივ, ბაზარზე შესვლის მსურველი ახალი კომპანიებისთვის ქმნის დამატებით ბარიერებს. იგივე მდგომარეობაა სუბსტიტუტი ნაწარმის შემთხვევაშიც. „დანახარჯების მიხედვით ლიდერს“ უფრო ადგილად შეუძლია მათთან შეგუება, ვიდრე სხვა, შედარებით სუსტ კომპანიებს (პორტერი, 2001).

დიფერენცირება დიფერენცირების სტრატეგია არის ქმედებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ კომპანიამ აწარმოოს (მისაღებ ფასად) ისეთი პროდუქტი, რომელსაც მომხმარებლები აღიქვამენ სხვა პროდუქტისგან განსხვავებულად მათთვის მნიშვნელოვანი თვისებების გამო (პიტი და სხვ., 2007). კომპანიები თავიანთ პროდუქტს განასხვავებენ სხვადასხვა ასპექტის მიხედვით, მათ შორის: დიზაინი ან

ბრენდის იმიჯი, ტექნოლოგია, დამატებითი თვისებები, მომსახურება და დილერების ქსელი. დიფერენციაციის სტრატეგია, დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის მსგავსად, კომპანიას აძლევს შესაძლებლობას, შეამციროს ხუთი კონკურენტული ძალით გამოწვეული საფრთხეები. მომსმარებლების მხრიდან - ბრენდის ერთგულება ეხმარება გამორჩეული პროდუქტის მფლობელ კომპანიას, გაუძლოს ფასის ზრდას, რაც მას იცავს კონკურენციისგან. უნიკალური ნაწარმი და მომსახურება კი ამცირებს მომსმარებელთა მგრძნობელობას ფასის ზრდის მიმართ, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ასუსტებს მათ საბაზო ძლიერებას. ასევე, განსხვავებული პროდუქტისა და მომსახურებისთვის კომპანიები ხშირად ითხოვენ საშუალოზე მეტ ფასს, რისი შედეგია მოგების დიდი მარჟა. მაღალი მარჟა კი საშუალებას აძლევს კომპანიას, დაფაროს მიმწოდებლის მიერ გაზრდილი ფასები, რაც, ბუნებრივია, ასუსტებს მიმწოდებელთა საბაზო ძლიერებას. მომსმარებელთა ერთგულებისა და განსხვავებული პროდუქტის გამო ახალ კომპანიებს ბაზარზე ადგილის დამკვიდრება ძალიან უჭირთ. მომსმარებელთა ერთგულება და ბრენდის იმიჯი კი იცავს მათ სუბსტიტუტი ნაწარმისაგან (პორტერი, 2001).

**ფოკუსირება.** ფოკუსირების სტრატეგია არის ქმედებათა წყება, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ კომპანიამ აწარმოოს მომსმარებელთა კონკრეტულ სეგმენტზე გათვლილი პროდუქტი (პიტი და სხვ., 2007). ამ სტრატეგიის მომხრე ორგანიზაციები კონცენტრირებულნი არიან მომსმარებელთა ერთ კონკრეტულ ჯგუფზე. ორგანიზაციები, რომლებიც ირჩევენ დანახარჯების მიხედვით ლიდერობის ან დიფერენციაციის სტრატეგიას, ისახავენ დარგობრივ, მთელ ინდუსტრიაზე გათვლილ მიზნებს, ხოლო ფოკუსირების სტრატეგიის მომხრე კომპანიები კი ცდილობენ, მოემსახურონ ერთ, კონკრეტულ სამიზნე ჯგუფს. თუმცა, თავიანთ სეგმენტებზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად ეს ორგანიზაციები იყენებენ დანახარჯების მიხედვით ლიდერობის ან დიფერენციაციის სტრატეგიებს. მაშასადამე, ფოკუსირების სტრატეგია არ ეხმარება ორგანიზაციას მიაღწიოს დაბალი ხარჯების ან განსხვავებული პროდუქტის პოზიციას მოლიან ინდუსტრიაში, მაგრამ აძლევს მათ შესაძლებლობას, მოიპოვონ ამ ორიდან ერთ-ერთი პოზიცია ბაზრის თავიანთ ვიწრო სეგმენტზე (პიტი და სხვ., 2007). ზემოთ განხილული სამი გვაროვნული სტრატეგია შეჯამებულია ცხრილ 9-ში.

## ცხრილი 9. პორტერის გვაროვნული სტრატეგიები

		სტრატეგიული უპირატესობა	
ცხრილი ნომერი		მომხმარებლების მიერ აღქმული უნიკალურობა	დაბალი ფასის პოზიცია
	მთელ ინდუსტრიაში	დიფერენცირება	დანახარჯების მიხედვით ლიდერობა
	კონკრეტულ სეგმენტები		ფოკუსირება

წყარო: პორტერი, (1980)

გვაროვნულ სტრატეგიებთან დაკავშირებული რისკები. პორტერის (1980) თქმით, გვაროვნულ სტრატეგიებთან ასოცირდება ორი სახის რისკი. პირველი დაკავშირებულია სტრატეგიული უპირატესობასთან ან „შენარჩუნებასთან, მეორე კი არის ის, რომ სტრატეგიული უპირატესობა დარგის განვითარებასთან ერთად სუსტდება და უარესდება. პორტერის მიხედვით, პირველმა რისკმა შეიძლება კომპანიები მიიყვანოს ე.წ. „შუაში გახიდვის“ მდგომარეობამდე, რომელიც ხდება ორი მიზეზის გამო (კიმი, ნამი და სტიმპერტი, 2004). კომპანია შეიძლება „გაიხიდოს შუაში“, თუ ის ვერ განახორციელებს დაგეგმილ სტრატეგიას, რაც, ბუნებრივია, მისთვის ცუდ შედეგებს მოიტანს. მეორე შემთხვევა კი ხდება მაშინ, როცა კომპანია წარუმატებლად ცდილობს ერთზე მეტი სახეობის სტრატეგიის ერთდროულად გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხარჯების და დიფერენცირების სტრატეგიათა კომბინაციის მიყოლა კომპანიისთვის განაპირობებს საშუალოზე უკეთეს შედეგებს (დესი, ლამპკინი და მაკგი, 1999), ხოლო რაც შეეხება ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, ისინი შეჯამებულია ცხრილში 10.

**პორტერის გვაროვნული სტრატეგიების კრიტიკა და განშტოებები.** პორტერის გვაროვნული სტრატეგიების ეფექტიანობას ეჭვებელ ბევრი მეცნიერი აყენებს. ახლო წარსულში ბოუმენმა (2008) გამოავლინა პორტერის სტრატეგიების სამი უდიდესი ნაკლი:

- (1) ისინი განიხილავენ, თუ „სად უნდა იმოღვაწეოს“ კომპანიამ და არა „როგორ უნდა

იმოღვაწეოს“, (2) ერთმანეთში ურევენ კონკურენტულ სტრატეგიას და კორპორატიულ სტრატეგიას და (3) გამორიცხავენ სხვა, მისადებ სტრატეგიულ შესაძლებლობებს. პორტფერს სჯეროდა, რომ კომპანიებმა სამოღვაწეოდ უნდა აირჩიონ მხოლოდ თავიანთოვის მიმზიდველი დარგები. ბოუმენი ამ თეორიას ეწინააღმდეგება შემდეგი არგუმენტით: თუ ინდუსტრია არ არის კომპანიისთვის მიმზიდველი, ამ შემთხვევაში არ არის ცხადი, თუ რამდენად გონივრულია პორტფერის რეკომენდაციის მიყოლა და სხვა ინდუსტრიის განხილვა. ბოუმენის აზრით, პორტფერის მიერ ინდუსტრიის განმარტება ძალიან ზოგადია და, შესაბამისად, ამ სამ გვაროვნულ სტრატეგიას შორის არჩევანი ეფუძნება უფრო მეტად კითხვას „სად უნდა იმოღვაწეოს“ კომპანიამ, ვიდრე „როგორ უნდა იმოღვაწეოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა“. მეორე ნაკლი უკავშირდება კორპორაციული და ბიზნეს-ერთეულის დონის სტრატეგიების ერთმანეთში არევას. პორტფერის მიხედვით, ინდუსტრიის სხვადასხვა სეგმენტზე ან სხვადასხვა ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიებმა ბაზარზე უნდა გამოიყენონ ამ სამიდან მხოლოდ ერთი სტრატეგია. ბოუმენი ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება იმით, რომ სხვადასხვა ბაზარზე მოღვაწე ორგანიზაციები, ძირითადად, დიდი კორპორაციები არიან და ისინი არა ბიზნესერთეულის, არამედ კორპორაციული დონის სტრატეგიებს იყენებენ. აგრეთვე, ის ფიქრობს, რომ კომპანიები დიფერენცირებისა და დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიებს ერთდროულად უნდა იყენებდნენ. პორტფერის ტიპოლოგიების მესამე ნაკლი ისაა, რომ ისინი არ ითვალისწინებენ ზოგიერთ შესაძლო სტრატეგიულ არჩევანს. მაგალითად, დასაშვებია სიტუაცია, როცა შესაძლებელია პროდუქტის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებაც და კონკურენტული ფასების შენარჩუნებაც. დიფერენციაციის სტრატეგიის მიმყოლი კომპანია ამ დროს გამოიყენებდა შკალირებისა და გამოცდილების ეფექტებს, რითაც შეიმცირებდა ხარჯებს. ბოუმენს მიაჩნია, რომ პორტფერის ტიპოლოგია არის სეგმენტაციის თეორია, რომელიც ბაზარს ორ სეგმენტად ყოფს. პირველ სეგმენტზე საშუალო დონის მწარმოებლები ყიდიან საშუალო დონის ნაწარმს საშუალო ფასად და მომხმარებლები შეთავაზებული პროდუქტით კმაყოფილი არიან. მეორე სეგმენტზე კი, კომპანიები სთავაზობენ მაღალი ხარისხის ნაწარმს მაღალი ფასებით იმ მომხმარებლებს, რომლებიც შესაბამისად აფასებენ ამ ნაწარმის მაღალ ხარისხს. ბოუმენმა დაასკვნა, რომ გვაროვნული სტრატეგიები ძალიან

მარტივი სტრუქტურებია, რომლებიც არ იძლევა პასუხს თრგანიზაციის კონტექსტთან დაკავშირებულ სტრატეგიულ პრობლემებზე (მაგ. გარემოებრივ კონდიციებზე) (ბოუმენი, 2008).

მილერს (1992) მიაჩნია, რომ მხოლოდ ერთი გვაროვნული სტრატეგიის მიყოლამ შესალოა კომპანიას სავალალო შედეგები მოუტანოს. ამ სტრატეგიულმა სპეციალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს: (1) მომხმარებელთათვის პროდუქტის შეთავაზების დეფიციტი; (2) კლიენტთა მოთხოვნების უგულვებელყოფა; (3) კონკურენტებისგან სუსტი თავდაცვა; (4) სიხისტე და (5) თრგანიზაციის ხედვის (თვალსაწიერის) დავიწროება. მილერის თქმით, უმჯობესია დიფერენციაციის და დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიებისგან შედგეს ერთი, შერეული სტრატეგია, რადგან ასეთ სტრატეგიას შეუძლია შეამციროს სტრატეგიის სპეციალიზაციასთან დაკავშირებული რისკები.

## ცხრილი 10. გვაროვნულ სტრატეგიებთან დაკავშირებული რისკები

სტრატეგია	რისკები
დანახარჯების მიხედვით ლიდერობა	<p>ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებიც ფასს უკარგავენ წარსულში განხორციელებულ ინვესტიციებსა და ცოდნას;</p> <p>ბაზარზე „ახალწვეულთათვის“ ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობა და სიმარტივე, იმიტაციის ან უახლესი ტექნოლოგიების შეძენის მეშვეობით;</p> <p>ხარჯებზე გადატანილი ყურადღების გამო საწარმოო ან მარკეტინგული ცვლილებების აუცილებლობის ვერ დანახვა;</p> <p>ხარჯების გაბერვა, რაც ამცირებს კომპანიის შესაძლებლობას შეინარჩუნოს ფასის ის მაჩვენებელი, რომლითაც იგი შეძლებს კონკურენტის ბრენდ-იმიჯთან და დიფერენციაციის სხვა მიღგომებთან პარალელურად.</p>
დიფერენციაცია	<p>სხვაობა ხარჯებში, დანახარჯების მიხედვით ლიდერობის მქონე კონკურენტებს და დიფერენციაციის სტრატეგიის მქონე კომპანიას შორის იმდენად იზრდება, რომ რთულდება მომსმარებელთა ერთგულების შენარჩუნება;</p> <p>მას შედეგ რაც იხვეწება მყიდველთა გემოვნება და სურვილები, მათთვის განსხვავებულ ფაქტორს თანდათან ეკარგება მნიშვნელობა;</p> <p>ნაწარმის განსხვავებულობას ფასი ეკარგება მიბაძვის გამო, რაც, ძირითადად, მაშინ ხდება, როცა ინდუსტრია განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწევს.</p>
ფოპუსირება	<p>ფართოვდება ფასთა სხვაობა დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის მქონე კომპანიებსა და ფოკუსირებულ კომპანიებს შორის, რათა აღმოიფხვრას ვიწრო სამიზნე აუდიტორიის ფასისმიერი მომსახურების უპირატესობა ან დაბალანსდეს ფოკუსირებით მიღწეული დიფერენცირებული მიღგომა;</p> <p>სტრატეგიულ სამიზნე აუდიტორიასა და მთლიან ბაზარს შორის ვიწროვდება პროდუქტის ან მომსახურების სასურველი განსხვავებები;</p> <p>სამიზნე სეგმენტზე კონკურენტი კომპანიები პოულობენ უფრო ვიწრო ქვესეგმენტს, რითაც სჯობნიან ფოპუსირებულ კომპანიებს.</p>

წყარო: პორტერი, (1980)

ის ასევე, ხელს უწყობს ორგანიზაციებს, განივითარონ სხვადასხვა შესაძლებლობა და აძლევს მათ საშუალებას, სტრატეგიის სხვადასხვა ასპექტში გამოიყენონ პოტენციური სინერგიები. თუმცა, მიღერი ასევე აცხადებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შერეულ სტრატეგიებს მაინც წმინდა გვაროვნული სტრატეგია სჯობს. ეს იმ შემთხვევებში ხდება, როცა ბაზარი ითხოვს ერთ კონკრეტულ ფაქტორს, მაგალითად, ფასს ან ხარისხს. სიტუაციებში, როცა მომხმარებლები ითხოვენ სანდოობას, სასურველი არაა დანახარჯების შემცირება. ანალოგიურად, თუ მომხმარებლები ძალიან მგრძნობიარები არიან ფასის ზრდის მიმართ, აზრი არ აქვს განსხვავებული ნაწარმის ან თვისებების შეთავაზებას. სტრატეგია არ არის მხოლოდ ხარჯების შემცირება ან უნიკალური პროდუქტის შექმნა, არამედ „ის უნდა წარმოადგენდეს პროდუქტისა და მომსახურების დამატებითი თვისებებისა და ორგანიზაციის ძალისხმევის მომგებიან კონფიგურაციას“ (მიღერი, 1992, გვ. 41).

პორტფერის გვაროვნულ სტრატეგიათა განშტოებები. როგორც პორტფერის გვაროვნული სტრატეგიების ალტერნატივა, ტრეასიმ და უირსემამ (1997), ბაზრის სეგმენტაციის მიხედვით, ემპირიულად დაამტკიცეს ორგანიზაციების სამი სტრატეგიული საშუალება. ამ მიღვომის მიხედვით, თითოეულ ინდუსტრიას გააჩნია სამი სეგმენტი. პირველი სეგმენტი ითხოვს დაბალი ფასის სტანდარტულ ნაწარმს, მეორე სეგმენტი - უკეთესი თვისებების ინვაციურ ნაწარმს, რომლისთვისაც მომხმარებლები იხდიან მეტ ფასს, ხოლო მესამე სეგმენტი კი საჭიროებს სპეციალიზებულ ნაწარმსა და მომსახურებას. თითოეულ ამ სეგმენტზე მოსარგებად ორგანიზაციებს შეუძლიათ ამ სამი სტრატეგიული მიღვომის გამოყენება: ექსპლუატაციური დახელოვნება (პირველ სეგმენტზე), პროდუქტზე ლიდერობა (მეორე) და მომხმარებელთან სიახლოვე (მესამე).

კიმმა და მოუბორნმა (2005) შექმნეს ე.წ. „ლურჯი ოკეანის“ სტრატეგია, რომელიც გვთავაზობს კონკურენციის დეტალურ განმარტებას. აზროვნების ამ მიმდინარეობის მიხედვით, სტრატეგიის მიზანი არა კონკურენტზე უკეთესი მოდგაწეობა, არამედ ახალი საბაზრო სივრცის ანუ „ლურჯი ოკეანის“ შექმნაა. ამ სტრატეგიის მიხედვით, კონკურენცია ხდება ირიბი ცნება ან, საერთოდ, აზრი ეკარგება მას. ეს სტრატეგია ასევე ემხრობა დანახარჯების მიხედვით ლიდერობის და დიფერენციაციის მიღვომების ერთდროულ

გამოყენებას. „ლურჯი ოკეანე“ მოიცავს სტრატეგიის ფორმულირებასაც და განხორციელებასაც.

პორტერის შემდეგ ყველაზე დიდი პოპულარულობით სარგებლობს მაილსისა და სნოუს (1978) მიერ შედგენილი სტრუქტურა, რომელიც გამოყოფს ოთხი ტიპის სტრატეგიულ მიდგომას: მაძიებლები/Prospectors, დამცველები/Defenders, ანალიტიკოსები/Analyzers და რეაქტორები/Reactors.

„მაძიებლები“ დინამიურ, ბუნდოვან გარემოს ეგუებიან და იყენებენ თავიანთ მოქნილობას, რათა ფეხი აუწყონ გარემოს ცვლილებებს. „მზვერავები“ პირველები სთავაზობენ მომხმარებელს ახალ პროდუქტებსა თუ სერვისებს. შესაბამისად, მათ ახასიათებთ მოშვებული, თავისუფალი სტრუქტურა, სამუშაო ძალის ნაკლები დანაწილება, ნაკლები ფორმალობა და ცენტრალიზაცია. რადგან „მზვერავები“ განუწყვეტლივ ეძებენ ახალი პროდუქტებისა და ბაზრების შესაძლებლობებს, რისკიც მეტია იმისა, რომ ახალი იდეა ვერ იმუშავებს. მაგალითად, ინტერნეტ-მაღაზია Amazon-ის ბიბლიოთეკა თავიდან დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ უდიდესი წარმატება მოუტანა კომპანიას სხვა ასობით ინტერნეტ-მაღაზიისგან განსხვავებით, რომლებიც გაკოტრდნენ (ლინჩი, 2008).

„მაძიებლების“ მიდგომა მარტივია: ბაზარზე პიონერობით (First-mover advantage) უპირატესობის მოპოვება. ბაზარზე პროდუქტის პირველად შეტანა, წარმატების შემთხვევაში, დიდ კონკურენტულ უპირატესობას აძლევს კომპანიას, თუმცა ყოველთვის არსებობს იმიტირების საშიშროება და არსებობს შემთხვევები, როცა სხვების მაგალითზე წამოწყებული ბიზნესი უფრო მეტ წარმატებას აღწევს, ვიდრე მისი წინამორბედი (მათეუსი, 2002). ასევე წარუმატებლობის რისკიც არსებობს, რომლის მაგალითია კომპანია „ფილიპ მორისი“ და მისი უკამლო, რევოლუციური სიგარეტის ბრენდი „აკორდი“, რომელმაც სრული კრახი განიცადა ამერიკულ ბაზარზე.

„დამცველები“ წარმოადგენს „მზვერავების“ საპირისპირო მიდგომას. ისინი გარემოს უდგებიან, როგორც უცვლელსა და სტაბილურს და ცდილობენ, რომ თავიანთი წარმოება და სხვა ოპერაციები შესაბამისად სტაბილური გახადონ. მათთვის დამახასიათებლია დიდი რაოდენობის მუშახელი, მაღალი დონის ფორმალობა და ცენტრალიზაცია. ძირითადად

„დამცველები“ ბაზრის მხოლოდ ერთ სეგმენტზე არიან კონცენტრირებული. „მზვერავთა“ საპირისპიროდ ისინი თავს არიდებენ ბაზარზე ახალი პროდუქტის შეტანას და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად აქცენტს აკეთებენ სტაბილურობასა და ეფექტიანობაზე (ლინჩი, 2008).

„ანალიტიკოსების“ ძლიერი მხარები სხვა ბიზნესების საუკეთესო მიღვომების გაანალიზება და შესაბამისად გამოყენება. ისინი მკაცრად აკონტროლებენ არსებულ პროდუქტიას და მეტ თავისუფლებას აძლევენ ახალ ოპერაციებს. ასევე, „ანალიტიკოსების“ სიძლიერე ისაა, რომ ისინი „მზვერავების“ წარმატებულ სვლებს აანალიზებენ და შემდგომში იმიტირებენ. თუ „მზვერავების“ პრიორიტეტი ბაზარზე პიონერობაა, „ანალიტიკოსები“ მეორე ადგილს სჯერდებიან (ჰოუპი და ლემან-გრუბე, 2001).

„რეაქტორები“ დამოკიდებულები არიან მხოლოდ საკუთარ რეაქციაზე და მათი წარმატება ფასდება ამ რეაქციის სისწრაფის მიხედვით. ამ ტიპის ორგანიზაციებს რაიმე კონკრეტული ძლიერი მხარე არ გააჩნიათ (ლინჩი 2008).

ზოგიერთი ასპექტით, პორტერისა და მაილსი/სნოუს მოდელები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მაგალითად, ე.წ. „მზვერავების“ მიღვომა წააგავს პორტერის მიერ ახსნილ დიფერენციაციას, ხოლო „დამცველების“ სტრატეგია, პორტერის დანახარჯების მიხედვით, ლიდერობის მიღვომას მიესადაგება. თუმცა, არსებობს ძირეული განსხვავებებიც. კერძოდ, პორტერი თავის თეორიებს აფუძნებს ეკონომიკურ პრინციპებზე, ხოლო მაილსი/სნოუს მოდელი ეყრდნობა კომპანიის მიერ ბიზნეს გარემოს აღქმას (ლინჩი 2008).

ბეარდი და დესი (1981) ბიზნესის სტრატეგიას ხსნიან, როგორც ფირმის მახასიათებლების (შესაძლებლობების) ვარიაციას ინდუსტრიაში კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად. მათი თქმით, კომპანიას უნდა ჰქონდეს განსხვავებული მიღვომა ყველა იმ ინდუსტრიის მიმართ, რომელშიც მოღვაწეობს. პოფერი და შენდელი (1978) ამ თემაზე ლაკონურად აყალიბებენ თავიანთ აზრს: „ბიზნესის დონეზე, სტრატეგია კონცენტრირებულია იმაზე, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს კომპანია მოცემულ ინდუსტრიაში. ამგვარად, ფირმის გამორჩეული შესაძლებლობები და კონკურენტული

უპირატესობა არის ამ დონის სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი“ (პოფერი და შენდელი, 1978, გვ. 27).

ამრიგად, ბიზნესის დონეზე, სტრატეგია განისაზღვრება რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით. კომპანიის ზომა, რესურსების გადანაწილება და კონკურენტების შესწავლა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ფირმის წარმატებისთვის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერთა უმრავლესობა ბიზნესის სტრატეგიას უთმობს უფრო დიდ უურადღებას, ვიდრე კორპორაციულ და ფუნქციურ სტრატეგიებს. შესაბამისად, მომდევნო თავებში გაანალიზებულია ბიზნესის სტრატეგიაზე არსებული ემპირიული ნაშრომები.

## **2.2. სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა და მისი გაფლენა საწარმოების შედეგებზე**

ამ პარაგრაფის მიზანია სტრატეგიულ დაგეგმვასა და კომპანიის შედეგებს შორის არსებული ურთიერთკავშირის დადგენა ემპირიული ნაშრომების გაანალიზების მეშვეობით. აღნიშნული კვლევა მოიცავს 41 სხვადასხვა უურნალში გამოქვეყნებულ თეორიული თუ ემპირიული ნაშრომების მიმოხილვას. ემპირიულ შედეგებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა, რომლის შემოწმებაც მოხდება შეგროვებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე (თავი 3).

**ემპირიული ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.**  
სტრატეგიის ფორმულირების მოდელების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სტრატეგიის ფორმულირების პროცესის გასაზომად/განსასაზღვრად წინამდებარე კვლევაში გამოყენებულ იქნას რაციონალური არჩევანის მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით, სტრატეგია უნდა შეიქმნას ფორმალური სტრატეგიული დაგეგმვისა და დისერტაციის პირველ თავში განხილული ანალიტიკური ხერხების გამოყენებით. ფორმალური სტრატეგიული დაგეგმვა ნათლად განსაზღვრული და მიმდინარე პროცესია, რომლის შემადგენელ კლემენტებს წარმოადგენს: მიზნის განსაზღვრა, სტრატეგიის ფორმულირება და მისი შეფასება (ევალუაცია) (არმსტრონგი, 1982, სტეინერი, 1979; ბოიდი, 1991).

წარმოგიდგენთ ნაშრომთა სიას იმ ავტორებისას, რომელთა ემპირიული შედეგების ანალიზსაც ეყრდნობა წინამდებარე კვლევა (იხ. ცხრილი 11).

ქვემოთ ჩამოთვლილი ნაშრომებით მეცნიერებმა შეისწავლეს როგორც სამრეწველო, ასევე მომსახურების სფეროში მოღვაწე კომპანიები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი კვლევები ორივე სექტორს მოიცავდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კვლევების გარკვეულ რაოდენობაში არ იყო ინფორმაცია ინდუსტრიის სექტორის შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, სელისშემშლელი ფაქტორია შედეგების განზოგადებისთვის. წარმოგიდგენთ ინფორმაციას დარგისა და სექტორის მიხედვით ჩატარებულ კვლევებზე. მათ მოიცვეს: სამრეწველო სექტორში მოღვაწე 19 კომპანია, ორივეში ერთად დასაქმებული (სამრეწველო

და მომსახურების სფეროები) 7 კომპანია, ხოლო ინფორმაცია არ მოიპოვება 15 კომპანიის შესახებ.

აგრეთვე, დავძენთ, რომ სარმეწველო ინდუსტრიაში ჩატარებული 19 კვლევიდან მხოლოდ 5 ნაშრომი იკვლევდა ერთი რომელიმე კონკრეტული ინდუსტრიის სექტორს, ხოლო დანარჩენი 14 კვლევას ახორციელებდა სხვადასხვა ინდუსტრიაში.

**ნაშრომებში გამოყენებული შერჩევის მეთოდები და მოცულობა.** ზემოხსენებული კვლევების ოთხმა ნაშრომმა გამოიკვლია 50 შემთხვევაზე ნალები, 7-მა 51-დან 100-მდე შემთხვევა, 3-მა 101-დან 150-მდე შემთხვევა, 5-მა 151-დან 200-ს შემთხვევამდე, ხოლო, 200 შემთხვევაზე მეტი 22-მა ნაშრომმა გამოიკვლია. აღნიშნულიდან ცხადად ჩანს, რომ კვლევების თითქმის მეოთხედმა გამოიკვლია 100 შემთხვევაზე ნაკლები, რამაც, სავარაუდოდ, იმოქმედა შედეგების სიზუსტეზე.

რაც შეეხება შერჩევის მეთოდებს, იგი განხორციელდა ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა: გეოგრაფიული მდებარეობა, ასოციაციების წევრობა, კომერციულ მონაცემთა ბაზები და ინდექსები. აგრეთვე, ნაშრომთა უმრავლესობამ გამოიყენა ალბათური, მარტივი და სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდები. ყველა აღნიშნული ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენდა, შეემოწმებინა „სტრატეგიული დაგეგმვის გავლენა ორგანიზაციის შედეგებზე“.

**სტრატეგიული დაგეგმვის შესაფასებლად გამოყენებული საზომები.** ზემოაღნიშნული კვლევების დროს სტრატეგიული დაგეგმვის განსასაზღვრად ავტორებმა გამოიყენეს უამრავი საზომი მექანიზმი. ამ მეთოდების გამოკვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა ნაშრომში გამოყენებული მეთოდები მკვეთრად განსხვდება ერთამენთისგან. ბოიდმა და როინინგ-ელიოტმა (1998), რამდენიმე ნაშრომის გამოკვლევის შემდეგ შენიშნეს სტრატეგიული დაგეგმვის განსაზღვრის შეუთანხმებლობა და არათანმიმდევრულობა. მათ ასევე აღმოაჩინეს, რომ ნაშრომებში დაგეგმვა განისაზღვრებოდა სხვადასხვანაირად.

**ცხრილი 11.** ნაშრომთა ჩამონათვალი, რომელიც სწავლობს კავშირს სტრატეგიულ დაგეგმვასა და ორგანიზაციის შედეგებს შორის

ნაშრომი	შერჩევის ზომა	ავტორი
„დაგეგმვა არსებული ბაზრებისთვის: აღმასრულებელი დირექტორების შეხედულებები და ფინანსური შედეგები“	71	გრინიერი და ნორბერნი (1975)
„გრძელვადიანი დაგეგმვა და ორგანიზაციის შედეგები“	273	კარგერი და მალიკი (1975)
„ტვირთების გადაზიდვის ინდუსტრია - დაგეგმვის საწინააღმდეგო ქეისი“	886	კალმანი და შაპირო (1978)
„სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტი საბირჟო უკუგებაზე“	557	ქადლა (1980)
„სტრატეგია, სტრუქტურა, გარემო და ფინანსური შედეგები გაერთიანებული სამეფოს 48 კომპანიაში“	48	გრინიერი, იასაი-არდეკანი და ალ-ბაზაზი (1980)
„აღქმა დაგეგმვისას და დაგეგმვის შედეგები“	300	ლეონტიადესი და ტეზელი (1980)
„კორპორაციული-დონის სტრატეგია, ბიზნეს-დონის სტრატეგია და ფირმის შედეგები“	40	ბეარდი და დესი (1981)
„სტრატეგიული დაგეგმვა და რისკი“	557	ქადლა (1981)
„მნიშვნელოვანი გარემოებები პატარა კომპანიებისთვის დაგეგმვასთან დაკავშირებით“	67	რობინსონი და ლითლჯონი (1981)
„სტრატეგიული დაგეგმვის როლი მცირე ბიზნესში“	80	უნი (1981)
„დაგეგმვა და ფინანსური შედეგები: დისკრიმინაციული ანალიზი“	557	ქადლა და ქესტა (1982)
„დაგეგმვის მახასიათებლები პატარა ფირმებში“	200	ჯოუნესი (1982)
„აუტსაიდერების მნიშვნელობა პატარა ფირმების სტრატეგიულ დაგეგმვაში“	101	რობინსონ უმც. (1982)
„სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყოვლისმომცველობა: განშტოებები, დაკვირვებები და სამომავლო მიმართულებები“	38	ფრედრიკსონი (1984)
„სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესები: ყოვლისმომცველობა და შედეგები არასტაბილური გარემოს ქრონე ინდუსტრიაში“	27	ფრედრიკსონი და მიშელი (1984)
„პატარა ფირმებში დაგეგმვის, შედეგებისა და განვითარების საფეხურების ურთიერთობა“	51	რობინსონ უმც., პირსი II, ვოზიკისი და მესკონი (1984)
„სტრატეგიულმა დაგეგმვამ შესაძლოა გაზარდოს თქვენი აქციის ფასი“	380	უელჩი (1984)
„მცირე ბიზნესი: დაგეგმე და დაგიფასდება - გრძელვადიანი დაგეგმვა“	732	აპელსბერგი და არლოუ (1985)
„გრძელვადიანი დაგეგმვის ეფექტი და მცირე ბიზნესის შედეგები“	58	ორპენი (1985)

„სტრატეგიული დაგეგმვისა და ფინანსური შედეგების ურთიერთობა“	210	რაინი (1986)
„სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტიანობის მრავალმიზნიანი შეფასება - დისკრიმინაციული ანალიზი“	600	რამანუჯამი, ვენკატრამანი და კამილუსი (1986)
„დაგეგმვის სისტემის მახასიათებლები და დაგეგმვის ეფექტიანობა“	600	რამანუჯამი და ვენკატრამანი (1987ა)
„აშშ - სა და ავსტრალიის კორპორაციების სტრატეგიური შედარებითი ანალიზი“	155	კაპონი, ფარლი და ჰულბერგი (1987)
„დაგეგმვის ფორმალურობისა და სტრატეგიის გავლენა ფინანსურ შედეგებზე“	609	პირსი II, რობინსი და რობინსონ უმც. (1987)
„დაგეგმვა და შედეგები: ახალი ხედვა ძველ კითხვაზე“	600	რამანუჯამი და ვენკატრამანი (1987ბ)
„დაგეგმვის სისტემების განსხვავება მაღალი, საშუალო და დაბალი შედეგების მქონე კომპანიებში“	210	რაინი (1987)
„უპირატესობა, დაგეგმვა და შედეგები“	600	რამანუჯამი და ვენკატრამანი (1988)
„პატარა ფირმების დაგეგმვა და ფინანსური შედეგები მზარდ ინდუსტრიაში“	217	ბრაკერი, კიტსი და პირსონი (1988)
„ორგანიზაციული მახასიათებლები და პატარა ფირმების შედეგები“	578	კრეგი და კინგი (1988)
„დაგეგმვის ნიმუშები სტრატეგიული ქცევა და მათი ურთიერთობა ბიზნეს-დონის შედეგებთან“	609	რობინსონ უმც. და პირსი II (1988)
„სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვა, არასტაბილურობა და შედეგები პატარა ფირმებში“	115	შრედერი, მალფორდი და ბლექბერნი (1989)
„სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის განმსაზღვრელი ფაქტორები დიდ ორგანიზაციებში - გარემოებრივი მიღვომა“	200	კუპალისი (1991)
„სტრატეგიული დაგეგმვა და კონკურენტული უპირატესობა“	113	პაუელი (1992)
„ფორმალიზებული დაგეგმვა მცირე ბიზნესში“	188	ლაილსი, ბეირდი, ორისი და კურატკო (1993)
„სტრატეგიული დაგეგმვა, სკანირების ქმედებები და ფინანსური შედეგები პატარა ფირმებში“	51	ორპენი (1993)
„რაციონალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ფირმის შედეგები: გარემოს შემარბილებელი როლი“	159	გოლი და რაშიდი (1997)
„სტრატეგიული დაგეგმვა: ჯერ კიდევ მყარად წინ - გრძელვადიანი დაგეგმვა“	500	გლეისტერი და ფოლშოუ (1999)
„სტრატეგიული დაგეგმვა, ავტონომიური ქმედებები და კორპორაციული	456	ანდერსონი (2000)

„შედეგები - გრძელვადიანი დაგეგმვა“			
„დაგეგმვა და ფირმის შედეგები: მრავალჯერადი დაგეგმვის აქტივობების ეფექტი და ტექნოლოგიური პოლიტიკა“	597	შრედერი, ჩაკო, პერმანი და მალფორდი (2004)	
„სტრატეგიის, გარემოს არასტაბილურობის და შედეგების საზომების სათადარიგო მოდელი: გავლენა ორგანიზაციის შედეგებზე“	100	პოქი (2004)	
„შედეგების მამოძრავებლები მცირე და საშუალო ზომის ფირმებში - ემპირიული კვლევა“	1000	ორგანი და გობადიანი (2004)	

**წყარო:** ნანდაკუმარი, გობადიანი და ორგანი, (2011) მიხედვით

მათ მიერ დადგენილი განზომილებებია: ფორმალურობა, სიზუსტე, ეფექტიანობა, ამომწურავობა, ზომა, სისრულე, მნიშვნელობა, რაციონალობა, ანალიზი, მიზნების ჩამოყალიბება, დაკვირვება და გაანალიზება, პროცესები, ფაქტორები, სისტემები, სიცხადვა, ინოვაციურობა, მახასიათებლები, შესაძლებლობები და სტრატეგია. ამ ნაშრომების უმრავლესობამ სტრატეგიული დაგეგმვა დაახასიათა მისი ფორმალურობისა და ინდიკატორების მნიშვნელოვნების მიხედვით (პირსი, ფრიმენი და რობინსონი, 1987), სხვა ნაშრომებში კი ცოდნასა და შესაძლებლობებს ენიჭება სხვა ასპექტებსა და ელემენტებზე მეტი მნიშვნელობა (ვენკატრამანი და რამანუჯამი, 1987). ბოიდმა და როინინგ-ელიოტმა (1998) განსაზღვრეს სტრატეგიული დაგეგმვა, როგორც ნორმატიული პროცესი და დაადგინეს მისი მთავარი ინდიკატორები, როგორიცაა: მისის განაცხადი, ტენდენციის ანალიზი, კონკურენციის ანალიზი, გრძელვადიანი და წლიური მიზნები, სამოქმედო გეგმები და ლიკვიდურობა.

**ორგანიზაციის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული საზომები.** აღსანიშნავია, რომ ნაშრომების უმეტესობაში გამოყენებულია შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: ფინანსური თანაფარდობები, გაყიდვებისა და მოგების ზრდა. შედეგების გასაზომად ფინანსური კოეფიციენტებიდან ყველაზე დიდი პოპულარობით გამოირჩევა შემდეგი სამი: აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA), სააქციო კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE) და გაყიდვების უკუგების კოეფიციენტი (ROS). თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვან ფინანსურ კრიტერიუმად, ერთ-ერთმა ავტორმა, ქადლამ (1981) გამოიყენა რისკის შემცირება. ეს ძალიან საინტერესო ფაქტია, რადგან ქადლას (1981) კვლევებმა აჩვენა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში კომპანიები ახერხებდნენ რისკების შემცირებას. ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ სტრატეგიული დაგეგმვისა და კომპანიის შედეგების კავშირის დასადგენად ზემოთ განხილულ ნაშრომებში გამოყენებულია მხოლოდ რამდენიმე არაფინანსური მაჩვენებელი.

**მონაცემთა ანალიზის მეთოდები.** ნაშრომებში გამოყენებული ანალიზის მეთოდებს შორისაა: კორელაციის ანალიზი, რეგრესიის ანალიზი, T კრიტერიუმი, დისკერსიული ანალიზი და ხი კვადრატი.

**ნაშრომთა შედეგები.** სტრატეგიულ დაგეგმვასა და ორგანიზაციის შედეგებს შორის არსებულ კავშირზე განხორციელებული კვლევების შედეგები მოცემულია ცხრილში 12.

ემპირიული კვლევების ანალიზმა წარმოაჩინა სტრატეგიულ დაგეგმვასა და ორგანიზაციის შედეგებს შორის არსებულ კავშირზე შემდგომი კვლევების აუცილებლობა.

ზოგმა ნაშრომმა დაადგინა დადგებითი დამოკიდებულება ამ ორ ფენომენს შორის (ანდერსონი, 2000; კუკალისი, 1991; აკელსბერგი და არლოუ, 1985), ზოგმა კი საერთოდ ვერ აღმოაჩინა ვერანაირი კავშირი (ფრედრიკსონი და მიშელი, 1984; გრინიერი, იასაი-არდეკანი და ალ-ბაზაზი, 1980; ქადლა და ქესტა, 1982).

ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზა:

**კ1: რაციონალური, ამომწურავი სტრატეგიული დაგეგმვა საწარმოებს უკავებდება მოუწანს.**

ამრიგად, ემპირიული კვლევების სისტემურმა ანალიზმა აჩვენა მეტი კვლევების ჩატარების აუცილებლობა სტრატეგიულ დაგეგმვასა და კომპანიის შედეგებს შორის არსებულ კავშირზე. გაირკვა, რომ ემპირიულ კვლევებში არსებობს მცირე შეუსაბამობა სტრატეგიული დაგეგმვის განსაზღვრის (ოპერაციონალიზაციის) საკითხში. ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა, რომელიც შეამოწმებს კავშირს სტრატეგიულ დაგეგმვასა და ორგანიზაციის შედეგებს შორის.

**ცხრილი 12.** ახდენს თუ არა სტრატეგიული დაგეგმვა დადებით ზეგავლენას ორგანიზაციის შედეგებზე? - ნაშრომთა შედეგები

ნაშრომი	ავტორი	ზეგავლენის ხარისხი
„დაგეგმვა არსებული ბაზრებისთვის: აღმასრულებელი დირექტორების შეხედულებები და ფინანსური შედეგები“	გრინიერი და ნორბერნი (1975)	არანაირი ზეგავლენა
„გრძელვადიანი დაგეგმვა და ორგანიზაციის შედეგები“	კარგერი და მალიკი (1975)	დადებითი ზეგავლენა
„ტვირთების გადაზიდვის ინდუსტრია - დაგეგმვის საწინააღმდეგო ქეისი“	კალმანი და შაპირო (1978)	არანაირი ზეგავლენა
„სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტი საბირჟო უკუგებაზე“	ქადლა (1980)	შემოსავლების კუთხით არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება, თუმცა, სტრატეგიული დაგეგმვა საგრძნობლად ამცირებს რისკებს.
„სტრატეგია, სტრუქტურა, გარემო და ფინანსური შედეგები გაერთიანებული სამეფოს 48 კომპანიაში“	გრინიერი, იასაი-არდეკანი და ალ-ბაზაზი (1980)	არანაირი ზეგავლენა
„აღქმა დაგეგმვისას და დაგეგმვის შედეგები“	ლეონტიადესი და ტეზელი (1980)	არანაირი ზეგავლენა
„კორპორაციული სტრატეგია, ბიზნეს-დონის სტრატეგია და ფირმის შედეგები“	ბეარდი და დესი (1980)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული დაგეგმვა და რისკი“	ქადლა (1981)	დადებითი ზეგავლენა
„მნიშვნელოვანი გარემოებები პატარა კომპანიებისთვის დაგეგმვასთან დაკავშირებით“	რობინსონი და ლითლჯონი (1981)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული დაგეგმვის როლი მცირე ბიზნესში“	უნი (1981)	ნაწილობრივი მხარდაჭერა
„დაგეგმვა და ფინანსური შედეგები: დისკრიმინაციული ანალიზი“	ქადლა და ქესტა (1982)	არანაირი ზეგავლენა
„მცირე საწარმოებში დაგეგმვის მახასიათებლები“	ჯოუნსი (1982)	დადებითი ზეგავლენა
„აუტსაიდერების მნიშვნელობა მცირე საწარმოებში სტრატეგიულ დაგეგმვაში“	რობინსონ უმც. (1982)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესის	ფრედრიკსონი (1984)	დადებითი ზეგავლენა

„კოვლისმომცველობა: განშტოებები, დაკვირვებები და სამომავლო მიმართულებები“		
„სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესები: კოვლისმომცველობა და შედეგები არასტაბილური გარემოს მქონე დარგში“	ფრედრიქსონი და მიშელი (1984)	არანაირი ზეგავლენა
„პატარა ფირმებში დაგეგმვის, შედეგებისა და განვითარების საფეხურის ურთიერთობა“	რობინსონ უმც., პირსი II, ვოზიკისი და მესკონი (1984)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიულმა დაგეგმვამ შესაძლოა გაზარდოს თქვენი აქციის ფასი“	უელში (1984)	დადებითი ზეგავლენა
„მცირე ბიზნესი: დაგეგმე და დაგიფასდება- გრძელვადიანი დაგეგმვა“	აკელსბერგი და არლოუ (1985)	დადებითი ზეგავლენა
„გრძელვადიანი დაგეგმვის ეფექტი და მცირე ბიზნესის შედეგები“	ორპენი (1985)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული დაგეგმვისა და ფინანსური შედეგების ურთიერთობა“	რაინი (1986)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტიანობის „მრავალმიზნიანი შეფასება - დისკრიმინაციული ანალიზი“	რამანუჯამი, ვენკატრამანი და კამილუსი (1986)	დადებითი ზეგავლენა
„დაგეგმვის სისტემის მახასიათებლები და დაგეგმვის ეფექტიანობა“	რამანუჯამი და ვენკატრამანი (1987ა)	დადებითი ზეგავლენა
„აშშ - სა და ავსტრალიის კორპორაციების სტრატეგიებისა და სტრუქტურების შედარებითი ანალიზი“	კაპონი, ფარლი და ჰულბერტი (1987)	ნაწილობრივი მხარდაჭერა
„დაგეგმვის ფორმალურობისა და სტრატეგიის გავლენა ფინანსურ შედეგებზე“	პირსი II, რობინსი და რობინსონ უმც. (1987)	დადებითი ზეგავლენა
„დაგეგმვა და შედეგები: ახალი ხედვა ძველ კითხვაზე“	რამანუჯამი და ვენკატრამანი (1987ბ)	დადებითი ზეგავლენა
„დაგეგმვის სისტემების განსხვავება მაღალი, საშუალო და დაბალი შედეგების მქონე კომპანიებში“	რაინი (1987)	დადებითი ზეგავლენა
„უპირატესობა, დაგეგმვა და შედეგები“	რამანუჯამი და ვენკატრამანი (1988)	დადებითი ზეგავლენა

„მცირე საწარმოებში დაგეგმვა და ფინანსური შედეგები მზარდ ინდუსტრიაში“	ბრაკერი, კიტსი და პირსონი (1988)	დადებითი ზეგავლენა
„ორგანიზაციული მახასიათებლები და პატარა ფირმების შედეგები“	კრები და კინგი (1988)	არანაირი ზეგავლენა
„დაგეგმვის ნიმუშები სტრატეგიული ქცევა და მათი ურთიერთობა ბიზნეს-დონის შედეგებთან“	რობინსონ უმც. და პირსი II (1988)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვა, არასტაბილურობა და შედეგები პატარა ფირმებში“	შრედერი, მალფორდი და ბლექბერნი (1989)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის განმსაზღვრელი ფაქტორები დიდ ორგანიზაციებში - გარემოებრივი მიდგომა“	კუკალისი (1991)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული დაგეგმვა და კონკურენტული უპირატესობა“	პაუელი (1992)	დამოკიდებულია ინდუსტრიაზე
„ფორმალიზებული დაგეგმვა მცირე ბიზნესში“	ლაილსი, ბეირდი, ორისი და კურატკო (1993)	ნაწილობრივი მხარდაჭერა
„სტრატეგიული დაგეგმვა, სკანირების ქმედებები და ფინანსური შედეგები პატარა ფირმებში“	ორპენი (1993)	დადებითი ზეგავლენა
„რაციონალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ფირმის შედეგები: გარემოს შემარბილებელი როლი“	გოლი და რაშიდი (1997)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიული დაგეგმვა: ჯერ კიდევ მყარად წინ - გრძელვადიანი დაგეგმვა“	გლეისტერი და ფოლშოუ (1999)	ნაწილობრივი მხარდაჭერა
„სტრატეგიული დაგეგმვა, ავტონომიური ქმედებები და კორპორაციული შედეგები - გრძელვადიანი დაგეგმვა“	ანდერსონი (2000)	დადებითი ზეგავლენა
„დაგეგმვა და ფირმის შედეგები: მრავალჯერადი დაგეგმვის აქტივობების ეფექტი და ტექნოლოგიური პოლიტიკა“	შრედერი, ჩაკო, ჰერმანი და მალფორდი (2004)	დადებითი ზეგავლენა
„სტრატეგიის, გარემოს არასტაბილურობისა და შედეგების საზომების სათადარიგო მოდელი: გავლენა ორგანიზაციის შედეგებზე“	ჰოქი (2004)	ნაწილობრივი მხარდაჭერა

„შედეგების მამოძრავებლები მცირე და საშუალო ზომის ფირმებში - ემპირიული კვლევა“	ორეგანი და გობადიანი (2004)	დადებითი ზეგავლენა
--	--------------------------------	--------------------

**წყარო:** ნანდაკუმარი, გობადიანი და ორეგანი, (2011) მიხედვით

## **2.3. ბიზნესის სტრატეგია და საწარმოების შედეგები**

ამ პარაგრაფის მიზანია ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირების განხორციელების პროცესებზე ემპირიული ლიტერატურის შესწავლა, რათა ჩამოყალიბდეს პიპოთუზები, რომლებიც შეამოწმებენ მათ ურთიერთკავშირს საწარმოს შედეგებთან მიმართებაში.

**ბიზნესის სტრატეგიის ტიპოლოგიები და ტაქსონომიები.** მას შემდეგ რაც განვიხილეთ ბიზნეს სტრატეგიის არსი (იხ. თავი 2.1), უკვე შეგვიძლია ვიზუალო მის დაჯგუფებაზე ტიპოლოგიებად და ტაქსონომიებად. ტიპოლოგიები შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ბიზნეს ორგანიზაციების სტრატეგიული ქცევის“ შინაგანი თვისებრივი დახასიათება, სადაც სტრატეგიის სახეობები ნაწილდება ვიწრო კლასიფიკაციური განზომილებების ან კონცეპტუალური კრიტერიუმების მიხედვით (გენკატრამანი, 1989, გვ. 943). სტრატეგიული მართვის ლიტერატურაში რამდენიმე სახის ტიპოლოგიაა განმარტებული (მაილსი და სნოუ, 1978; აბელი, 1980; პორტერი, 1980; მაილსი, 1982). ტაქსონომიები კი არის კვლევევის შედეგად მიღებული სტრატეგიების სახეები, რომლებიც ეფუძნება კომპანიის სტრატეგიული ქცევის რამდენიმე მაჩვენებელს და წარმოადგენს მათ თანმიმდევრულ კონფიგურაციებს. ტაქსონომიებიდან ყველაზე ცნობილია მილერისა და ფრიზენის (1978) და გალბრაითისა და შენდელის (1983) თეორიები. ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ბიზნესის სტრატეგიის ტიპოლოგიებს, ვინაიდან ისინი ამარტივებენ ინფორმაციის გაგებასა და დალაგებას.

წარმოგიდგენთ ბიზნესის სტრატეგიის ტიპოლოგიებსა და ტაქსონომიებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს სტრატეგიის ტიპოლოგიებისა და ტაქსონომიების ძირითად ვერსიათა ჩამონათვალი. წამყვან აკადემიურ ჟურნალებში გამოქვეყნებულია უამრავი ნაშრომი ბიზნეს სტრატეგიაზე. ამ ნაშრომების უმეტესობა ბიზნეს სტრატეგიების განსასაზღვრად (ოპერაციონალიზაცია) იყენებს მაილსისა და სნოუს (1978), ან პორტერის (1980) ტიპოლოგიებს.

**ცხრილი 13. ბიზნესის სტრატეგიის ტიპოლოგიები და ტაქსონომიები**

ავტორ(ები)	ტიპოლოგიები/ტაქსონომიები	მახასიათებლები
ბაზელი, გეილი და სულთანი (1975)	I შენება II შენარჩუნება III მოსავლის აღება	ბაზრის წილის გაუმჯობესება ახალი პროდუქტის წარდგენით და მარკეტინგული ძალისხმევის გაძლიერებით; არსებული ბაზრის წილის შენარჩუნება; მაღალი, მოკლევადიანი შემოსავლებისა და ლიკვიდურობის მიღწევა ბაზრის წილის დაკლების ხარჯზე.
ატერბექი და აბერნათი (1975)	I შედეგების მაქსიმიზაცია II გაყიდვების მაქსიმიზაცია III ხარჯების მინიმიზაცია	აქცენტი კეთდება პროდუქტის ან სერვისის ხარისხზე; ტექნოლოგიებს და კვლევა/განვითარებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა; აქცენტი კეთდება ბაზარზე გაყიდვებისა და ბაზრის წილის ზრდაზე; აქცენტი კეთდება წარმოების პროცესის ტექნოლოგიებსა და კვლევა/განვითარებაზე გაწეული ხარჯების შემცირებაზე.
ჰოფერი და შენდელი (1978)	I წილის ზრდა II გაფართოება III მოგება IV ბაზარზე კონცენტრაცია და აქტივების შემცირება V დიდი ცვლილება VI ლიკვიდაცია	მასშტაბური ინვესტიციების განხორციელება ბაზარზე წილის მოხაპოვებლად; ბაზარზე მზარდი პოზიციის შენარჩუნება, ინვესტირება დარგის სტანდარტებში; ინვესტირება დარგის სტანდარტებში, ხარჯების კონტროლი ლიკვიდურობის მისაღწევად; რესურსების გადაწყობა შედარებით პატარა, კონცენტრირებულ სეგმენტებზე; სტრატეგიული მიდგომის შეცვლა, რასაც შეიძლება დასჭირდეს ინვესტიცია; ფულის ამოღება და ბაზრის დატოვება.
გაილსი და სნოუ (1978)	I დამცველები II ანალიტიკოსები III მზევერავები IV რეაქტორები	ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ შედარებით ნაკლებ პროდუქტს/ბაზრის წილს; ორგანიზაციები, რომლებიც მოღვაწეობენ ორი ტიპის ბაზრზე. ერთი შედარებით სტაბილური, ხოლო მეორე - ცვალებადი; ორგანიზაციები, რომლებიც მუდმივად აკვირდებიან და ეძებენ ხელსაყრელ სიტუაციებს და ცდილობენ ბაზრის ახალი გამოწვევების/ტრენდების აყოლას; ორგანიზაციები, რომლებმიც მენეჯერები აღიქვამენ ცვლილებებსა და მოულოდნელობებს, მაგრამ ვერ ახერხებენ ეფექტიან რეაგირებას.
ვესპერი (1979)	I გამრავლება II მონოპოლიზაცია	ბაზრის წილის ზრდა, არსებული საბაზრო სტრუქტურის გამრავლების მეშვეობით;

	<b>III დახელოვნება</b> <b>IV ლიკვიდაცია</b>	კონკურენციის გაქრობა, ბაზარზე შესვლის ბარიერების შექმნა და რესურსების კონტროლი; პროდუქტი და/ან წარმოების პროცესში დახელოვნება; საქმიანობის შეწყვეტა და საბაზრო პოზიციის დათმობა.
აბელი (1980)	<b>I შეთავაზებების მასშტაბი;</b> <b>II დიფერენციაციის მოცულობა ნაწარმის-ბაზრის სეგმენტებზე;</b> <b>III კონკურენტული დიფერენციაციის ხარისხი;</b>	საქმიანობის მასშტაბი იმის მიხედვით, თუ ვის (მომხმარებლებს) ემსახურება, რა მოთხოვნილებებს უგმაყოფილებს მომხმარებელს ან რა ტექნოლოგიებს იყენებს კომპანია; რამდენად განსხვავებულ ნაწარმს ან სერვისს სთავაზობს კომპანია სხვადასხვა სეგმენტს, როგორებიცაა: მომხმარებლების ჯგუფები, მომხმარებლების ფუნქციები ან ტექნოლოგიები; რამდენად განსხვავებულია კომპანია კონკურენტებისაგან
ვისემა, ვან დერ პოლი და მესერი (1980)	<b>I აფეთქება;</b> <b>II გაფართოება;</b> <b>III უწყვეტი ზრდა;</b> <b>IV თავის დაღწევა;</b> <b>V გამყარება;</b> <b>VI შეცუმშვა.</b>	მოკლევადიანი კონკურენტული უპირატესობის გაუმჯობესება; გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობის გაუმჯობესება; მდგომარეობის შენარჩუნება მზარდ ბაზარზე, ჩვეულებრივი ინვესტიცია; ბაზრის წილის დათმობა მზარდ ბაზარზე ფულის გასანაღდებლად; ბაზრის წილის დათმობა სტაბილურ ბაზარზე ფულის გასანაღდებლად; აქტივების ლიკვიდაცია და ბაზრის მიტოვება.
პორტერი (1980)	<b>I დანახარჯების მიხედვით ლიდერობა;</b> <b>II დიფერენცირება;</b> <b>III ფოკუსირება.</b>	ნაყოფიერება, გამოცდილების გრაფიკის შემუშავება, კონტროლი და სხვა ხარჯების შესამცირებლად მიმართული ქმედებები; განსაკუთრებული პროდუქტის ან სერვისის შექმნა; კონცენტრირება კონკრეტულ ბაზარზე ან მომხმარებელთა ჯგუფზე.
მაილსი (1982)	<b>I დარგის (ადგილის) დაცვა;</b> <b>II შეტევა დარგში.</b>	ტრადიციული პროდუქტის/ბაზრის შენარჩუნება: (ა) მნიშვნელოვანი ინფორმაციის აკუმულირებისა და კონტროლის, (ბ) ინსტიტუციონალურ გარემოში არსებული მნიშვნელოვანი ელემენტების ლობირებისა და კოოპერირების (თანამშრომლობის) მეშვეობით; ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესება ტრადიციულ პროდუქტზე/ბაზარზე (ა) ნაწარმის განახლების და (ბ) ბაზრის სეგნეტიციის მეშვეობით.
გალბრაითი და შენდელი (1983)	<b>სტრატეგიის ტიპები</b> <b>სამომხმარებლო საქონლისთვის:</b> <b>I მოსავლის აღება;</b> <b>II მშენებელი;</b>	კაპიტალდაბანდების შემცირების სტრატეგია. კომპანიები, რომლებიც იყენებენ სტრატეგიის ამ ტიპს, აშკარად ცდილობენ ბიზნესიდან ფულის მაქსიმალურად სწრაფად ამოღებას; იმ კომპანიების სტრატეგია, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავენ თავის

	<b>III</b> ნაღების მოხდა (Cashout); <b>IV</b> ნიში ანუ სპეციალიზაცია; <b>V</b> მთამსვლელი; <b>VI</b> უწყვეტობა.	საქონელზე, რეკლამაზე, კვლევასა და განვითარებაზე. მშენებელის სტრატეგიებს იყენებენ კომპანიები, რომლებიც ცდილობენ გაყიდვების სწრაფ ზრდას ან/და ბაზრის წილის მოპოვებას; კომპანიები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ამ სახეობის სტრატეგიას, იყენებენ სარეკლამო და წამახალისებელ ხერხებს საქონლის აღქმული ფასეულობის გასაბერად, რათა ხელოვნურად გაზარდონ ფასები, გაყიდვები და, შესაბამისად, მოგება. დაცემის ფაზაში მყოფ ბაზარზე მოქმედი კომპანიები ამ მიდგომას იყენებენ საქონლის/პროდუქტის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად; კომპანიები მიჰყვებიან აპრობირებულ, სპეციფიკურ სტრატეგიას, რომელიც კონცენტრირებულია პროდუქტისა და სერვისის მაღალ ხარისხზე. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კვლევასა და განვითარებას და ახალი ნაწარმის წარდგენას ბაზარზე; კომპანიები აწარმოებენ მცირე რაოდენობის ნაწარმს, დაბალი ფასებითა და ხარისხით; შესაბამება განგრძობადობას ან „სტატუს ქვო“ სტრატეგიებს.
გალბრაითი და შენდელი (1983)	<b>სტრატეგიის ტიპები ინდუსტრიული დანიშნულების საქონლისთვის:</b>  <b>I</b> მცირე ვალდებულება; <b>II</b> ზრდა; <b>III</b> შენარჩუნება; <b>IV</b> ნიში ან სპეციალიზაცია.	ეს არის მცირე ვალდებულების სტრატეგია, რადგან იგი არ ითვალისწინებს გრძელვადიან გეგმებსა და მიზნებს. სტრატეგიის ეს ტიპი წააგავს სამომხმარებლო საქონლის „მოსავლის აღების“ სტრატეგიას; წინა სახეობის საპირისპირო სტრატეგია. ზრდის სტრატეგია არის იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ანხორციელებენ დიდ ინვესტიციებს და ბაზრის პოზიციის მუდმივი გაფართოებისკენ ისწრაფვიან; ეს არის განგრძობითობისა და დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიების მახასიათებლებისაგან შემდგარი პიბრიდი; სპეციალიზაცია, სამომხმარებლო საქონლის ამავე სახელწოდების მქონე სტრატეგიის მსგავსი სახეობა. მაღალი ხარისხისა და ფასების პოლიტიკა, ვიწრო სავაჭრო ხაზი და რეკლამის სიმცირე არის ამ ტიპის სტრატეგიების დამახასიათებელი.
პერბერტი და დერესკი (1987)	<b>I</b> განვითარება; <b>II</b> სტაბილიზება; <b>III</b> დიდი ცვლილება (turnaround); <b>IV</b> მოსავლის აღება.	სტრატეგია, რომლის მიზანია კომპანიის ზრდა ახალი პროდუქტისა და ბაზარზე არსებული ხელსაყრელი სიტუაციიების ქებნისა და გამოყენების მეშვეობით; სტრატეგია, რომლის მიზანია აქტივების ეფექტურად გამოყენებისა და ბაზრის სეგმენტაციის მეშვეობით კონკურენტული უპირატესობის მოპოვება. სტრატეგია, რომლის მიზანია ბიზნეს შემოსავლების კლების შეჩერება და

		<p>მაქსიმალურად ცოტა დროში შემობრუნება;</p> <p>სტრატეგია, რომლის მიზანია ინვესტიციების შემცირება, მაგრამ მოღვაწეობის გაგრძელება მცირე მოგების მარჯით, ლიკვიდურობის ან აქტივების უპუბების კოეფიციენტის ზრდისა და მომხმარებლების მოზიდვის მიზნით.</p>
დუგლასი და რიი (1989)	<p>I ვრცელხაზოვანი;</p> <p>II ინოვაციური</p> <p>III ინტეგრირებული მარკეტერი</p> <p>IV დაბალი ხარისხი</p> <p>V ნიში</p> <p>VI სინერგია</p>	<p>ფოკუსირება ხდება საქონლის მაღალ ხარისხისა და ბაზრის ფართო ხედვაზე. ასეთი ტიპის ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელია დიდი ბაზრის დიდი წილი და მაღალი ინვესტიციების უპუბების კოეფიციენტი (ROI);</p> <p>ასეთი ტიპის კომპანიებს გააჩნიათ ახალი პროდუქტების დიდი ნაირსახოვება და მარკეტინგული ძალისხმევაზე მეტად ყურადღებას აქცევენ ინოვაციას;</p> <p>სტრატეგიის ეს ტიპი წააგავს ვრცელხაზოვან სტრატეგიას ბაზრის ფართო ხედვით და ნაწარმის შედარებით მაღალი ხარისხით. მათ ასევე ახასიათებთ დიდი კონცენტრაცია მომხმარებლებზე და აქვთ ვერტიკალური ინტეგრაციის მაღალი ხარისხი;</p> <p>სტრატეგიების მეოთხე ტიპი ხასიათდება საქონლის დაბალი ხარისხით, ბაზრის ვიწრო ხედვითა და მცირე წილით;</p> <p>ნიშის სტრატეგია ფოკუსირებულია მომხმარებელთა პატარა და კონცენტრირებულ ჯგუფზე. ასეთ კომპანიებს ახასიათებს საქონლის მაღალი ხარისხი და სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს მაღალბიუჯეტიანი სეგმენტი;</p> <p>გააჩნია შედარებით ვიწრო ბაზრის ხედვა, მაგრამ ნაწარმის ხარისხი და ახალი ნაწარმის პროცენტულობა არის საშუალოზე დაბალი.</p>

წყარო: გალბრაითი და შენდელი (1983)

ეს ადასტურებს ამ მეთოდების ვარგისიანობას ბიზნეს სტრატეგიების შესაფასებლად. დესი და სხვ. (1995, გვ. 375) ხაზს უსვამენ პორტფერისეული სტრატეგიის ტიპოლოგიას და ამბობენ, რომ მან „განიცადა ყველაზე დიდი თეორიული წინსვლა (განახლება) და ემპირიული ანალიზი“. აგრეთვე, კონანტი, მოკუა და ვარადარაჯანი (1990, გვ. 365) ემსრობიან მაილსისა და სნოუს (1978) სტრატეგიის ტიპოლოგიურ ხედვას და აცხადებენ, რომ „...გამოიწვია დიდი ინტერესი, კვლევა და მხარდაჭერა“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ნაშრომში, ბიზნესის ერთეულის სტრატეგიის განსასაზღვრად (ოპერაციონალიზაციისთვის), სწორედ, პორტფერის (1980) და მაილსისა და სნოუს (1978) სტრუქტურები იქნება გამოყენებული.

**ემპირიული ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.** ბიზნესის სტრატეგიის განსაზღვრისთვის, მასსა და სხვა სტრატეგიულ ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად გავაანალიზეთ მოწინავე აკადემიურ უზრნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები. ამასთან, შევარჩიეთ მხოლოდ ის ნაშრომები, რომლებიც ბიზნესის სტრატეგიის განსასაზღვრად/გასასაზომად (ოპერაციონალიზაციისთვის) იყენებენ ან მაილსისა და სნოუს, ან პორტფერის ტიპოლოგიებს. შედეგად მოძიებულ იქნა უამრავი ნაშრომი, რომელთაგან შემდგომი შესწავლისთვის შეირჩა შეირჩა 20. ამ 20-დან 12-ში ოპერაციონალიზაცია ეყრდნობა პორტფერის ტიპოლოგიას, ხოლო დანარჩენ 8-ში კი - მაილსისა და სნოუს. წარმოგიდგენთ ჩამონათვალს იმ ავტორებისა და ნაშრომებისა, რომლებიც წინამდებარე დისერტაციაში გაანალიზდა (იხ. ცხრილი 14).

ნაშრომთა უმეტესობის მიზანს წარმოადგენდა ბიზნეს ერთეულის სტრატეგიასა და ორგანიზაციულ შედეგებს შორის არსებული კავშირის დადგენა. განხილული 20 ნაშრომიდან უმეტესობა იკვლევს მხოლოდ სამრეწველო (11 ორგანიზაცია), თუმცა, რამდენიმე ნაშრომში ორივე (მომსახურების სექტორი) სექტორი (6 ორგანიზაცია) არის გათვალისწინებული (ხოლო დანარჩენ 3 ნაშრომში არ არის მითითებული ორგანიზაციათა სახეობა). სამრეწველო ორგანიზაციებზე მოყვანილი 11 ნაშრომიდან 8 იყენებს პორტფერის ტიპოლოგიას ბიზნესის სტრატეგიის განსასაზღვრად (ოპერაციონალიზაციისთვის).

**ცხრილი 14.** ნაშრომები სია მაილსისა და სწოუს და პორტერის ტიპოლოგიების მიხედვით

ავტორები	ნაშრომი
დესი და დეივისი (1984)	„პორტერის (1980) გვაროვნული სტრატეგიები, როგორც სტრატეგიული ჯგუფის წევრობა და ორგანიზაციული შედეგების დეტერმინანტები“
კარნანი (1984)	„გვაროვნული კონკურენტული სტრატეგიები - ანალიტიკური მიდგომა“
უაითი (1986)	„გვაროვნული ბიზნეს-სტრატეგიები, ორგანიზაციული კონტექსტი და შედეგები: ემპირიული კვლევა“
რაითი, კროლი, ტუ და ჰელმისი (1991)	„გვაროვნული სტრატეგიები და ბიზნესის შედეგები: სახრახნი დანადგარების ინდუსტრიის ემპირიული კვლევა“
პარკერი და ჰელმისი (1992)	„გვაროვნული სტრატეგიები და ფირმის შედეგები დაღმასვლის მქონე ინდუსტრიაში“
მილერი და დესი (1993)	„პორტერის (1980) მოდელის შეფასება განზოგადებულების სიზუსტისა და სიმარტივის კუთხით“
კრონშოუ, დეივისი და კეი (1994)	„იყო შუაში გაჭედილი, თუ კარგი საკვები უფრო იაფია საინსბურიში“
მარლინი, ლემონტი და ჰოფმანი (1994)	„სიტუაციის, სტრატეგიის და შედეგების არჩევანი: მეორედ გადახედვა“
ჰუანგი (2001)	„ბიზნესისა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების კავშირის ეფექტი“
კუმარი, სუბრამანიანი და სტრანდჰოლმი (2002)	„ბაზრის ორიენტაცია და შედეგები: აქვს თუ არა მნიშვნელობა ორგანიზაციული სტრატეგიის ქონას?“
კოო, კოპო და ნამი (2004)	„პორტერის კონკურენტული სტრატეგიების კვლევა ვირტუალურ ბაზრებზე: ორი ონლაინ ბიზნეს

	მოდელის „შედარება“
გე და დინგი (2005)	„ბაზრის ორიენტაცია, კონკურენტული სტრატეგია და ფირმის შედეგები: ჩინური ფირმების ემპირიული კვლევა“
კონანტი, მოკუა და ვარადარაჯანი (1990)	„სტრატეგიული ტიპები, გამორჩეული მარკეტინგული კომპეტენციები და ორგანიზაციული შედეგები: მრავალ საზომზე დაფუძნებული კვლევა“
პარნელი და რაიო (1993)	„გვაროვნული სტრატეგიები და შედეგები: მაილსისა და სნოუს ტიპოლოგიის ემპირიული შემოწმება“
ჯეიმსი და ჰატენი (1994)	„მაილსისა და სნოუს სტრატეგიული პროტოტიპების შედეგების ეფექტის შეფასება საბანკო სექტორში 1983-დან 1987-მდე“
რამასვამი, ტომასი და ლიტერტი (1994)	„ორგანიზაციული შედეგები რეგულირებად გარემოში: სტრატეგიული ორიენტაციის როლი“
პარნელი (1997)	„ახალი სამხილი გვაროვნული სტრატეგიებისა და ბიზნესის შედეგების დებატებში: კვლევის შენიშვნა“
ჰოქი (2004)	„სტრატეგიის, გარემოს არასტაბილურობისა და შედეგების საზომების სათადარიგო მოდელი: გავლენა ორგანიზაციის შედეგებზე“
მური (2005)	„საცალო გაჭრობის ტიპების მტკიცებადი მოდელისკენ: მაილსისა და სნოუს ემპირიული ტესტი“
ენდრიუსი, ბოინი და უოლკერი (2006)	„სტრატეგიის კონტენტი და ორგანიზაციული შედეგები: ემპირიული ანალიზი“

თითქმის ყველა ნაშრომში გამოყენებულია საფოსტო გამოკითხვის მეთოდი მონაცემთა შეგროვების მიზნით. ამათგან, ორში მკვლევარებმა დამატებით გამოიყენეს ინტერვიუებიც. ნაშრომთა უმეტესობაში რესპონდენტი იყო აღმასრულებელი დირექტორი ან უფროსი მენეჯერი.

ნაშრომთა უმეტესობაში დამოკიდებულ ცვლადად მიჩნეულია კომპანიის შედეგები. დამოკიდებულების ბუნება დამოუკიდებელ (მაგ. სტრატეგიის სახეობები) და დამოკიდებულ ცვლადებს შორის შემოწმდა ისეთი ანალიტიკური მეთოდების მეშვეობით, როგორებიცაა რეგრესიის ანალიზი, დისპერსიული ანალიზი და ა.შ.

ნაშრომთა განხილვის შედეგად აღმოჩენილ სტრატეგიულ სახეობებსა და ორგანიზაციის შედეგებს შორის არსებული მნიშვნელოვანი კავშირები მოცემულია ცხრილში 15. ის მოიცავს ლიტერატურის სისტემური ანალიზისას შესწავლილ ნაშრომებსა და ზოგიერთ სხვა პუბლიკაციას, რომლებიც განიხილავს ბიზნესის სტრატეგიისა და კომპანიის შედეგების ურთიერთკავშირს.

ცხრილში 15 მოცემული ოცი ნაშრომის შედეგები ცხადყოფს, რომ სტრატეგიის ზოგ სახეობას სხვაზე მეტი პოზიტიური გავლენა აქვს კომპანიის შედეგებზე და, შესაბამისად, შესაძლებელია კომპანიების შედეგების არაერთგვაროვნების ახსნა სტრატეგიის ტიპოლოგიების გამოყენებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა არის ის, რომ კ.წ. „შუაში გახილულ“ და „რეაქტორ“ (მაილსი და სნოუ, 1978) კომპანიებს აქვთ ბევრად უარესი შედეგები, ვიდრე სხვა სახეობის სტრატეგიის მიმდევარ ორგანიზაციებს.

**პიპოთეზების ჩამოყალიბება.** ლიტერატურის ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ისაა, რომ სტრატეგიის ტიპოლოგია არის ეფექტიანი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ორგანიზაციული შედეგების არაერთგვაროვნების ახსნა. ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ცხადყოფს, რომ ბიზნესის სტრატეგიასა და საწარმოს შედეგების კავშირზე არსებული ნაშრომების შემოწმება ამ ორ ცვლადს შორის ურთიერთობის ბუნების განსასაზღვრად არ იძლევა საკმარის მტკიცებულებებს.

**ცხრილი 15. კვლევის შედეგები**

აგტორები	შედეგები
	<b>პორტერის ტიპოლოგია</b>
დესი და დეივისი (1984)	კომპანიები, რომლებიც ირჩევენ ერთ კონკრეტულ სტრატეგიას, აქვთ უკეთესი შედეგები, ვიდრე ბევრ სტრატეგიულ არჩევანს შორის „გახიდულ“ კომპანიებს.
კანანი (1984)	ორგანიზაციები, რომლებიც ირჩევენ დანახარჯების მიხედვით ლიდერობის ან დიფერენცირების სტრატეგიას, ზრდიან ბაზრის წილს და მოგებას.
უაითი (1986)	კომპანიები, რომლებიც ირჩევენ ხარჯებთან დაკავშირებულ სტრატეგიას, აჩვენებენ კარგ შედეგებს, როცა აქვთ ნაკლები ავტონომია, ხოლო დიფერენციაციის სტრატეგია უკეთ მუშაობს მაღალი ავტონომიის პირობებში.
რაითი, კროლი, ტუ და ჰელმსი (1991)	კომპანიებს, რომლებიც ირჩევენ დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიას, აქვთ უკეთესი შედეგები (თუ ისინი მართლაც მოიპოვებენ დანახარჯების მიხედვით ლიდერის პოზიციას), ვიდრე მათ კონკურენტებს ალტერნატიული სტრატეგიით. ანალოგიურად, კომპანიებს, რომლებიც ირჩევენ დიფერენციაციის სტრატეგიას, აქვთ უკეთესი შედეგები (თუ ისინი მართლაც დანერგავენ დიფერენციაციის უკეთეს მახასიათებლებს), ვიდრე მათ კონკურენტებს ალტერნატიული სტრატეგიით. კომპანიებს, რომლებიც აერთიანებენ დანახარჯების მიხედვით ლიდერობის და დიფერენციაციის სტრატეგიებს, ხშირად უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე სხვა კომპანიებს.
პარკერი და ჰელმსი (1992)	ტექსტილის წარმოების სექტორში მოდგაწე კომპანიებს, რომლებიც ანხორციელებენ შერეულ სტრატეგიებს, აქვთ თითქმის ისეთივე შედეგები, როგორებიც რომელიმე კონკრეტული

	სტრატეგიის განმახორციელებლებს.
მილერი და დესი (1993)	კომპანიების შედეგები მკვეთრად ვარირებს სტრატეგიათა სხვადასხვა ტიპის მიხედვით.
კრონშოუ, დეივისი და კეი (1994)	გაერთიანებულ სამეფოში მოღვაწე კომპანია „სეინსბერი“ იყენებს ორივე, დანახარჯების მიხედვით ლიდერობისა და დიფერენციაცირების სტრატეგიებს და აჩვენებს კარგ შედეგებს ინტეგრირებული სტრატეგიის მეშვეობით.
მარლინი, ლემონტი და ჰოფმანი (1994)	კომპანიების შედეგები მაქსიმალური და დიფერენცირებული არჩევნის სიტუაციაში უკეთესია, ვიდრე შედეგები მინიმალური და ინკრემენტალური არჩევნისას (თავი 1).
ჰუანგი (2001)	არ შეინიშნება მნიშვნელოვანი სხვაობა „გახიდული“ კომპანიებისა და ინოვაციისა და დანახარჯების მიხედვით ლიდერობის განმახორციელებელ კომპანიების შედეგებს შორის. ინოვაციის სტრატეგიის კომპანიებს აქვთ უკეთესი შედეგები, ვიდრე დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიაზე ორიენტირებულ კომპანიებს.
კუმარი, სუბრამანიანი და სტრანდჰოლმი (2002)	დიფერენციაციის სტრატეგიის გამტარებელი კომპანიები უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი ბაზარზე, ვიდრე დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრეტეგიის გამტარებელი კომპანიები ხოლო ბაზარზე ორიენტაციის გამო მათ უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის მქონე კომპანიებს.
კოო, კოპო და ნამი (2004)	დიფერენციაციის სტრატეგია ასოცირდება კარგ შედეგებთან ონლაინ კომპანიებში, ხოლო ფოკუსირების სტრატეგია კი განაპირობებს კარგ შედეგებს კომპანიებში, რომლებსაც გაყიდვების ფიზიკური წერტილებიც და ონლაინ მომსახურებაც აქვთ.
გე და დინგი (2005)	მომხმარებლებზე ორიენტაციას ახასიათებს ყველაზე მჭიდრო კავშირი ბიზნეს ერთეულის სტრატეგიასა და კომპანიის შედეგებთან.

**მაილსისა და სნოუს ტიპოლოგია**

კონანტი, მოკუა და გარადარაჯვანი (1990)	„მზვერავებს“ გააჩნიათ მეტი საბაზო შესაძლებლობები, ვიდრე „ანალიტიკოსებს“, „დამცველებს“ და „რეაქტორებს“. მაგრამ „მზვერავები“. „ანალიტიკოსები“ და „დამცველები“ აჩვენებენ დაახლოებით თანაბარ შედეგებს და თითქმის ყოველთვის ჯობნიან „რეაქტორებს“
პარნელი და რაითი (1993)	„მზვერავები“ ჯობნიან სხვებს შემოსავლების ზრდის კუთხით, მაგრამ მოგების მაჩვენებლით „ანალიტიკოსებს“ უკავიათ მოწინავე პოზიცია. „რეაქტორებს“ აქვთ ყველაზე უარესი შედეგები. კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად კი ინტეგრირებული სტრატეგიები გამოიყენება.
ჯეიმსი და ჰატენი (1994)	სტრატეგიის ტიპს აქვს უმნიშვნელო გავლენა კომპანიის შედეგებზე.
რამასვამი, ტომასი და ლიტერტი (1994)	„დამცველები“ აჩვენებენ უკეთეს შედეგებს, ვიდრე „მზვერავები“.
პარნელი (1997)	„რეაქტორებს“ აქვთ აქტივების უკუგების ყველაზე დაბალი კოეფიციენტი (ROA), ხოლო დაბალანსებულ კომპანიებს კი - ყველაზე უკეთესი შედეგები იმავე მაჩვენებლის მიხედვით.
ჰოქი (2004)	შეინიშნება მნიშნველოვანი ურთიერთკავშირი მენეჯმენტის სტრატეგიულ არჩევანსა და კომპანიის შედეგებს შორის.
მური (2005)	„მზვერავებს“, „ანალიტიკოსებსა“ და „დამცველებს“ აქვთ მდგრადი და დადებითი შედეგები „რეაქტორებისგან“ განსხვავებით. „მზვერავებს“ აქვთ შედარებით დადებითი კავშირი შედეგებთან, ვიდრე სხვა სტრატეგიის გამტარებელ კომპანიებს.
ენდრიუსი, ბოინი და უოლკერი (2006)	„მზვერავთა“ სტრატეგიასა და შედეგებს შორის არის დადებითი, ხოლო „რეაქტორთა“ სტრატეგიასა და შედეგებს შორის კი - უარყოფითი ურთიერთკავშირი.

მთლიანობაში, კვლევის შედეგები მიანიშნებს, რომ სტრატეგიის სამი სახეობიდან ერთ-ერთის არჩევა უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთი კონკრეტული სტრატეგიული მიმდინარეობის გარეშე ფუნქციონირება („შეაში გახიდული“ საწარმოები). ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, ბიზნესის სტრატეგიასა და კომპანიის შედეგებს შორის არსებული კავშირის შესაფასებლად ჩამოყალიბდა შემდეგი პიპოთეზები:

**პ2ა:** საწარმოებს, რომლებსაც გააჩნიათ ნათლად განსაზღვრული დანახარჯების მიხედვით ლიდერობის, დიფერენცირების ან ინტეგრირებული სტრატეგიები, ანუ ეს უკავებ შედეგებს, ვიდრე ე.წ. „შეაში გახიდული“ საწარმოები.

**პ2ბ:** საწარმოები, რომლებიც მიჰყებიან ინტეგრირებულ სტრატეგიებს, ანუ ეს უკავებ შედეგებს, ვიდრე დანახარჯების მიხედვით ლიდერობის ან დიფერენციაციის სტრატეგიების ერთგული საწარმოები.

როგორც სტრატეგიის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის კონცეპტუალური მოდელი ამტკიცებს, საწარმოებში სტრატეგიული დაგეგმვა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ბიზნესის სტრატეგიებზე. თუმცა, ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ წარსულში განხორციელებული კვლევები არ აანალიზებენ ამ ორ ცვლადს შორის არსებულ ურთიერთობებს. ამ ნაშრომში ეს კავშირი შეფასდება შემდეგი პიპოთეზის შემოწმებით:

**პ3:** საწარმოები, რომლებიც ფიდ უწადლებას აქცევენ სტრატეგიულ დაგეგმვას, ადვილად აყალიბებენ ბიზნესის სამი სტრატეგიიდან (დანახარჯების მიხედვით ლიდერობის, დიფერენციაციის და ინტეგრირებული) ერთ-ერთს.

ამ სამი პიპოთეზის შემოწმებით ჩვენ შევეცდებით სტრატეგიის სახეობებისა და შედეგების ურთიერთგავშირის გამოაშეარაგებას. **პ3** პიპოთეზის შემოწმების მეშვეობით კი გაირკვევა სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიზნესის სტრატეგიას შორის არსებული ურთიერთკავშირის ბუნება.

სტრატეგიის განხორციელების დროს წარმოქმნილი ბარიერები და მათი გადალახვის გზები. ნოუბლის და მოკვას, (1999) აზრით, სტრატეგიის იმპლემენტაცია წარმაოდგენს მისი ფორმულირებასა და ორგანიზაციულ შედეგებს შორის არსებული ჯაჭვის უმნიშვნელოვანეს რგოლს. ნათმა შეისწავლა აშშ-სა და კანადაში არსებული

ორგანიზაციების სტრატეგიული სვლები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილებების ნახევარიც კი ვერ აღწევდა წინასწარ დასახულ მიზანს, ძირითადად, განხორციელების პროცესში შექმნილი პრობლემების გამო (ნათი, 1999).

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესახებ დიდი რაოდენობით თეორიული თუ ემპირიული ლიტერატურის არსებობის მიუხედავად, სტრატეგიის იმპლემენტაციას არც თუ ისე ბევრმა მეცნიერმა მიაქცია ყურედღება. შესაბამისად, ლიტერატურაც არ არის მრავლაფეროვანი. გთავაზობთ იმ სირთულეების ჩამონათვალს, რომლიც კვლევების შედეგად გამოიკვეთა:

- (ა) დასჭირდა მეტი დრო, ვიდრე იყო მოსალოდნელი; (ბ) იმპლემენტაციის პროცესში აღმოჩნდა გაუთვალისწინებელი პრობლემები; (გ) განხორციელებისას ქმედებათა არაეფექტიანი კოორდინაცია; (დ) კონკურენტ (პარალელურ) ქმედებებს შორის ყურადღების გაფანტვა; (ე) არასაკმარისი შესაძლებლობები; (ვ) შეუსაბამო მომზადება; (ზ) უკონტროლო გარე ფაქტორები; (თ) არაადეკვატური ხელმძღვანელობა და მცდარი მიმართულება; (ი) შესასრულებელი დავალებების არასრულფასოვანი განმარტება; (კ) მონიტორინგის სამსახურისთვის საჭირო ინფორმაციული სისტემების გაუმართაობა; (ლ) წამყვანი პერსონალის ორგანიზაციიდან წასვლა; (მ) კომპანიის პერსონალმა ვერ გაიგო საბოლოო მიზნები; (ნ) პასუხისმგებლობათა გადაწყობის (დელეგირება) ბუნდოვანი განმარტება; (ო) სტრატეგიის ფორმულირებაში მთავარი მონაწილეები არ არიან აქტიურად ჩართულნი განხორციელების პროცესში; (პ) დაგვიანდა იმ პრობლემების დირექტორებამდე მიტანა, რომლებიც მათ აუცილებელ ჩარევას საჭიროებდა (ალექსანდერი, 1985);
- (ა) აღმასრულებელი დირექტორების მიერ დასახული მიზნები და ფორმულირებული სტრატეგიები სხვადასხვა განყოფილების მენეჯერებმა პერიფერიულ დონეზე ვერ აღიქვეს ნათლად (გერნჰემი, 1985);
- (ა) ზედმეტად ბევრი და ურთიერთსაპირისპირო პრიორიტეტი (ბ) აღმასრულებელი დირექტორების გუნდის არაადეკვატური მუშაობა; (გ) მართვის იერარქიის „ზემოდან ქვემოთ“ მუშაობის სტილი; (დ) შიდა ფუნქციონალური დაპირისპირებები; (ე) უხეირო გერტიკალური კომუნიკაცია; (ვ) მენეჯმენტის განვითარების ნაკლებობა (ვესელი, 1993);

- (ა) სტრატეგიის განხორციელებამ მოითხოვა მეტი დრო, ვიდრე მოსალოდნელი იყო; (ბ) განხორციელების პროცესში თავი იჩინა გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა; (გ) განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების შეუთანხმებლობა; (დ) კონკურენტი (პარალელურ) ქმედებებს შორის ყურადღების გაფანტვა; (ე) მნიშვნელოვანი ამოცანებისა და საქმიანობის შესრულებისთვის საჭირო განმარტებების ნაკლებობა; (ვ) არაადეკვატური ინფორმაციული სისტემების გამოყენება განხორციელების მონიტორინგის პროცესში (ალ-ლამდი, 1998);
- (ა) უფროსი მენეჯერების მცდარი ხედვა და (ბ) საოპერაციო საქმეთა მართვის მიმართ სიბეჭე (მელდრამი და ატკინსონი, 1998);
- (ა) უფროსი მენეჯერების არაეფეტიანი გუნდი; (ბ) ბუნდოვანი სტრატეგიები და საწინააღმდეგო პრიორიტეტები; (გ) მართვის იერარქიის „ზემოდან ქვემოთ“, ანუ ჩაურევლობის (laissez-faire) მუშაობის სტილი; (დ) უხეირო ვერტიკალური კომუნიკაცია; (ე) ფუნქციებს, საქმიანობებსა და საზღვრებს შორის შეუთავსებლობა და (ვ) უხარისხო მენეჯმენტი (ბირი და აიზენშტატი, 2000);
- (ა) სტრატეგიული ინერტულობა; (ბ) მეწილეთა (stakeholder) ვალდებულებების ნაკლებობა; (გ) სტრატეგიული უმოქმედობა; (დ) სტრატეგიული გამოფიტვა; (ე) სტრატეგიული იზოლაცია; (ვ) წინსვლის ცუდად აღქმა; (ზ) სტრატეგიის განხორციელების წამოწყებისთვის დამახასიათებელი გადაღლილობა; (თ) მოუთმენლობა და (ი) წარმატების არალნიშვნა (ფრიდმენი, 2003);
- (ა) უხარისხო მართვა; (ბ) ფუნქციების ცუდად აღქმა; (გ) განყოფილებათა მენეჯერების მიერ უხარისხო ხელმძღვანელობა და დირექტივების მიცემა; (დ) განხორციელების მნიშვნელოვანი ამოცანებისა და საქმიანობის ცუდი განსაზღვრა; (ე) თანამშრომელთა ერთგულების ნაკლებობა; (ვ) ქვედა დონეზე მომუშავე თანამშრომლების არასაკმარისი მომზადება და ინსტრუქტაჟი; (ზ) არასაკმარისი კოორდინირება განყოფილებათა შორის; (თ) თანამშრომლების არასაკმარისი შესაძლებლობები; (ი) ანგარიშგალდებულების ბუნდოვანება; (ვ) უხეირო საინფორმაციო სისტემები და (დ) არაეფეტიანი მონიტორინგი (შაჰი, 2005).

**პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს სტრატეგიის წარმატებით განხორციელებას.** ავტორთა გარკვეული ჯგუფი შეეცადა გაერკვია, თუ რა პროცესები ახდენდა დადებით გავლენას სტრატეგიის განხორციელების პროცესზე. აღნიშნული ავტორები და მათი ნაშრომები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

**ცხრილ 16-ში** მოყვანილი ნაშრომების მიმოხილვის შემდეგ განისაზღრა ჩამონათვალი ფაქტორებისა (პროცესებისა), რომლებიც საწარმოებმა უნდა გაითვალისწინონ სტრატეგიის განხორციელების პროცესში წარმატების მისაღწევად (იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ამავე თავში არის გაუდერებული). აღნიშვნის ღირსია ის, რომ ზემოხსენებული ფაქტორების ჩამონათვალი საკმაოდ სოლიდურად გამოიყერება, რაც თავისთავად ქმნის მათი ემპირიულ კვლევაში გამოყენების სირთულეს (სტრატეგიის განხორციელების პროცესის შესაფასებლად).

იმ მიზნით, რომ ემპირიული კვლევა შესაძლებელი იყოს, ჩვენ პრიორიტეტს მივანიჭებთ ორ - მილერისა (1997) და ჰიკსონის, მილერისა და უილსონის (2003) ნაშრომებს, რომლებიც, აგრეთვე, ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ავტორის მიერ.

მილერმა (1997) საწარმოო და მომსახურების სფეროებში მოღვაწე ექვს ორგანიზაციაში თერთმეტი სტრატეგიული გადაწყვეტილების განხორციელების შესწავლის შემდგომ განსაზღვრა წარმატების მომტანი ათი ფაქტორი: 1. მხარდაჭერა; 2. შეფასების შესაძლებლობა; 3. განსხვავებულობა; 4. კულტურული ამთვისებლობა; 5. სიმარჯვე; 6. სიახლოვე; 7. პრიორიტეტები; 8. რესურსებზე წვდომა; 9. სტრუქტურის (ორგანიზაციული) გამარტივება და 10. მოქნილობა. ამ ნაშრომმა ასევე აღმოაჩინა, რომ ფაქტორები, რომლებსაც დადებითი გავლენა აქვს სტრატეგიის განხორციელებაზე, არის: მხარდაჭერა, განსხვავებულობა, კულტურული ამთვისებლობა და სიმარჯვე. მილერმა ცვლადების ამ ჯგუფს უწოდა „შემსრულებლები“ და დანარჩენ ხუთ ფაქტორს კი - „დამხმარეები“, რადგან ისინი სტრატეგიის განხორციელებას აქტიური როლის გარეშე უჭერენ მხარს (მილერმა 1997).

მოგვიანებით ჰიკსონმა, მილერმა და უილსონმა კვლევის შედეგად გამოააშკარავეს სტრატეგიის იმპლემენტაციაზე მოქმედი რამოდენიმე ფაქტორი, რომლებიც ორ ჯგუფად დაყველი, გამოცდილებაზე დაფუძნებული მიდგომა ითვალისწინებს შემდეგ

ფაქტორებს: რესურსების მართვის უნარი (Resourcing), ცნობადობა (familiarity), მისაღებობა (acceptability) და სპეციფიკურობა (Specificity). ხოლო მეორე, მზადყოფნაზე დაფუძნებულ მიღომაში გაერთიანებულია შემდეგი ცვლადები: სტრუქტურული სიმარტივე (Structural facilitation), პრიორიტეტის მინიჭება (priority) და მიღებადობა (Receptivity). ამ ნაშრომის მიხედვით, სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად ორგანიზაციებს აქვთ მხოლოდ ორი არჩევანი: გამოცდილებაზე დაფუძნებული დაგეგმილი არჩევანი და მზადყოფნაზე დაფუძნებული უპირატესი არჩევანი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიღომებიდან ერთ-ერთის არჩევა აუმჯობესებს სტრატეგიის განხორციელებას, ამ ავტორებმა დაასკვნეს, რომ წარმატების შანსი იზრდება ამ ორი მიღომის ერთად გამოყენებით (ჰიკსონმა, მილერმა და უილსონმა, 2003).

სტრატეგიის განხორციელებაზე ემპირიული ნაშრომების ანალიზი და ჰიპოთეზების განსაზღვრა. ჰიპოთეზის ჩამოყალიბების მიზნით, მოხდა იმ ნაშრომების შესწავლა, რომლებიც იკვლევენ სტრატეგიის განხორციელების საკითხებს. ქვემოთ მოყვანილია ავტორები და მათი ნაშრომები, აგრეთვე, ის შედეგები, რომლებიც მათ მიიღეს კვლევების ჩატარების შემდეგ (იხ. ცხრილი 17).

**ცხრილი 16. სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო პროცესები**

ავტორი	ნაშრომები
პინტო და სლევინი (1987)	„პროექტის წარმატებით განხორციელებაში არსებული კრიტიკული ფაქტორები“
უოკერი და რუკერტი (1987)	„მარკეტინგის როლი ბიზნეს სტრატეგიების განხორციელებაში: კრიტიკული მიმოხილვა და კონცეპტუალური სტრუქტურა“
ჰემბრიკი და კანელა უმც. (1989)	„სტრატეგიის განხორციელება, როგორც არსი და გაყიდვები“
ბრაისონი და ბრომილეი (1993)	„კრიტიკული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ძირითადი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე“
ლინგლი და შიმანი (1994)	„სტრატეგიის ხელშემშლელი ფაქტორი არის მონაცემთა გაფანტულობა“
შმიდტი (1994)	„გაყიდვებზე ორიენტირებული კომპანიის ქეისი“
ალ-დამდი (1998)	„სტრატეგიული გადაწყვეტილებების წარმატებული განხორციელების ბარიერები: ბრიტანული გამოცდილება“
ნათი (1998)	„განხორციელების მიღების ლავირება, წინაღობა და წარმატება“
ნოუბლი და მოკვა (1999)	„მარკეტინგის სტრატეგიების განხორციელება: მენეჯერული თეორიის განვითარება და ტესტირება“

ბირი და აიზენშტატი (2000)	„სტრატეგიის განხორციელების ჩუმი მკვლელები“
დული, ფრაიქსელი და ჯადჯი (2000)	„არც თუ ისე ცხადი ახსნა: კონსესუსი, ვალდებულება და სტრატეგიის განხორციელების სისწრაფე და წარმატება“
მიხლიტში (2000)	„მადალი შედეგების მქონე, ლოიალური დასაქმებულები: სტრატეგიის განხორციელების რეალური გზა“
ფრიდმენი (2003)	„გენიალურობა განხორციელებაშია“
ჰიკსონი, მილერი და უილსონი (2003)	„დაგეგმილი თუ პრიორიტეტული? ორი არჩევანი სტრატეგიული გადაწყვეტილების განხორციელების სამართავად“
ალიო (2005)	„სტრატეგიის განხორციელების მოკლე პრაქტიკული გზამკვლევი“
შაჰი (2005)	„სტრატეგიის წარმატებით განხორციელების საფუძველი: ბარიერების გადალახვა“

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის განხორციელების პროცესის შესახებ არც თუ ისე ბევრი ნაშრომი მოიძებნება, სტრატეგიის განხორციელებასა და ორგანიზაციის შედეგებს შორის კავშირზე ორიენტირებული კი - კიდევ უფრო ცოტა. ასევე, ანალიზის შედეგად აღმოჩდა, რომ სტრატეგიის განხორციელების შესწავლის პროცესში არ ფიგურირებს ისეთი ცვლადი, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმვა და ბიზნეს ერთეულის სტრატეგია. ამიტომ, ამ ცვლადებს შორის არსებული ურთიერთკავშირი და სტრატეგიის განხორციელების გავლენა საჭარბოს შედეგებზე ბუნდოვანია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ჰიკსონის, მილერისა და უილსონის (2003) ნაშრომმა უდიდესი წვლილი შეიტანა სტრატეგიის განხორციელების პროცესის კვლევის განვითარებაში და, შესაბამისად, ჩვენც მათ მიერ ჩამოყალიბებულ მიღებებს გამოვიყენებო (დაგეგმილი არჩევანი და უპირატესი არჩევანი). ორგანიზაციის შედეგებსა და მათ მიერ განხორციელებულ სტრატეგიას შორის ურთიერთკავშირის გამოასაშკარავებლად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზები:

**პ4:** სტრატეგიის განხორციელების ეფექტურობა დაგეგმვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის შედეგების გაუმჯობესებაში.

წინამდებარე კვლევა აგრეთვე შეეცდება გამოააშკარაოს ურთიერთკავშირი, როგორც სტრატეგიის განხორციელებასა და სტრატეგიის დაგეგმვას, ასევე სტრატეგიის განხორციელებასა და ბიზნესის სტრატეგიას შორის.

**პ5ა:** საწარმო, რომლის სთვისაც განხაუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაგეგმვა, ასევე დიდ უერადღებას უთმობს სტრატეგიის განხორციელებას.

**პ5ბ:** საწარმოები, რომლებიც ბიზნესის სამი სტრატეგიიდან (დანახარჯების მიხედვით ლიდერობა, დივერგენცირება ან ინტეგრირებული) ირჩევენ ერთ-ერთს, შედარებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებუნ სტრატეგიის განხორციელებას, ვიდრე „შეს გახილულები“.

**ცხრილი 17. სტრატეგიის განხორციელებაზე არსებული კვლევების შედეგები**

ავტორ(ები)	ნაშრომი	კვლევის შედეგები
ვერნჟემი (1985)	„სტრატეგიის განხორციელების სირთულეები ნაციონალიზებული ინდუსტრიაში“	აღმასრულებელი დირექტორების მიერ დასახული მიზნები და სტრატეგიები განყოფილებათა მენეჯერებმა ვერ აღიქვეს ნათლად პერიფერიულ დონეზე.
სკეპტიკიზმი და დაფტი (1991)	„ბიზნესდონის სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელების ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროცესის მოდალობების კვლევა“	სტრატეგიის განხორციელება მჭიდროდ უკავშირდება ორგანიზაციულ სტრუქტურებს, სისტემებსა და პროცესებს (ინფორმაციის დამუშავება) და სანქციებს (ძალაუფლების გამოყენება ახალი ქმედებებისა და აზრების მხარდასაჭერად).
კარგარი და ბლუმენთალი (1994)	„სტრატეგიული გადაწყვეტილებების წარმატებული განხორციელება პატარა ზომის ბანკებში“	ბანკები, რომლებსაც სტრატეგიის განხორციელების დროს პქონდათ ნაკლები პრობლემები, აღწევდნენ მეტ წარმატებას, ვიდრე ბანკები, რომლებსაც პქონდათ ბევრი პრობლემა.
მილერი (1997)	„სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელება: წარმატების ოთხი ძირითადი ფაქტორი“	ოთხი ფაქტორი: თანადგომა, ნათელი მიზნები, დაგეგმვა და სელშემწყობი კლიმატი - არის გადამწყვეტი სტრატეგიის განხორციელების მართვაში.
ალ-ლამდი (1998)	„სტრატეგიული გადაწყვეტილებების წარმატებული განხორციელების ბარიერები: ბრიტანული გამოცდილება“	კომუნიკაცია, მენეჯმენტის მხარდაჭერა და გამართული ინფორმაციული სისტემები არის სტრატეგიის განხორციელების უველავებელობაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები.
ნათი (1998)	„განხორციელების მიდგომების ლაგირება, წინადობა და წარმატება“	ნაშრომმა განსაზღვრა სტრატეგიის განხორციელების ოთხი სხვადასხვა მიდგომა: ჩარევა, მონაწილეობა, დაყოლიება და მბრძანებლობა (ედიქტი). აღმოჩნდა, რომ ამ ოთხიდან უველავებელი მიდგომაა ჩარევა.
ნათი (1999)	„გასაკვირია, მაგრამ მართალი: ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების ნახევარი წარუმატებელია“	ორგანიზაციების გადაწყვეტილებების ნახევარი არ სრულდება შემდეგი მიზეზების გამო: (ა) პრობლემის გადაჭრის საკითხებში მენეჯერების მხრიდან საკუთარი აზრის ლობირება, (ბ) აღტერნატივების ძიების შეზღუდვა და (გ) გეგმების განსახორციელებლად ძალაუფლების გამოყენება.
დული, ფრაისელი და	„არც თუ ისე ცხადი ახსნა: კონსესუსი, ვალდებულება და სტრატეგიის	გადაწყვეტილებებზე კონსესუსი ეხმარება მათ მიმართ ერთგულების განმტკიცებაში, რასაც, თავის მხრივ, დადებითი კავშირი აქვს

ჯადჯი (2000)	განხორციელების სისწრაფე და წარმატება“	განხორციელების წარმატებასთან, მაგრამ ეს ერთგულება ანელებს განხორციელების პროცესს.
ოკუმუნი (2001)	„სტრატეგიის განხორციელების სტრუქტურის კენ“	სტრატეგიის განხორციელების წარმატება დამოკიდებულია სტრატეგიის შინაარსზე, შიდა და გარე კონტექსტზე და სტრატეგიის პროცესზე. განსაკუთრებით დიდი როლი ამ ფაქტორებს შორის აქვს შიდა კონტექსტს.
ალტონენი და იგავალეო (2002)	„სტრატეგიის წარმატებით განხორციელება: ინტეგრირებული სამრეწველო სისტემები“	სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ცუდი კომუნიკაცია. ასევე, დიდ ბარიერს წარმოადგენდა ამა თუ იმ საკითხის სწორად აღქმის ნაკლებობა განხორციელების პროცესში.
ჰიკსონი, მილერი და უილსონი (2003)	„დაგეგმილი თუ პრიორიტეტული? ორი არჩევანი სტრატეგიული გადაწყვეტილების განხორციელების სამართავად“	ახსნილია ნაშრომში.

პიპოთეზა პ4-ის შემოწმებით ჩვენ შევეცდებით სტრატეგიის განხორციელებასა და მის შედეგებს შორის ურთიერთკავშირის გამოაშკარავებას, ხოლო პ5ა და პ5ბ პიპოთეზის შემოწმებით კი გაირკვევა ურთიერთკავშირი სტრატეგიის განხორციელებას, სტრატეგიის დაგეგმვას და ბიზნესის სტრატეგიას შორის.

ამრიგად, ბიზნესის გვაროვნული სტრატეგიების დაყოფა შესაძლებელია ორ ჯგუფად, ტაქსონომიებად და ტიპოლოგიებად. ტიპოლოგიები წარმოადგენენ თეორიულ, ხოლო ტაქსონომიები კი ემპირიული კვლევების შედეგად ჩამოყალიბებულ სტრატეგიებს. ლიტერატურის სისტემური ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ისაა, რომ კომპანიებს შორის შედეგების არაერთგვაროვნების ასახსნელად სავსებით შესაძლებელია სტრატეგიის ტიპოლოგიების ეფექტიანად გამოყენება.

აგრეთვე, გამოკვეთა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის სტრატეგიის განხორციელებას და ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს მის წარმატებას. შესაბამისად, ჩამოყალიბრა პიპოთეზები, რომელთა შემოწმებაც შემდეგ თავში მოხდება.

### **თავი III. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი**

#### **3.1. კვლევის მეთოდოლოგია**

ამ პარაგრაფის მიზანია შეიმუშაოს ის მეთოდები, რომლებიც საფუძვლად დაედება შემდგომ კვლევას. განხილულია კვლევის ფილოსოფიური მიმართულება. აგრეთვე დეტალურად არის განმარტებული საკვლევი პოპულაციის შერჩევის კრიტერიუმები და მოცულობა. ასესნილია ყველა ის პროცედურა რომელთა მეშვეობითაც ჩამოყალიბდა კვლევის ინსტრუმენტი. შემოწმებულია კვლევაში გამოყენებული კონსტრუქციებისა და საზომი სკალების სანდოობა კრონბახის ალფის მეშვეობით.

**კვლევის ფილოსოფიური საფუძველი.** მიდგომა, რომელზეც არის კვლევა დამყარებული, გულისხმობს არსებული თეორიის (ჰიპოთეზის) ემპირიული კვლევის საშუალებით შემოწმებას. თეორიული მიმოხილვის შედეგად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა კითხვარების დაგზავნის შედეგად მიღებული და გაანალიზებული მონაცემებით. გამოყენებული იქნა რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევა ატარებს პოზიტიურ ხასიათს, რომელიც გულისხმობს რეალობის არსებობას მკვლევარისგან დამოუკიდებლად. *ცხრილი 18* მეშვეობით წარმოგიდგენთ გუბა და ლინკოლნის (1994) მიერ შემოთავაზებულ მეცნიერული პარადიგმების ონთოლოგიას, ეპისტემოლოგიას, მეთოდოლოგიასა და მათთან დაკავშირებულ კვლევის მეთოდებს.

*ცხრილი 18*-დან ნათლად ჩანს, რომ წინამდებარე კვლევა ონთოლოგიური, ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური მრწამსით სრულად იზიარებს პოზიტიურ და ნაწილობრივ პოსტ პოზიტიურ მახასიათებლებს, იურიებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, ექსპერიმენტული კვლევის დიზაინს. მონაცემები გროვდება რიცხობრივი ფორმატით, დახურული კითხვების მეშვეობით და მონაცემთა ანალიზისთვის გამოიყენება დასკვნითი სტატიკა.

**ცხრილი 18.** მეცნიერული პარადიგმების ონთოლოგია, ეპისტემოლოგია, მეთოდოლოგია და მათთან დაკავშირებული კვლევის მეთოდები

	პოზიტივიზმი	პოსტ-პოზიტივიზმი	კონსტრუქციონიზმინტერპრეტივიზმი	კრიტიკულ-იდეოლოგიური
ონთოლოგია	ბუნებრივი რეალიზმი: „რეალური“ რეალობა სრულად აღქმადია	კრიტიკული რეალიზმი: „რეალური“ რეალობა სავარაუდოდ აღქმადია	რელატივიზმი: მრავალი ლოკალური რეალობები განლაგებულია ფსიქოლოგიურად და სოციალურად	ისტორიული რეალიზმი: ფაქტობრივმა რეალიზმმა მოახდინა სოციალური, პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური და სქესობრივი ფასეულობების კონფიგურაცია.
ეპისტემოლოგია	ობიექტური: ცოდნა ჰეშმარიტია	მოდიფიცირებული ობიექტური: ცოდნა სავარაუდოდ ჰეშმარიტია	ტრანზაქციული/სუბიექტური: ფსიქოლოგიურად და სოციალურად კონსტრუირებული	ტრანზაქციული/სუბიექტური: ისტორიულად განლაგებული და ფასეულობებით დაკავშირებული
მეთოდოლოგია	ექპერიმენტული/ მანიპულაციური: ჰიპოთეზის გერიფიკაცია	მოდიფიცირებული ექპერიმენტული/ მანიპულაციური: ჰიპოთეზის ფალსიფიკაცია	დიალექტური	დიალოგური/დიალექტური
მიზანი	ახსნა	ახსნა	გაგება	ემანსიპატორული, ტრანსფორმაციული
ძიების პერპექტივა (მიზანი)	ნომოთეტური	ნომოთეტური	იდიოგრაფიული	იდიოგრაფიული (ინდივიდის შესწავლა)
ძიების ლოგიკა	დედუქციური	დედუქციური	ინდუქციური	ინდუქციური

ხარისხის კრიტერიუმები	შიდა და გარე ვალიდურობა; სანდოობა.	შიდა და გარე ვალიდურობა; მოდიფიცირებული სანდოობა.	უტყუარობა; დამოკიდებულებადობა; დამოკიდებულება; დადასტურებადობა; ავთენტურობა.	ისტორიული კუთვნილება; გაუცნობიერების ეროვნია; მოქმედების სტიმული.
კვლევის მეთოდები	რაოდენობრივი	რაოდენობრივი/ თვისებრივი	თვისებრივი	თვისებრივი
კვლევის დიზაინი	ექსპერიმენტული: ნამდვილი და ქუაზი ექსპერიმენტები; კონტროლი.	ექსპერიმენტული: ნამდვილი და კვაზი ექსპერიმენტები, პასიურ-ობზერვაციული; კონტროლი.	ნატურალისტური	ნატურალისტური
შერჩევა	ალბათური	ალბათური, მიზნობრივი	მიზნობრივი	მიზნობრივი
მონაცემთა შეგროვება	რიცხობრივი ფორმატი; დახურული კითხვები.	რიცხობრივი ფორმატი; დახურული კითხვები.	საუბრის ფორმატი; ლია კითხვები.	საუბრის ფორმატი; ლია კითხვები.
მონაცემთა ანალიზი	დასკვნითი სტატისტიკა	დასკვნითი სტატისტიკა	ტექსტის თვისებრივი ანალიზი	ტექსტის კრიტიკული ანალიზი

წყარო: გუბა და ლინკოლნის (1994) მიხედვით

კვლევის მეთოდები და საკვლევი პოპულაციის შერჩევა. ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სტრატეგიული მართვის სფეროში წამყვანი მეცნიერების კვლევების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები შემოწმებულია პირველადი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე, რის შემდეგ მოხდა მათი განზოგადება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის ინსტრუმენტად არჩეულია საფოსტო და სატელეფონო გამოკითხვები.

**შერჩევის მოცულობა.** საკვლევი პოპულაცია და შერჩევის მოცულობა განისაზღვრა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. მონაცემთა ბაზის მიხედვით, D (იხ. დანართი 7) სექციაში თავმოყრილი 1530 საწარმოდან საკვლევი პოპულაცია შეირჩა ორგანიზაციების სიდიდითა და პროდუქციის გამოშვების მოცულობით, (რომლის გამოშვების მოცულობა აღემატებოდა 1.5 მილიონ ლარს). 2015 წლის მონაცემების მიხედვით, აღნიშნული პარამეტრებით განისაზღვრა 455 მსხვილი საწარმოსაგან შემდგარი საკვლევი პოპულაცია. აქვე აღსანიშნავია, რომ წინასწარი კვლევის (ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის ხელმძღვანელ ბატონ ლევან გოგობერიშვილთან და TBSC საკონსულტაციო კომპანიის პარტნიორ და წამყვან კონსულტანტ ბატონ თენგიზ ლომიტაშვილთან). აღნიშნული ინტერვიუების საშუალებით გამოირკვა, რომ ის საწარმოები, რომლებსაც შესაბამისი ფინანსური სახსრები არ გააჩნიათ, არ მიმართავენ სტრატეგიულ მართვას). შედეგებმა ცხადყო, რომ დაბალბრუნვიანი კომპანიები არ არიან ჩართულნი სტრატეგიული დაგეგმვის ან/და სტრატეგიის შემუშავება-განხორციელების პროცესებში.

სალანგსა და დილმანზე (1994) დაყრდნობით, ზემოაღნიშნული საკვლევი პოპულაციიდან მინიმუმი შერჩევის ზომა არის 79 შემთხვევა, 95% ნდობის დონისა და +/- 10 ნდობის ინტერვალის მიხედვით, რაც აღიარებულია ბიზნეს სფეროს მკლევარების მიერ.

**გამოკითხვის ინსტრუმენტი.** კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ლიკერტის საზომის 57 კითხვისაგან შემდგარი კითხვარი. აღნიშნულ კითხვარში კითხვების რაოდენობა განისაზღვრა ადრე ჩატარებულ მსგავს კვლევებზე დაყრდნობით. მიმდინარეობდა მუშაობა კითხვარის სრულყოფისთვის. სამუშაო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული სფეროს წარმომადგენლები. თავდაპირველად საკვლევი ინსტრუმენტი შემუშავდა ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ასოცირებულ პროფესორ შოთა შაბურიშვილის და ვილნიუსის გედიმინას ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელის პროფესორ ბორისას მელნიკასის ზედამხედველობით. შემდგომ აღნიშნული კითხვარი გადაეგზავნა პრაქტიკული სფეროს ორ წარმომადგენელს, TBSC საკონსულტაციო კომპანიის პარტნიორ და წამყვან კონსულტანტ ბატონ თენგიზ ლომიტაშვილს და ლიტვის ინოვაციური ცენტრის წამყვან მკვლევარს და პროექტების მენეჯერ ბატონ მანგას ვილისს. მათგან მიღებული შენიშვნები გავითვალისწინეთ და კითხვარში შევიტანეთ ცვლილებები. შემდგომ კვლავ გადაეგზავნა აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს და აღნიშნულ ცვლილებებზე გაკეთდა განმარტებები. ეს პროცედურა რამდენჯერმე განმეორდა და შედეგად მიღებულ იქნა საკვლევი ინსტრუმენტის ოპტიმალური ვერსია.

**კვლევაში გამოყენებული კონსტრუქციები და საზომი სკალები.** ცხრილ 19-ში მოცემულია იმ ნაშრომთა ჩამონათვალი, რომლებში გამოყენებულ კონსტრუქციებსა და საზომ სკალებსაც ეყრდნობა წინაბდებარე ნაშრომი. კვლევის კონცეპტუალური მოდელი (იხ. სქემა 7) მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ბიზნესის სტრატეგია, სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვა და კომპანიის შედეგები.


**ცხრილი 19.** კონსტრუქციები და საზომი სკალები

მოდელის კომპონენტი	კონსტრუქცია	წყარო
ბიზნესის სტრატეგია	დანახარჯების მიხედვით ლიდერობა დიფერენცირება ფოკუსირება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლუო და ზაო, (2004)</li> <li>• რიჩარდი და ჰელმისი, (2006)</li> <li>• ნანდაკუმარი, გობადიანი და ო'რეგანი, (2011)</li> </ul>
სტრატეგიული დაგეგმვა	დაგეგმვის რაციონალურობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნანდაკუმარი, გობადიანი და ო'რეგანი, (2011)</li> </ul>
სტრატეგიის განხორციელება	სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჰიკსონი, მილერი და ვილსონი, (2003)</li> <li>• ნანდაკუმარი, გობადიანი და ო'რეგანი, (2011)</li> <li>• რიჩარდი და ჰელმისი, (2006)</li> </ul>
კომპანიის შედეგები	მიზნების მიღწევა კონკურენტული შედეგები	<ul style="list-style-type: none"> <li>• რამანუჯამი, ვენკატრამანი და კამილუსი, (1986)</li> <li>• ნანდაკუმარი, გობადიანი და ო'რეგანი, (2011)</li> <li>• რიჩარდი და ჰელმისი, (2006)</li> </ul>

**კვლევის მოდელი.** ნაშრომის კვლევის მოდელი წაროდგენილია სექტა 7-ში, რომელიც იკვლევს შემოთავაზებული პიპოთეზების ურთიერთკავშირს როგორც ერთმანეთთან, ისევე ორგანიზაციის შედეგებთან.

კვლევაში გამოყენებული ანალიტიკური ხერხები: დისპერსიული ანალიზი, რეგრესიული ანალიზი, კორელაციის ანალიზი.

სქემა 7. კვლევის მოდელი



### **3.2 კვლევის მახასიათებლები (ვალიდობა და სანდოობა) და ფაქტორული ანალიზი**

ამ პარაგრაფში შემოწმდება შეგროვებული მონაცემების ვალიდურობა და სანდოობა, განხორციელდება თითოეული საზომის (სტრატეგიული დაგეგმვა, ბიზნესის სტრატეგია, სტრატეგიის განხორციელება და კომპანიის შედეგები) ფაქტორული ანალიზი.

**კვლევის ვალიდობის შემოწმება.** ვალიდობა წარმოადგენს კვლევის ვარგისიანობის საზომს და გვაძლევს პასუხს კითხვაზე, ნამდვილად ვზომავთ/ვიკვლევთ თუ არა იმას, რისი გაზომვაც გვინდა. აგრეთვე ვალოდობა განზოგადებებსაც ეხება, თუ რამდენად შესაძლებელია კვლევის არსებული შედეგები განზოგადდეს (განვაზოგადოთ). განასხვავებენ ვალიდობის სამ ძირითად ტიპს:

- გარე ვალიდობა;
- კონსტრუქტის ვალიდობა;
- შიდა ვალიდობა.

გარე და შიდა ვალიდობები ეხება კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების ვარგისიანობას, ხოლო კონსტრუქტის ვალიდობა ეხება გაზომვებს, ანუ კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტების ვარგისიანობას. უფრო მეტი სიცხადისთვის ზემოსსენებული ვალიდობის ტიპები ქვემოთ არის დეტალურად განხილული. გარე ვალიდობა გულისხმობს იმას, თუ რამდენად შევძლებთ შედეგების განზოგადებას სხვა სამრეწველო კომპანიებზე სხვა დროის მონაკვეთში. შიდა ვალიდობის დროს საუბარია დასკვნების სისტორესა და მიზეზ-შედეგობრიობასთან მიმართებაზე. კონსტრუქტის ვალიდობა გულისხმობს, თუ რამდენად სტორად ავაგეთ კვლევის კონსტრუქტები. ანუ, ვზომავთ თუ არა იმას, რაც უნდა გავზომოთ. კონსტრუქტის ვალიდობა, თავის მხრივ, იყოფა ორ კატეგორიად, ესენია: კრიტერიუმის ვალიდობა და შირნაარსის ვალიდობა. შინაარსის ვალიდობის დროს საკვლევ ინსტრუმენტს ამოწმებენ (შინაარსობრივად რამდენად შესაბამება კონსტრუქტი საკვლევ საგანს)

და საკუთარ აზრს აფიქსირებენ ექს რტები (აკადემიური და პრაქტიკული სფეროებიდან). კრიტერიუმის ვალიდობა გულისხმობს, თუ როგორ იქცევა კვლევის კონსტრუქტი სხვადასხვა ვითარებაში. იგი მოიცავს: წინასწარმეტყველების, თანმდევ, კონვერგენტულ (არსებულ კვლევებში გამოყენებულ კონსტრუქტებთან მსგავსება) და დისკრიმინანტულ (რამდენად განსხვავდება სხვა კონსტრუქტებისგან) კატეგორიებს (კუპერი და შინდლერი, 2001).

კუპერის და შინდლერის, (2001) თანახმად, იმისათვის, რომ კვლევის კონსტრუქტს ჰქონდეს კარგი კრიტერიუმის ვალიდობა, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთს. წინამდებარე კვლევას გააჩნია კონსტრუქტის კარგი ვალიდობა ორივე კომპონენტის (კრიტერიუმისა და შინაარსისა) მიხედვით. აგრეთვე, აქვს კარგი შიდა და გარე ვალიდობები.

**კვლევის სანდოობის შემოწმება.** სანდოობის ანალიზი აფასებს მრავალ საზომს შორის თანმიმდევრობის ხარისხს. იმისთვის, რომ კვლევა სანდო იყოს, მან უნდა აჩვენოს, რომ რესპონდენტების მსგავს ჯგუფთან მსგავს კონტექსტში (ნებისმიერად განსაზღვრული) ჩატარების შემთხვევაში, მსგავსი შედეგები უნდა მიგიღოთ (ჰაირი და სხვ., 2006). სანდოობის სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

- სტაბილობა;
- ეპიგალენტობა;
- შინაგანი შეთანხმება.

**სანდოობა სტაბილობის მიხედვით.** სანდოობა ამ ფორმით დროში და მსგავს შერჩევებში შეთანხმებას გულისხმობს. კვლევაში სანდო ინსტრუმენტი სხვადასხვა დროს მსგავსი რესპონდენტებისგან მსგავს მონაცემებს იძლევა (კუპერი და შინდლერი, 2001).

**სანდოობა ეკვივალენტობის სახით.** ამ ტიპის სანდოობა ორ ძირითად სახეობას აერთიანებს. პირველ რიგში, სანდოობა შეიძლება მიიღწეოდეს ტესტის, ან მონაცემების შეგროვების სხვა ინსტრუმენტის ეკვივალენტური ფორმების (ცნობილია, ასევე, როგორც ალტერნატიული ფორმები) გამოყენებით. თუ არსებობს ტესტის, ან ინსტრუმენტის ეკვივალენტური ფორმები და ისინი მსგავს შედეგებს იძლევა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ინსტრუმენტი აჩვენებს ამ ფორმის სანდოობას. მაგალითად, ამ ტიპის სანდოობის მქონედ მიჩნეული პრეტესტი და პოსტ-ტესტი ექსპერიმენტში ერთი და იმავე საკითხების გაზომვის ალტერნატიულ ფორმებად გამოიყენება. აქ სანდოობა შეიძლება გაიზომოს t კრიტერიუმით, კორელაციის მაღალი კოეფიციენტის ჩვენებით და ორი ჯგუფისთვის მსგავსი საშუალოებისა და სტანდარტული გადახრების ჩვენებით (კოპენი და სხვ., 2011).

**მეორე, ეკვივალენტობის სახით სანდოობის მიღწევა შეიძლება**  
შემფასებელთა შორის თანხმობით. თუ კვლევაში ერთზე მეტი მკვლევარი მონაწილეობს, მაშინ, ვინაიდან ადამიანის მიერ გაკეთებული შეფასება არ არის შეცდომისგან დაზღვეული, შეთანხმების მიღწევა ყველა მკვლევარს შორის უნდა მოხდეს მონაცემების ანალიზის ეტაპზე, თითოეული მათგანის მიერ მონაცემების ერთნაირად დაფიქსირების უზრუნველყოფით (კოპენი და სხვ., 2011).

**სანდოობა შინაგანი შეთანხმების სახით.** ემპირიულ კვლევებში ძირითადად გამოიყენება ორი მეთოდი:

- ტესტ-რეტესტის;
- შინაგანი შეთანხმებულობა.

მაშინ, როცა სანდოობის დემონსტრირების ტესტ-რეტესტის მეთოდი და ეკვივალენტური ფორმების მეთოდი ტესტების ან ინსტრუმენტების ორჯერ გამოყენებას მოითხოვს, შინაგანი შეთანხმებულობის საჩვენებლად ტესტების ან

ინსტრუმენტების მიწოდება მხოლოდ ერთხელ არის საჭირო შეაზე გახლეჩვის მეთოდის გამოყენებით (ჰაირი და სხვ., 2006).

სანდოობის, როგორც შინაგანი შეთანხმებულობის ალტერნატიულ საზომს კრონბახის ალფა კოეფიციენტი წარმოადგენს, რომელსაც ხშირად სანდოობის ალფა კოეფიციენტს, ან, უბრალოდ ალფას უწოდებენ. კრონბახის ალფა იძლევა დებულებებს შორის კორელაციის კოეფიციენტს, ანუ თითოეული დებულების კორელაციას სხვა რელევანტური დებულებების ჯამთან და გამოსადეგია მრავალდებულებიანი სკალებისთვის (კრონბახი, 1951). ეს არის დებულებების შინაგანი შეთანხმებულობის საზომი.

ამგვარად, ახსნილი სანდოობა რამდენიმე დაშვებას აკეთებს, მაგალითად, იმას, რომ ინსტრუმენტები, მონაცემები და შედეგები უნდა კონტროლდებოდეს, პროგნოზირდებოდეს და მეორდებოდეს. ეს გარკვეული სტილის კვლევას გულისხმობს, როგორც წესი, პოზიტივისტური პარადიგმის ფარგლებში (კოპენი და სხვ., 2011).

სკალების სანდოობის შესაფასებლად წინამდებარე ნაშრომმა გამოიყენა კრონბახის ალფა. ბევრი ავტორის მტკიცებით, იმისათვის, რომ სკალის სანდოობა მისაღები იყოს, საჭიროა კრონბახის ალფის ქვედა ზღვრის სიდიდე განისაზღვრებოდიეს 0.7-ით, თუმცა, აღმოჩენით კვლევებისათვის 0.6 სიდიდეც მისაღებია (რობინსონი და სხვ., 1991). ნაშრომში დაანგარიშებულია სკალების კრონბახის ალფის სიდიდეები და შედარებულია იმ ნაშრომების შესაბამის სიდიდეებთან, რომლებიდანაც აღებულია ეს სკალები (იხ. ცხრილი 20).

## ცხრილი 20. სკალების სანდოობა

კითხვარის კომპონენტი	კონსტრუქციები	სანდოობის კოეფიციენტი (კრონბახის ალფა)	მსგავსი კვლევების კრონბახის ალფა
ბიზნესის სტრატეგია	დანახარჯების მიხედვით ლიდერობა დიფერენცირება ფოკუსირება	• 0.915 • 0.891 • 0.832	• 0.75 • 0.72 • 0.73
სტრატეგიული დაგეგმვა	რაციონალური მიდგომა სტრატეგიული დაგეგმვისას	• 0.89	• 0.85
სტრატეგიის განხორციელება	სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი (დაგეგმილი და უპირატესი არჩევანი)	• 0.815	• 0.867 • 0.817
შედეგები	მიზნების მიღწევა კონკურენტული შედეგები	• 0.913 • 0.928	• 0.748 • 0.953

ბრაიმენი და კრამერი, (1990) თვლიან, რომ სანდოობის მისაღები დონეა 0.8

- >0.90 ძალიან მაღალი სანდოობა;
- 0.80-0.90 მაღალი სანდოობა;
- 0.70-0.79 სანდო;
- 0.60-0.69 მინიმალურად სანდო;
- <0.60 მიუღებლად დაბალი სანდოობა.

თუმცა, სხვებს მიაჩნიათ, რომ მისაღებია კოეფიციენტი 0.67 და მეტი. ცხრილი 20-დან ნათლად ჩანს, რომ კვლევის კონსტრუქტებს გააჩნიათ მაღალი სანდოობის კოეფიციენტები (ხშირ შემთხვევაში, უფრო მაღალი, ვიდრე წინა კვლევებში

გამოყენებულ კონსტრუქტებს). შესაბამისად, აღნიშნული კვლევის კონსტრუქტებს სანდოობის მაღალი დონე აქვთ.

**მონაცემთა ფაქტორული ანალიზი.** ფაქტორული ანალიზი იმ ცვლადების დაჯგუფების მეთოდია, რომლებსაც რაღაც აქვთ საერთო ესაა პროცესი, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს გარკვეული რაოდენობის ცვლადები დაიყვანოს მცირე რაოდენობის ძირითად ფაქტორებამდე, რომლებითაც, შეძლებისდაგვარად, ბევრი ცვლადი აიხსნება. ის ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების სტრუქტურასა და საერთო მახასიათებლებს ავლენს. ამგვარად, ფაქტორული ანალიზის გამოყენებით მკვლევარს საშუალება ეძლევა, გამოავლინოს ცნებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ცვლადს (ჰაირი და სხვ., 2006).

ფაქტორული ანალიზის ორი ძირითადი ფორმა არსებობს: **კვლევითი** და **დამადასტურებელი.** პირველი მათგანი ფაქტორული ანალიზის (კერძოდ, პირველადი კომპონენტების ანალიზის) ცვლადების მანამდე უცნობი დაჯგუფებების, ძირითადი ტენდენციების, კლასტერებისა და ჯგუფების შესწავლისთვის გამოყენებაზე მიუთითებს. ამის საპირისპიროდ, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი უფრო მკაცრია და დადგენილი ფაქტორების ნაკრების დაჯგუფებებისა და მიმართებების პიპოთებურ მოდელთან შესატყვისობას ამოწმებს. წინამდებარე კვლევამ ფაქტორული ანალიზის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ფორმა - პირველადი კომპონენტების ანალიზი - გამოიყენა (კოჭენი და სხვ., 2011).

ფაქტორული ანალიზის ჩატარებამდე აუცილებელია პასუხი გაეცეს მთავარ კითხვას, თუ „რამდენად დიდი უნდა იყოს შერჩევის ზომა, რომ შესაძლებელი გახდეს სანდო ფაქტორული ანალიზის განხორციელება?“. თანამედროვე ლიტერატურაში არსებობს უამრავი მოსაზრება აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით, რომელთა კატეგორიზაციაც ორი მიმართულებით ხდება: პირველი,

შემთხვევების მინიმალური რაოდენობა (number of cases) და სუბიექტების და ცვლადების თანაფარდობა (subjects-to-variables ratio (STV)). წინამდებარე ნაშრომში გათვალისწინებულია ლაული და მაქსველის (1971) (ცვლადებზე 51 შემთხვევით მეტი) მიერ შემოთავაზებული მეთოდური რეკომენდაციები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შენთხვევების და ცვლადების რაოდენობა იძლევა ფაქტორული ანალიზის განხორციელების საშუალებას. ქვემოთ მოყვანილია თითოეული კონსტრუქტის ფაქტორული ანალიზის შედეგები:

**დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგია.** იმისათვის, რომ დაგვედგინა დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის გარგისიანობა ფაქტორული ანალიზისათვის, მისი საზომები შევამოწმეთ კმო-ს საზომი შერჩევის ადეკვატურობაზე და ბარტლეტის ტესტის (KMO measure for sampling adequacy and Bartlett's test of sphericity) მეშვეობით.

**ცხრილი 21.** დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის კმო და ბარტლეტის ტესტი

ცვლადი	კმო	ბარტლეტის ტესტი
დანახარჯების მიხედვით ლიდერობის	650	მნიშვნელოვანი

მნიშვნელობის დონე  $P<0.001$

ანალიზის შედეგად მივიღეთ, რომ ყველა ცლადი მნიშვნელოვნად არის დატვირთული პირველ კომპონენტზე, რაც თავისთავად განმარტავს, რომ აღნიშნული პუნქტები ზომავს დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიას (იხ. ცხრილი 21). ზემოაღნიშნული კონსტრუქცია მხარდაჭერილია კრონბახის ალფის მაჩვენებლით 0.915. გადაწყვეტილება იქნა მიღებული აღნიშნული საზომის საშუალო არითმეტიკულების გამოყენებაზე, როგორც დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის საზომზე.

**ცხრილი 22.** დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის კომპონენტის მატრიცა

დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგია	კომპონენტი
	1
რა დოზით აკეთებთ აქცენტს ნედლეულის ან კომპონენტების უზრუნველყოფის ეფექტიანობაზე? (შესყიდვის ფასის დაკლებაზე მოლაპარაკება)	.842
რა დოზით აკეთებთ აქცენტს ხარჯების შემცირების ალტერნატიული გზების გამონახვაზე? (სტანდარტიზაცია ან წარმოების მასშტაბის ზრდა)	.953
რა დოზით აკეთებთ აქცენტს საქმიანობის ეფექტიანობაზე? (წარმადობა ან ლოჯისტიკის ეფექტიანობის ამაღლება)	.792
რა დოზით აკეთებთ აქცენტს წარმოების სრული სიმძლავრით დატვირთვაზე?	.783
რა დოზით აკეთებთ აქცენტს კონკურენტულ ფასწარმოქმნაზე? (კონკურენტული ფასის შეთავაზება)	.876
რა დოზით აკეთებთ აქცენტს გაყიდვების/საერთო/ადმინისტრაციული ხარჯების მკაცრ კონტროლზე?	.770

**გამორიცხვის მეთოდი:** პირველადი კომპონენტების ანალიზი

აგრეთვე დანართში წარმოდგენილი არის ზემოაღნიშნული ცვლადის კორელაციის მატრიცა (იხ. ცხრილი 5.1 ).

**დიფერენცირების სტრატეგია.** ანალოგიურად, რომ დაგვედგინა დიფერენცირების სტრატეგიის ვარგისიანობა ფაქტოული ანალიზისათვის, მისი საზომები შევამოწმეთ კმო-

ს საზომი შერჩევის ადეკვატურობაზე და ბარტლეტის ტესტის (KMO measure for sampling adequacy and Bartlett's test of sphericity) მეშვეობით.

**ცხრილი 23.** დიფერენცირების სტრატგიის ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი

ცვლადი	კმო	ბარტლეტის ტესტი
დიფერენცირების სტრატეგია	678	მნიშვნელოვანი

მნიშვნელობის დონე  $P<0.001$

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ორი კომპონენტი რომლითაც არის დატვირთული დიფერენცირების სტრატეგიის ცვლადები. შემოწმდა ორივე ფაქტორის კრომბახის ალფა: პირველი არის  $0.889$  და მეორე  $0.810$ , რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ცვლადები ზომავენ დიფერენცირების სტრატეგიას. გადაწყვეტილება იქნა მიღებული აღნიშნული საზომის საშუალო არითმეტიკულების გამოყენებაზე, როგორც დიფერენცირების სტრატეგიის საზომზე.

**ცხრილი 24.** დიფერენცირების სტრატეგიის ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა

დიფერენცირების სტრატეგია	კომპონენტი	
	1	2
რა დოზით აკეთებთ აქცენტს ინოვაციური მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენებაზე პროდუქტის გაუმჯობესების მიზნით?		.822
რა დოზით აკეთებთ აქცენტს ახალი პროდუქტის შექმნაზე ან არსებული პროდუქტის გაუმჯობესებაზე?	.830	
რა დოზით აკეთებთ აქცენტს ბაზარზე ახალი პროდუქტის წარდგენის სისშირეზე?	.923	

რა დოზით აკეთებთ აქცენტს ბაზარზე წარდგენილი ახალი პროდუქტის ასორტიმენტზე? (რამდენად მრავალრიცხოვანია თქვენს მიერ წარდგენილი ახალი პროდუქტების ნუსხა)	.642	
რა დოზით აკეთებთ აქცენტს რეკლამებისა და მარკეტინგული აქტივობების სიხშირეზე? (მაგ. რამდენად ხშირად გადის თქვენი რეკლამა ტელევიზიით ან სხვა რომელიმე საშუალებით)	.638	
რა დოზით აკეთებთ აქცენტს გაყიდვების გუნდის ჩამოყალიბებასა და სრულყოფაზე?	.779	
რა დოზით აკეთებთ აქცენტს ძლიერი ბრენდის (სავაჭრო მარკის) მომხმარებელში ცნობადობის ამაღლებაზე?	.868	
რა დოზით აკეთებთ აქცენტს მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოებაზე?	.801	
რა დოზით აკეთებთ აქცენტს მომხმარებელთა შეკვეთებზე სწრაფ რეაგირებაზე და შეუფერხებელი მიწოდების სერვისზე?	.620	

**გამორიცხვის მეთოდი:** პირველადი კომპონენტების ანალიზი

**ბრუნვის მეთოდი:** ვარიმაქსი კაიზერის ნორმალიზაციით

დანართში აგრეთვე წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ცვლადის კორელაციის მატრიცა (იხ. დანართი 4).

**ფოკუსირების სტრატეგია.** როგორც ცხრილიდან ჩანს ფოკუსირების სტრატეგიის კმო არის 650 ხოლო ბარტლეტის ტესტი მნიშვნელოვანი. შესაბამისად ფოკუსირების სტრატეგია ვარგისია ფაქტორული ანალიზისთვის

**ცხრილი 25.** ფოკუსირების სტრატეგიის ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი

ცვლადი	კმო	ბარტლეტის ტესტი
ფოკუსირების სტრატეგია	650	მნიშვნელოვანი

მნიშვნელობის დონე  $P<0.001$

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ოთხი კომპონენტი, რომელითაც არის დატვირთული დიფერენცირების სტრატეგიის ცვლადები. თუმცა პარელეურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მხოლოდ სამი ფაქტორი ექვემდებარება ამოღებას (extract). შემოწმდა აღნიშნული სამი ფაქტორის კრომბახის ალფა: პირველი არის 0.865, მეორე 0.836 და მესამე 0.758, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ( $> 0.7$ ), რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ცვლადები ზომავენ ფოკუსირების სტრატეგიას. გადაწყვეტილება იქნა მიღებული აღნიშნული საზომის საშუალო არითმეტიკულების გამოყენებაზე, როგორც ფოკუსირების სტრატეგიის საზომზე.

**ცხრილი 26.** ფოკუსირების სტრატეგიის ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა

ფოკისირების სტრატეგია	კომპონენტი		
	1	2	3
რა დოზით აკონტროლებთ პროდუქტის/მომსახურების ხარისხს?		.813	
რა დოზით ცდილობთ მომხმარებელთა მომსახურების გაუჯობესებას?		.909	
რა დოზით ცდილობთ საწარმოო ეფექტიანობის გაუჯობესებას?		.802	
რა დოზით ატრეინინგებთ „ფრონტ ლაინის“ თანამშრომლებს?	.718		
რა დოზით აკონტროლებთ „ფრონტ ლაინის“ თანამშრომლებს?	.678		
რა დოზით აწარმოებთ „სპეციალურ“ პროდექტს/მომსახურებას?	.807		
რა დოზით აკეთებთ აქცენტს მკაფიოდ განსაზღვრულ სეგმენტზე? (ფოკუსირება კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე ან მომხმარებელთა კონკრეტულ ჯგუფზე)	.885		

რა დოზით იცილებოთ არამომგებიან მომხმარებელს?	.754		
რა დოზით აკეთებოთ აქცენტს პროდუქტის უნიკალურობაზე (უნიკალური ფუნქცია ან დიზაინი)?			.839
რა დოზით აკეთებოთ აქცენტს მაღალი გადახდისუნარიანი სეგმენტისთვის შესაფერისი პროდუქტის შეთავაზებაზე?			.822
რა დოზით აკეთებოთ აქცენტს მომხმარებლთა კონკრეტული ჯგუფის მოთხოვნაზე მორგებული პროდუქტის შეთავაზებაზე?			.771

**გამორიცხვის მეთოდი:** პირველადი კომპონენტების ანალიზი

**როტაციის მეთოდი:** ვარიმაქსი კაიზერის ნორმალიზაციით

აგრეთვე დანართში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ცვლადის კორელაციის მატრიცა (იხ. ცხრილი 5.3).

**რაციონალური სტრატეგიული დაგეგმვა.** როგორც ცხრილიდან ჩანს სტრატეგიული დაგეგმვის ბარტლეტის ტესტი მნიშვნელოვანი, თუმცა მისი კმო არის .650, რაც არ არის კარგი მაჩვენებელი.

**ცხრილი 27.** სტრატეგიული დაგეგმვის ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი

ცვლადი	კმო	ბარტლეტის ტესტი
სტრატეგიული დაგეგმვა	541	მნიშვნელოვანი

მნიშვნელობის დონე  $P<0.001$

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ორი კომპონენტი რომელეც არის დატვირთული სტრატეგიული დაგეგმვის ცვლადები. შემოწმდა აღნიშნული სამი ფაქტორის კრომბახის ალფა: პირველი არის 0.897 და მეორე 0.844, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ( $>0.7$ ) და ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ცვლადები ზომავენ სტრატეგიულ დაგეგმვას.

გადაწყვეტილება იქნა მიღებული აღნიშნული საზომის საშუალო არითმეტიკულების გამოყენებაზე.

**ცხრილი 28. სტრატეგიული დაგეგმვის ცვლადების დატრიალებული მატრიცა**

სტრატეგიული დაგეგმვა	კომპონენტი	
	1	2
რა დოზით აკეთებთ აქცენტს დაგეგმვის პროცესში შესაძლებლობებისა და პრობლემების გადაჭრის გზების სისტემურ ძიებაზე?	.899	
რა დოზით აკეთებთ აქცენტს დაგეგმვის პროცესში ფასებსა და მოგებაზე მუდმივი თვალყურის დევნებაზე?	.736	.656
რა დოზით ანიჭებთ მნიშვნელობას სტრატეგიული და გრძელგადიანი გადაწყვეტილიბების მიღების პროცესში სხვადასხვა დონის მენეჯერების ჩართულობას?		.926
რა დოზით აკეთებთ აქცენტს საოპერაციო კვლევის ტექნიკის გამოყენებაზე?	.695	
რა დოზით აკეთებთ აქცენტს ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმირებულობაზე (ვისაც ეხება ეს ცვლილები)?		.718
რა დოზით კეთდება აქცენტი ურთიერთშეთანხმების (თანამშრომლებთან) საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებზე და უკუკავშირზე? (feedback)	.825	
რა დოზით კეთდება აქცენტი კომუნიკაციის თავისუფლებზე?	.864	
რა დოზით ანიჭებთ უპირატესობას წერილობითი სტრატეგიული გეგმების არსებობას ორგანიზაციაში?		.861

**გამორიცხვის მეთოდი:** პირველადი კომპონენტების ანალიზი

**როტაციის მეთოდი:** გარიმაჟსი კაიზერის ნორმალიზაციით

სტრატეგიის განხორციელების ფაქტორული ანალიზი. ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხის კონსტრუქტის მე-7 ცვლადი მნიშვნელოვან როლს არ თამაობს ფაქტორულ ნალიზში. კმო-ს და ბატლეტის ტესტის თანახმად შესაძლებელია ფაქტორული ანალიზის ჩატარება იმპლემენტაციის საზომზე.

**ცხრილი 29.** სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი

ცვლადი	კმო	ბარტლეტის ტესტი
სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი	629	მნიშვნელოვანი

მნიშვნელობის დონე  $P<0.001$

**ცხრილი 30.** სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა

სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი	კომპონენტი	
	1	2
რა დოზით არსებობდა სტრატეგიის განსახორციელებლად შესაბამისი გამოცდილება ორგანიზაციაში? (ორგანიზაციაში, აუთსორსინგით ან ინფორმაციის შეძენის გზით)		.826
რა დოზით იყო სტრატეგიის წარმატებულად განხორციელების კრიტერიუმები მკაფიო?		-.631
რა დოზით იყო სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო შესასრულებელი დაგალებები წინასწარ განმარტებული? (პროცესში მონაწილე პირებისთვის)	.837	
რა დოზით იყო ყველა საჭირო რესურსი ხელმისაწვდომი სტრატეგიის განხორციელების პროცესში? (ხალხის, ფულის და დროის ჩათვლით)	.934	
რა დოზით იყო სტრატეგიის განხორციელების პროცესში მიღებული ყველა გადაწყვეტილება მონაწილეობითვის მისაღები?	.870	
ჰქონდა თუ არა სტრატეგიის განხორციელებას დასაწყისშივე ამთვისებლური შინაარსი ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოში	.793	

არსებული პირობებიდან გამომდინარე?		
მიენიჭა თუ არა უპირატესობა სტრატეგიის განხორციელებას სხვა საქმიანობებზე მეტად?	?	

**გამორიცხვის მეთოდი:** პირველადი კომპონენტების ანალიზი

**როტაციის მეთოდი:** ვარიმაქსი კაიზერის ნორმალიზაციით

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ორი კომპონენტი რომელზეც არის დატვირთული სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხის კონსტრუქცია. შემოწმდა აღნიშნული ორი ფაქტორის კრონბახის ალფა: პირველი არის 0.864 და მეორე 0.281. მეორე ფატეტორის სანდოობის მაჩვენებელი დაბალია, შესაბამისად შემდგომ ანალიზში აღნიშნული ორი ცვლადი უნდა გამოირიცხოს.

კომპანიის შედეგების (მიზნების მიღწევა) ფაქტორული ანალიზი. კომპანიის შედეგების კონსტრუქცია მოიცავს ორ საზომს: მიზნების მიღწევა და კონკურენტული შედეგები. გაკეთდა კმო და ბრტლეტის ტესტი ორივე საზომის მიმართ (იხ. ცხრილი 31).

**ცხრილი 31.** კომპანიის შედეგების ცვლადების კმო და ბარტლეტის ტესტი

ცვლადი	კმო	ბარტლეტის ტესტი
კომპანიის შედეგების (მიზნების მიღწევა)	636	მნიშვნელოვანი
კომპანიის შედეგები (კონკურენტული შედეგები)	629	მნიშვნელოვანი

მნიშვნელობის დონე  $P<0.001$

აღნიშნული ტესტის შედეგები იძლევა ფაქტორული ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას.

**ცხრილი 32.** მიზნების მიღწევის ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა

მიზნების მიღწევა	კომპონენტი	
	1	2
რამდენად გაუმჯობესდა მოკლევადიანი შედეგები? (სტრატეგიის განხორციელების შემდეგ)		.738
რამდენად გაუმჯობესდა გრძელვადიანი შედეგები?	.633	.692
რამდენად ახდენთ სამომავლო ტრენდების პროგნოზირებას?	.954	
რამდენად ახდენთ ალტერნატივების შეფასებას საჭირო ინფორმაციის მქონებით?		.922
რამდენად ახერხებთ პრობლემური სიტუაციების თავიდან არიდებას?	.724	
რამდენად ახდენთ პრობლემების გადაჭრას?		.773
რამდენად უჭერთ მსარს მენეჯმენტის განვითარებას?	.915	

გამორიცხვის მეთოდი: პირველადი კომპონენტების ანალიზი

როტაციის მეთოდი: ვარიმაქსი კაიზერის ნორმალიზაციით

მიზნების მიღწევის თითოეული ფაქტორის კრონბაზის ალფა არის 0.899 და 0.842 შესაბამისად.

**ცხრილი 33.** კონკურენტული შედეგების ცვლადების დატრიალებული კომპონენტის მატრიცა

კონკურენტული შედეგები	კომპონენტი	
	1	2
რამდენად გაიზარდა გაყიდვები?	.623	.628
რამდენად გაიზარდა წმინდა მოგება?	.717	

რა დო ზით მოხდა ცვლილება საბაზრო წილში?	.972	
როგორია აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)		.857
როგორია სააქციო კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	.795	
გაყიდვების უკუგების კოეფიციენტი (ROS)		.774
ორგანიზაციის ლიკვიდურობა შეესაბამება ...	.877	
როგორია კომპანიის საერთო შედეგები? (წამრატება)	.746	
როგორია საერთო კონკურენტული მდგომარეობის დონე?		.875

გამორიცხვის მეთოდი: პირველადი კომპონენტების ანალიზი

როტაციის მეთოდი: ვარიმაქსი კაიზერის ნორმალიზაციით

კონკურენტული შეეგების კრომბახის ალფა: 0.929 და 0.861. შესაბამისად, აღნიშნული საზომების საშუალო არითმეტიკულების გამოიყენება, როგორც საზომები.

ამრიგად, კვლევას გააჩნია კონსტრუქტის კარგი ვალიდობა ორივე კომპონენტის (კრიტერიუმის და შინაარსის) მიხედვით. აგრეთვე, აქვს კარგი შიდა და გარე ვალიდობები. კონსტრუქციების სანდოობის შესამოწმებლად არჩეულ იქნა კრონბახის ალფა. ცხრილი 23-დან ნათლად ჩანს, რომ კვლევის კონსტრუქტებს გააჩნია მაღალი სანდოობის კოეფიციენტები (ხშირ შემთხვევაში უფრო მაღალი ვიდრე წინა კვლევებში გამოყენებულ კონსტრუქტებს), შესაბამისად აღნიშნული კვლევის კონსტრუქტებს გააჩნია სანდოობის მაღალი დონე.

### 3.3. პიპოთეზების შემოწმება

ამ პარაგრაფის მიზანს წარმოადგენს გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შეამოწმოს შეთავაზებული პიპოთეზები.

#### სტრატეგიულ დაგეგმვა და კომპანიის შედეგები

**პიპოთება პ1:** რაციონალური, ამომწურავი სტრატეგიული დაგეგმვა საწარმოებს უკეთეს შედეგებს მოუტანს.

**ცვლადების განსაზღვრა:** პ1 პიპოთების მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვა არის დამოუკიდებელი, ხოლო საწარმოს შედეგები (რომელიც წარმოდგენილია ორი ცვლადით, პერძოდ: მიზნის მიღწევა და კონკურენტული შედეგები), წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს.

**ანალიზის მეთოდი:** პ1 პიპოთების შესამოწმებლად გამოყენებული იქნება ბივარიაციული წრფივი რეგრესიის და კორელაციის ანალიზი, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ცვლადია.

**ცხრილი 34.** კორელაციის კოეფიციენტები სტრატეგიულ დაგეგმვას, მიზნების მიღწევასა და კონკურენტულ შედეგებს შორის

სტრატეგიული დაგეგმვა	1.000	690**	.644**
მიზნების მიღწევა	.690**	1.000	.792**
კონკურენტული შედეგები	.644**	.792**	1.000

\*\*. კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონზე (ორმხრივი შემოწმება).

